პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, ქამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 14—30

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 30 სექტემბერი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 227 (2270)

დღიური

— საფრანგეთში უკმაყოფილო არიან შეერთებული შტატების დამოკიდებულებით ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებისადმი.
— გაფიცვა ავსტრალიაში სერიოზულ ხასიათს იღებს.
— საპროტესტო მიტინგი ბერლინში რუმინელ რევოლუციონერების გასამართლების გამო.
— პოლონეთის სენატორი საბჭ. კავშირის შესახებ.
— გაიხსნა მონღოლეთის პროფკავშირების მეორე ყრილობა.
— გერმანელი მუშები მასიურად სტოვებენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.
— დიდი წყალდიდობა სამხრეთ-საფრანგეთში.

პლენუმის შედეგები

საქართველოს კომპარტიის ცეკას მეოთხე პლენუმმა დაასრულა თავისი მუშაობა. მთავარი ყურადღება პლენუმმა მოანდომა საქართველოს კომპარტიის გამოკვლევის შედეგებისა და საკავშირო კომპარტიის ცეკას მიერ ამ შედეგების ირგვლივ მიღებულ დადგენილების გახხილვას. ამრიგად, პლენუმმა მოახდინა საქართველოს კომპარტიის მუშაობის შემოწმება ყველა დარგში და იმ დირექტივების თანახმად, რომელიც მოცემულია საკავშირო კომპარტიის ცეკას რეზოლიუციაში, დასახა შემდგომი მუშაობის გზები.

მთავარი, რაც ერთხელ კიდევ მთელი თავისი სიცხადით გამოირკვა პლენუმზე, ეს არის ის, რომ ჩვენ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით სოფლად მუშაობის დარგში. და ეს მაშინ, როცა საქართველო წარმოადგენს წვრილ სოფლის მეურნეობის ტიპიურ ქვეყანას. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია ერთ-ერთი იმ აუცილებელ და მთავარ ღონისძიებათაგანია, რომლის გატარებასაც დაჟინებით გვიკარნახებს ჩვენ საბჭოთა ინდუსტრიის განვითარების ინტერესები, და რომელიც წარმოადგენს მიწის სივიწროვის დაძლევის მშრომელი გლეხკაცობის ეკონომიურად კულტურულად ამაღლების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას. რომ ამას მივაღწიოთ, საჭიროა, რაც შეიძლება დაჩქარებით ჩატარებულ იქნას მიწადმოწყობა, გაძლიერებულ იქნას კოლექტიური მშენებლობა სოფლად, მოწესრიგდეს სოფლის პროდუქციის დამზადება - გასაღების საქმე და სხვა. ყველა ამ საკითხების მოგვარება დროსა და საშუალებებს ითხოვს, ჩვენი ფინანსიური და სამეურნეო ორგანოების ვალია გააკეთონ იმის მაქსიმუმი, რაც კი შესაძლებელია სოფლის მექანიზაციის საქმის მატერიალური საფუძვლის განსამტკიცებლად. პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანოებმა კი გასკეცებული ენერგიით უნდა განაგრძონ მუშაობა ახალი სოფლის მშენებლობისათვის. საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილება და საქართველოს კომპარტიის ცეკას მეოთხე პლენუმის რეზოლიუცია ადგილობრივ ორგანიზაციების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ჩვენი მუშაობის ამ მხარეზე.

ამასთან ერთად, ოდნავადაც არ უნდა შევასუსტოთ სამრეწველო აღმშენებლობის ტემპი. სოფლად მუშაობის გაძლიერება, არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ჩვენში ნაკლები ყურადღება უნდა დაეთმოს ინდუსტრიის განვითარებას. აქ საჭიროა მხოლოდ მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა. მთავარი ნაკლი, რაც დიდ მიღწევებთან ერთად ახასიათებს ჩვენს სამრეწველო აღმშენებლობას წარსულში, ესაა უგეგმობა. ამის საილიუსტრაციოდ პლენუმზე მრავალი მჭერმეტყველური ფაქტები იქნა მოყვანილი, რომელთა განმეორება აქ შორს წაგვიყვანდა.

უგეგმობის შედეგებს დღეს მწვავედ განიცდის ჩვენი ადგილობრივი მრეწველობა. თუ ეს რამდენადმე კიდევ გასაგები იყო დღემდე, როცა ჩვენ კიდევ არ გვქონდა მიღებული სათანადო გამოცდილება სამრეწველო აღმშენებლობაში, ასეთი მდგომარეობის მოთმენა მომავალში აბსოლიუტურად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. გეგმა რეალურად შემოწმებული, ეკონომიურად უაღრესად გამართლებული, აი, რა უნდა ახასიათებდეს ჩვენს მშენებლობას ინდუსტრიის დარგში.

პლენუმმა თავისი ყურადღება შეაჩერა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ - უმცირესობათა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებზე. საქართველოს კომპარტიას სამართლიანად შეუძლია იამაყოს იმ მიღწევებით, რომელიც მას აქვს ეროვნულ სოლიდარობის განმტკიცების სახით. მაგრამ ეს არ კმარა. იმისათვის, რომ ეს სოლიდარობა კიდევ უფრო ურყევი შეიქნეს, საჭიროა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ - უმცირესობათა კულტურულ და ეკონომიურ წარმატებაზე მზრუნველობის გაძლიერება. ამ მხრივ მეტად ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საქართველოს სამეურნეო და კულტურულ ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ მცირე ეროვნებათა წინსვლა კიდევ უფრო იქნას უზრუნველყოფილი.

პლენუმი ცალკე შეეხო აგრეთვე მასიურ მუშაობის საკითხს. თვისთავად ცხადია, რომ იმ დიდმნიშვნელოვან მორიგ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, რომელიც დგას ჩვენს წინაშე, წარმოუდგენელია საბჭოთა საზოგადოებრიობის შემდგომი გაძლიერების გარეშე. მთელი ჩვენი მუშაობის სისტემა როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა აღმშენებლობის დარგში, მთლიანად ეყრდნობა ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების აქტივობაზე. სამწუხაროდ, ბევრ ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს ხშირად ავიწყდებათ ის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენ ვაკუთვნებთ მასიურ მუშაობას. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ჩვენი მუშაობის მრავალი დეფექტები. მასიური მუშაობის გამოცოცხლება ერთ-ერთ მთავარ მორიგ ამოცანად უნდა დაისახონ ადგილობრივ ორგანოებმა.

იმისათვის, რომ პლენუმის მიერ მოცემული დირექტივები სისწორით და მტკიცედ გატარდეს ცხოვრებაში, საჭიროა პარტიულ ორგანიზაციებმა მეტი სიფხიზლე გამოიჩინონ საკუთარი მუშაობის გაუმჯობესებისადმი. დადგენილებათა შესრულების სისტემატიური შემოწმება, ყოველგვარ პასიურობასთან ენერგიული ბრძოლა, პარტიის საერთო ხაზისა და პრაქტიკულ დირექტივების დარღვევის ცალკე შემთხვევების ძირშივე აღკვეთა, აი, რა იქნება იმის მთავარი საწინდარი, რომ ჩვენ შევძლებთ პლენუმის მიერ აღნიშნულ დეფექტების აღმოფხვრას და ახლად დასახულ ამოცანების წარმატებით შესრულებას.

მორიგი ამოცანები შრომის მოწესრიგების დარგში

ახლოვდება კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლად დადების კამპანია. ამ კამპანიას დიდი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. იგი უშუალოდ ეხება მთელი მუშათა კლასის ინტერესებს და აგრეთვე მუშათა ცალკე ჯგუფების ინტერესებს. სახალხო მეურნეობის საერთო მდგომარეობისა და მისი ცალკე დარგების მდგომარეობის საფუძველზე კოლექტიური ხელშეკრულება კონკრეტულად განსაზღვრავს ყოველ ცალკე წარმოებაში ჩაბმულ მუშათა შესაძლებელ მატერიალურ დონეს. მარტო ამიტომ კამპანია იპყრობს მთელი მუშათა კლასის განსაკუთრებულ ყურადღებას. მაგრამ ამასთან ერთად კოლექტიური ხელშეკრულების პირობები უმთავრეს საშუალებას წარმოადგენენ იმ შეფარდების განხორციელებისათვის, რომელიც, ვარაუდის მიხედვით უნდა დამყარდეს მომავალ წელს შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის გადიდებას შორის. იმაზე, თუ რამდენად შესრულდება ნავარაუდევი შეფარდება, დამოკიდებულია ჩვენი სოციალისტური დაგროვების ტემპი, თვითღირებულების შემცირება და მუშათა კლასის კეთილდღეობის შემდგომი სისტემატიური გაუმჯობესების შესაძლებლობაც.

ამრიგად, კოლხელშეკრულებათა კამპანიას დასახული აქვს ორი ძირითადი ამოცანა: პირველი—მუშათა კეთილდღეობის დონის ყოველმხრივ გაუმჯობესება, მაქსიმალური ყურადღება მშრომელთა ყოფაცხოვრებითი და კულტურული მოთხოვნილებებისადმი, ბრძოლა ბიუროკრატიულ გადამახინჯებებთან, ბრძოლა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის და სხვ. მეორე—შრომის ნაყოფიერების უზრუნველყოფა, შრომითი დისციპლინის განმტკიცება, ბრძოლა წარმოებაში ჯანსაღი პირობების შექმნისათვის.

გასულ წელს ადგილი ჰქონდა სამუშაო ხელფასის თვალსაჩინო ზრდას: საშუალო ხელფასი მთელ მრეწველობაში 10—11 პროცენტით გაიზარდა 1926—27 წლის საშუალო წლიურ ხელფასთან შედარებით. ერთხანს მუშის პროდუქცია 14 პროცენტით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ 1927-28 წელს ის შეფარდება შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის გადიდებას შორის, რომელიც გეგმით იყო ნავარაუდევი, მთლიანად არ შესრულებულა, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში უდავო და მნიშვნელოვან მიღწევებს აქვს ადგილი. გასული წელი გარდატეხის წელია, როდესაც შრომის ნაყოფიერების ზრდა უსწრებს ხელფასის ზრდას. გეგმით ნავარაუდევ ნორმებთან შედარებით, გამომუშავების შესრულებას ერთ მუშაზე დააკლდა დაახლოვებით 3 პროცენტი, მაშინ, როდესაც ხელფასის ზრდამ 3-4 პროცენტით გადააჭარბა გეგმას. ამასთან დაკავშირებით, იმის ნაცვლად, რომ ნაწარმოების ერთეულზე თვითღირებულება 2,9 პროცენტით შემცირებულიყო, როგორც ეს გეგმით იყო ნავარაუდევი, თვითღირებულების ფაქტიური შემცირება 1 პროცენტზე მეტს არ შეადგენს.

1928—29 წლის საკონტროლო ციფრები ითვალისწინებენ მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობისა და ყოფაცხოვრების პირობების შემდგომ გაუმჯობესებებს. განზრახულია ხელფასის შემდგომი ზრდა, გათვალისწინებულია მნიშვნელოვან ასიგნობათა გადადება საბინაო მშენებლობისათვის და შრომის დაცვისათვის. ამასთან ერთად, ოქტომბრის მანიფესტის დირექტივების განსახორციელებლად, გაგრძელდება მუშათა მნიშვნელოვანი ჯგუფების შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანა. მაშინ, როდესაც კაპიტალისტური ქვეყნები გაათრებულ შეტევას აწარმოებენ მუშათა კლასზე, აგრძელებენ სამუშაო დღეს და ამცირებენ ხელფასს, საბჭოთა სახელმწიფოს წარმოებათა მნიშვნელოვანი რაოდენობა გადაჰყავს შვიდი საათის სამუშაო დღეზე. ფართოდ ტარდება ცხოვრებაში მემაღაროეთა ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა. ამჟამად ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადასულია სტალინოს ოლქის ყველა მემაღაროე.

მოყვანილი ცნობები გასული წლის საგეგმო ვარაუდის შეუსრულებლობის შესახებ და მრეწველობის წინაშე მდგომი ურთულესი ამოცანები კაპიტალური მშენებლობის ხაზით და თვითღირებულების შემცირების დარგში მოწმობენ იმას, რომ კოლხელშეკრულებათა კამპანიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დირექტივა უნდა იქნეს შრომის ნაყოფიერების ზრდის შემდგომი გაძლიერება და სწორი შეფარდების უზრუნველყოფა ხელფასისა და ნაყოფიერების დარგში.

ახალ ხელშეკრულებათა განხილვას წინ უნდა უძღოდეს უწინდელი დირექტივების შესრულების ყურადღებით შეფასება და შემოწმება. ჯამი უნდა გაუკეთდეს იმას, თუ რამდენად შესრულეს სამეურნეო მუშაკებმა ის ვალდებულებანი, რომლებიც მათ ხელშეკრულებებით იკისრეს. ყოვლად არანორმალურია ისეთი მდგომარეობა, როდესაც მუშათა კრებებზე კოლექტიურ ხელშეკრულების განხილვის დროს სამეურნეო ორგანოები თანხმდებიან ამა თუ იმ მოთხოვნილებაზე, ხოლო შემდეგ აღარ ასრულებენ ამ მოთხოვნილებას.

გადავდივართ რა კოლხელშეკრულების შინაარსის ცალკე საკითხებზე, უწინარეს ყოვლისა უნდა შევეხოთ გამომუშავების ნორმის გადასინჯვის წესს. გასული წლის კამპანიის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მიზანშეუწონელია გამომუშავების ნორმების მასიური გადასინჯვა კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლად დადების მომენტში. სამეურნეო ორგანოების უმრავლესობა მოუმზადებელი აღმოჩნდა და თავის დროზე ვერ შესძლო დასაბუთებულ წინადადებათა წამოყენება, თუ რამდენად და რა სამუშაოზე უნდა გადასინჯულიყო გამომუშავების ნორმები. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ნორმების გადასინჯვას მრავალი დეფექტი ახლდა. კოლხელშეკრულებათა მომავალი კამპანიის დროს წესად უნდა იქნას შემოღებული, რომ გამომუშავების ნორმებისა და სანარდო შეფასების კონკრეტულად დაწესებისათვის წარმოებული მუშაობა გამოცალკევებულ იქნას კოლხელშეკრულებათა ხელ-ახლად დადების კამპანიიდან და სისტემატიურად ტარდებოდეს მთელი წლის განმავლობაში მოწესრიგების უფრო სწორი ნორმების საფუძველზე. ამრიგად, გადასინჯული გამომუშავების ნორმები, განმტკიცებული უნდა იქნენ განსაზღვრულ ვადისათვის. ამ მუშაობას დიდი მნიშვნელობა ეძლევა, როგორც ხელფასის მოწესრიგებისათვის, ისე საწარმოო გეგმების შესრულებისათვის.

შრომის ნაყოფიერების დარგში დასახული გეგმების შესრულება მოითხოვს ყველა მუშაკისაგან მაქსიმალურ ღონისძიებებს წარმოების ორგანიზაციის ტეხნიკის გასაუმჯობესებლად. უნდა ვაღიაროთ, რომ რამდენადაც წარმოების რაციონალიზაციისა და ახალი უფრო ნაყოფიერი მანქანების გამოყენების საფუძველზე საწარმოო პირობები იცვლებიან, იმდენად ამასთან შეფარდებით, გამომუშავების ნორმების თავის დროზე გადასინჯვა შესაძლებელია და საჭიროცაა.

მიუხედავად იმისა, რომ სატარიფო რეფორმის საჩქაროდ გატარებას მრავალი შეცდომა ახლდა, მაინც დადებითი შედეგები გვაქვს იმ მხრივ, რომ გაიზარდა სატარიფო განაკვეთის როლი მუშის საერთო ხელფასში. მომავალი კამპანიის ამოცანაა — უშუალოდ შემოწმოს წარმოებებში სატარიფო რეფორმის შედეგები, რათა გამოააშკარაოს დარჩენილი დეფექტები და დასახოს საჭირო ნაბიჯები მუშათა ცალკე კატეგორიების ხელფასის შეფარდების მოსაწესრიგებლად, მუშების უფრო სწორად გასანაწილებლად კატეგორიების მიხედვით, დროებითი დამხმარე მუშების ხელფასის სისტემის გასაუმჯობესებლად და სხვ.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა ყოფა-ცხოვრებითი და უფლებრივი პირობების დარგში უახლოესი პერიოდისათვის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სავსებით განმტკიცებულ იქნან ის მიღწევები, რომლებიც უკვე გვაქვს, ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ მხარეების ყოველმხრივ გაუმჯობესებასა და გამარტივებას, რომლებიც კონფლიქტებსა და დავას იწვევდნენ წარმოებებში გამოყენების დროს.

კამპანიის ჩატარებისათვის მზადების წარმატება საგრძნობლად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოხერხდება ამ კამპანიაში მუშათა ფართო მასების ჩაბმა და რამდენად იქნება უზრუნველყოფილი ხელშეკრულებათა მსვლელობისა და შედეგების ახსნა-განმარტება მუშათა შორის. კამპანია დაწესებულ ვადებში უნდა ჩატარდეს. გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ მოლაპარაკების გაჭიანურებას და უმნიშვნელო საკითხებზე კონფლიქტების შექმნას. ძველი ხელშეკრულებების შესრულების შემოწმება უნდა დავამთავროთ ოქტომბრის განმავლობაში, იმ ვარაუდით, რომ ნოემბერში უკვე შევსძლოთ შევუდგეთ ახალი ხელშეკრულებების ფართოდ განხილვას მასებში. ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ მუშები ყოველმხრივ გაეცნონ ამა თუ იმ ტრესტის, წარმოების ან ცეხის გასული წლის მუშაობას, მომავალი წლის საგეგმო ვარაუდებს და იმ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ ამ გეგმების შესრულება.

ამ მუშაობაში უნდა გაერთიანდნენ პარტიული ორგანიზაციების, პროფკავშირებისა და სამეურნეო ორგანოების ღონისძიებანი. კამპანიის დაწყებამდე მცირე დროღა დარჩა. კამპანიის პარტიული ხელმძღვანელობის ამოცანას შეადგენს თავის დროზე შეამზადოს კამპანია და მიიღოს საჭირო ზომები კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

„პრავდა“, 29 სექტემბერი.

შეერთებული შტატების ნოტა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ

საზღვაო შეიარაღების „შეზღუდვის“ ინგლის-საფრანგეთის პროექტს ამერიკა მიუღებლად თვლის

გერმანიაში უკმაყოფილო არიან ზალესკის და სოკალის ანტიგერმანიული გამოსვლებით

შეერთებული შტატების ნოტა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ

ლონდონი, 27 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„დღეს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაეცა შეერთებული შტატების საპასუხო ნოტა ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმების შესახებ. შეერთებული შტატების მთავრობა ამ ნოტაში აცხადებს, რომ შეთანხმება, როგორც სჩანს, ვერ აღწევს მიზანს და ვერ ანხორციელებს ვერც ერთ იმ პირობას, რომელიც, შეერთებული შტატების მთავრობის აზრით, არსებით პირობად უნდა ჩაითვალოს“.

„როგორც ეტყობა, — ნათქვამია შემდეგ ნოტაში, — გემების ერთადერთ კატეგორიებად, რომლებზედაც ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმებით, შეზღუდვა უნდა გავრცელდეს, არის 10.000 და უფრო ნაკლებ ტონიანი კრეისერები და რომელნიც შეიარაღებულნი არიან 6-8 დიუმიან კალიბრის ზარბაზნებით. ამას გარდა, შეზღუდვა ეხება 600 ტონიანზე ნაკლებ წყალქვეშა ნავებს. შეერთებული შტატების აზრით, იმისათვის, რომ შეიარაღების შეზღუდვამ სასურველი ნაყოფი გამოიღოს, ეს შეზღუდვა უნდა გავრცელდეს მებრძოლი გემების ყველა კატეგორიებზე. კრეისერების აღნიშნული კატეგორიების შეზღუდვა ნიშნავს მხოლოდ იმ გემების შეზღუდვას, რომლებიც შეერთებული შტატების რესპუბლიკას ყველაზე მეტად ესაჭიროება. აშკარაა, რომ ამ ტიპის გემების შეზღუდვა არაჩვეულებრივად გააძლიერებს იმ სახელმწიფოებს, რომელთაც შოეპოვებათ დიდი კომერციული ფლოტი. ხსენებულ სახელმწიფოებს შეუძლიათ მშვიდობიან დროს დაიწყონ მზადება კომერციული ფლოტის გემებზე ექვს დიუმიანი ზარბაზნების დასადგმელად. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ეს წინადადება უფრო მეტად მიუღებელია, ვიდრე ინგლისის დელეგაციის ის წინადადება, რომელიც სამ საზღვაო სახელმწიფოს კონფერენციას წარედგინა“.

შემდეგ ნოტა წინააღმდეგია იმისა, რომ შეუზღუდველი რჩებიან 600 ტონიანზე ნაკლები წყალქვეშა ნავები. ნოტა აცხადებს, რომ შეერთებული შტატების რესპუბლიკა, სხვა სახელმწიფოებთან ერთად, სიამოვნებით მოსპობდა მთელ წყალქვეშა ფლოტსო. მაგრამ, თუ წყალქვეშა ნავებმა უნდა განაგრძონ არსებობა მაშინ, შეერთებული შტატების აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნება წყალქვეშა ფლოტი შეიზღუდოს წყალქვეშა ნავების ტონაჟის ან მათი რიცხვის მიხედვით.

„შეერთებული შტატების მთავრობა, — ნათქვამია ნოტაში, — ფიქრობს, რომ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება, რომელიც შეუზღუდველად სტოვებს ფლოტის საგრძნობ ნაწილს (ტონაჟის მიხედვით) და სამხედრო გემების მრავალ ტიპს, აქტიურად შეუწყობს ხელს განიარაღების ყოველგვარი კონფერენციის ძირითადი მიზნების ჩაშლას. შეერთებული შტატების მთავრობას არაფერი აქვს საწინააღმდეგო — ინგლისმა და საფრანგეთმა დასდონ ისეთი შეთანხმება, რომელიც მათ სასარგებლოდ მიაჩნიათ შეიარაღების შეზღუდვის ინტერესებისთვის, მაგრამ თვითონ იგი ვერ წავა ასეთ შეთანხმებაზე. შეთანხმების მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოებს მიეცემათ უფლება საერთო ტონაჟის ფარგლებში შესცვალონ პროცენტული შეფარდება გემთა სხვადასხვა კატეგორიების ტონაჟს შორის. ინგლისს რომ ამ მიმართულებით წამოეყენებია წინადადება, შეერთებული შტატების მთავრობა ამ წინადადებას თანაგრძნობით განიხილავდა“. (ადს).

საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლობისთვის

პარიზი, 28 სექტემბერი. ფრანგულ გაზეთებიდან მარტო „ტან“-ი იმეორებს „მატენ“-ის ოფიციოზურ განცხადებას იმის შესახებ, რომ საფრანგეთი მზად არის განსახილველად მიიღოს შეერთებული შტატების ყოველი წინადადება, რომელიც კი ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შეცვლას გულისხმობსო. მთელი დანარჩენი პრესა, „ჰუმანიტე“-ს გარდა, გადაჭრით მოითხოვს, რომ საფრანგეთის მთავრობამ შეინარჩუნოს სრული დამოუკიდებლობა თავის საგარეო პოლიტიკაში. (ადს)

„ხოჩი“-ს ოპტიმიზმი

ტოკიო, 28 სექტემბერი. გაზეთი „ხოჩი“ მოწინავე წერილში აცხადებს, რომ ინგლის - საფრანგეთის საზღვაო შეთანხმება იმ სახით, რა სახითაც იგი გადმოცემულია ხერსტის გაზეთების და „კრასნაია ზვეზდა“-ს მიერ ყოვლად დაუჯერებელია, ვინაიდან „ასეთი საიდუმლო შეთანხმება არ ეგუება დღეს გაბატონებულ განწყობილებას“-ო. გაზეთი მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ასეთ პროპაგანდას შეუძლია ზოგიერთს პესიმიზმი ჩაუნერგოს განიარაღების საკითხში. (ადს)

ინგლისის პრესის კომენტარიები

ლონდონი, 29 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ის დიპლომატიური კორესპონდენტი კომენტარიებს უკეთებს ამერიკის პასუხს ინგლის-საფრანგეთის კომპრომისზე და აღნიშნავს ორ ფაქტს: პირველი—ინგლისის ნოტა, რომლის პასუხია ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების ნოტა, ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული. ეს ეწინააღმდეგება ჩვეულებრივს დიპლომატიურ პროცედურას. მეორე—შეერთებული შტატების მთავრობას გადაეცა არა სრული ტექსტი ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებისა, არამედ მისი შინაარსი, გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თვით ამერიკის მთავრობასაც არ ქონდა თვალწინ ნამდვილი შეთანხმება. „ამნაირად,— სწერს გაზეთი,—ამ საქმის გახვევამ ბურუსში ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა“.

„დეილი ექსპრეს“-ი აღნიშნავს, რომ ამერიკის პასუხის ტექსტი პრესას ეუწყა ამერიკის საელჩოს საშუალებით ლონდონში. „ამნაირად,—სწერს გაზეთი,—შეერთებულ შტატებმა ისევ ითამაშეს იმ წყაროს როლი, რომლის საშუალებით ინგლისის ხალხს საშუალება ეძლევა, გაეცნოს ინგლისის მთავრობის მიერ მიღებულ ვალდებულებებს“.

„დეილი ქრონიკლ“-ი სწერს, რომ ინგლის-საფრანგეთს მოლაპარაკება ამერიკის ზურგს უკან დიდი უტაქტობაა და ამ მოლაპარაკებას შეიძლება ისე შევხედოთ, როგორც განგებ შექმნილ შეურაცყოფასო (ადს).

გარბიან მენშევიკურ პარტიიდან

წევრების მასიურად შესვლა გერმანიის კომპარტიაში

ბერლინი, 28 სექტემბერი. პროვინციალური კომუნისტური პრესა განაგრძობს ამბების გადმოცემას იმის შესახებ, რომ **წინეთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მყოფი მუშები განაგრძობენ მასიურად გადასვლას კომპარტიაში**. ამ მასიურ გადასვლასთან დაკავშირებით, შუა-რეინის ოლქში ბოლო დროს დაარსდა კომპარტიის ათი ახალი ადგილობრივი ორგანიზაცია. **ბევრი იმათგანი, ვინც კომპარტიაში გადადის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო ათი-ოცი წლის განმავლობაში**. (ადს).

გერმანია-რუმინეთის ეკონომიური მოლაპარაკება

ბერლინი, 28 სექტემბერი. ჩამოვიდა დელეგაცია გერმანია-რუმინეთის ეკონომიური მოლაპარაკების გასაგრძელებლად. დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, „ფოსიშე ცეიტუნგ“-ი იუწყება, რომ გერმანიის მთავრობა, სხვათა შორის, **დასთანხმდა გადაუხადოს რუმინეთს 56 მილიონი ოქროს მარკა** რუმინეთის ყველა იმ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის მიერ ბუქარესტის ოკუპაციის დროს რუმინეთის ნაციონალური ბანკის მიერ ბანკნოტების გამოშვებასთან და აგრეთვე ყველა იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც რუმინეთს მიაყენა ბუქარესტის ზავმა. მაგრამ **რუმინეთი გერმანიას ამას გარდა უყენებს მოთხოვნას 10—15 მილ. ოქროს მარკის გადახდის შესახებ**. ეს მოთხოვნა ერთად-ერთი საკამათო საკითხი, რომელიც ხელს უშლის საბოლოო შეთანხმებას (ადს).

სოკალისა და ალესკის ანტიგერმანული გამოსვლები

ბერლინი, 28 სექტემბერი. გერმანიის ხელმძღვანელ პოლიტიკურ წრეებში დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ პოლონეთის დელეგატის (ერთა ლიგაში) სოკალის და პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ზალესკის ანტიგერმანული გამოსვლების გამო. ოფიციოზური „დეიჩე დიპლომატიშე კორესპონდენც“-ი სწერს:

„**სამწუხაროდ, პოლონეთის პასუხისმგებელი სახელმწიფო მოღვაწეების განცხადებები მხოლოდ იმას კი არ ნიშნავენ, რომ ორატორებს წამოსცდათ, რაც სათქმელი არ იყო, არამედ ატმოსფერის გაუარესებასაც მოასწავებენ**. გერმანიას ისევ გულწრფელად სურს შეუთანხმდეს პოლონეთს, მაგრამ ამ სურვილის განხორციელებისათვის საჭიროა, რომ მეორე მხარესაც ასეთი მისწრაფება ჰქონდეს.

ასეთივე კილოთი სწერენ სხვა გაზეთებიც, მათ შორის „ფორვერტს“-ი, რომელსაც ყოველთვის მეგობრული პოზიცია ეჭირა პოლონეთის მიმართ. (ადს).

პოლონელი სენატორი საბჭოთა კავშირის შესახებ

ვარშავა, 28 სექტემბერი. ოფიციოზი „გლოს პრავდი“ და სამხედრო სამინისტროს ორგანო „პოლსკა ზბროინა“ აქვეყნებენ ინტერვიუს პოლონეთის მრეწველთა დელეგაციის წევრ სენატორ ევერტთან. ევერტი აქებს ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობას და საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებს, რომლებიც პოლონეთის დელეგაციამ ინახულა. ევერტი აცხადებს, რომ ეხლანდელი კონიუნქტურა ხელსაყრელია სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებისათვის პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. ის უნდობლობა, რომლითაც პოლონეთის საქმიანი პირები უყურებენ საბჭოთა კავშირს, მას უსაფუძვლოდ მიაჩნია. ვინაიდან საბჭოთა კავშირის მხრივ, მონოპოლიურ მსყიდველად როგორც ვაჭრობის სახალხო კომისარიატი გამოდის პოლონეთის მრეწველებიც უნდა გაერთიანდნენ და მოაწყონ სინდიკატები მრეწველობის ცალკე დარგებში.

დასასრულ, ევერტი შეეხო ლენინგრადის ნავთსადგურის საუკეთესო მოწყობილობას და პოლონეთის საკონცესიო წარმოებათა წარმატებას საბჭოთა კავშირში.

პოლიტიკურ შეკითხვებზე ევერტმა პასუხი არ გასცა მაგრამ მან ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის მიღწევებს სოციალური უზრუნველყოფის დარგში და აღტაცებით ილაპარაკა დედათა და ბავშვთა დაცვის სახელმწიფო ინსტიტუტის შესახებ, აგრეთვე ყოფილ სისხლის სამართლის დამნაშავეთა კომუნის შესახებ, რომელიც მოსკოვის მახლობლად არსებობს“. (ადს).

ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტები მოითხოვენ

მათი ინტერესების „უზრუნველყოფას“ რუმინეთში

ვენა, 28 სექტემბერი. ბუქარესტიდან გადმოცემული ცნობების მიხედვით, ლონდონსა და პარიზში რუმინეთის სესხის შესახებ მოლაპარაკების დროს თავი იჩინეს ახალმა სიძნელეებმა. ინგლისის ბანკები რუმინეთისათვის სესხის მიცემის საკითხს უკავშირებენ რუმინეთში ინგლისის კაპიტალის ინტერესების უზრუნველყოფას რუმინეთის ეკონომიური კანონმდებლობის გადასინჯვის გზით. საფრანგეთის მხრივაც მოითხოვენ იმ საკანონმდებლო დადგენილებათა გადასინჯვა, რომლებიც საფრანგეთის კაპიტალისტურ წრეებს მიაჩნიათ რუმინეთის ნავთის მრეწველობაში უცხოეთის კაპიტალის მუშაობის შემაფერხებლად. (ადს).

ინგლისის კონსერვატიული პარტიის კონფერენცია

ლონდონი, 28 სექტემბერი. კონსერვატიული პარტიის კონფერენციას ესწრება 2.600 დელეგატი. პირველი დღის სხდომა ძალიან მოსაწყენ პირობებში მიმდინარეობდა. სიტყვები უგულოთ მოისმინეს, ოფიციალური რეზოლიუციები მეტად სასწრაფოდ მიიღეს. კონფერენციას ახასიათებს პარტიის ხელმძღვანელობის სურვილი—ხაზგასმით აღნიშნოს კონსერვატიული პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ აზრთა იმ სხვადასხვაობისა, რომელსაც ადგილი აქვს ლიბერალებსა და მუშათა პარტიებში.

კონფერენციამ ყველაზე მეტი ყურადღება მიაქცია მრეწველობის დაცვის საკითხს. პეიკროფტმა შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს—რაც შეიძლება ერთად იქნეს გამოყენებული კანონი მრეწველობის დაცვის შესახებ. რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული (ადს).

ლონდონი, 28 სექტ. კონსერვატიული პარტიის ყრილობა გრეიტ-იარმუტში დასრულდა უკანასკნელი კითხვები აჩქარებით გაირჩა.

ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „კონსერვატიული პარტია ბეჯითად მისდევს ტრადიციებს დიზრაელისა (ლორდ ბიკონსფილდი, კონსერვატიულ პარტიის ერთ-ერთი მეტად თვალსაჩინო მოღვაწე 1860—1880 წლ., არა ერთხელ პრემიერ მინისტრად ნამყოფი) და მისი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ღარიბ კლასთა ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ, შეუცვლელი რჩება“.

ყრილობის დახურვის წინ მიღებულ იქნა ტრადიციული რეზოლიუციები, რომლებშიც მადლობას უცხადებენ პარტიის ლიდერებს.

„ნაციონალური კრიზისი“

ლონდონი, 28 სექტემბერი. რეიტერი იუწყება ადელაიდიდან:

„დოკერების გაფიცვასთან დაკავშირებით, **სამხრეთ-ავსტრალიის მთავრობამ „ნაციონალური კრიზისის“ მდგომარეობა გამოაცხადა. მუშაობა ყველგან შეწყვეტილია ორშაბათამდე**. პრემიერის მოწოდებით, მოქალაქენი ეწერებიან სპეციალური მილიციის რაზმებში. მილიციას სათავეში უდგიან არმიის ყოფილი ოფიცრები.

პრემიერმა განაცხადა: „ან ბრბო იქნება მმართველად, და ან კონსტიტუციონური მთავრობა იარსებებსო“.

„ფოლადის მუზარადის“ მოთხოვნილება

ბერლინი, 28 სექტემბერი. „ფოლადის მუზარადს“ განზრახული აქვს მოითხოვოს საყოველთაო კენჭის ყრა ვეიმარის კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ. ნაციონალისტური გაზეთების ცნობით, „ფოლადის მუზარადის“ მიზანია პრეზიდენტის უფლებათა გაფართოვება და პარლამენტის უფლებათა შეზღუდვა

საპროტესტო მიტინგი

ბერლინი, 28 სექტემბერი. შვეიცარიის კომპარტიამ ბაზელში მოაწყო მასიური მიტინგი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით, იმასთან დაკავშირებით, რომ ამას წინად იტალიის პოლიციის აგენტებმა შვეიცარიის ტერიტორიიდან გაიტაცეს იტალიელი ემიგრანტი ჩეზარე როსი. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს პოლიტიკური ემიგრანტების თავშესაფარის უფლების დაცვას შვეიცარიაში და ითვალისწინებს ფაშიზმთან ბრძოლის ზომებს. მიტინგის შემდეგ შესდგა დიდი მასიური დემონსტრაცია.

სხვადასხვა

— მთავრობის ანაბარები ნაციონალურ ბანკში. „ეტლაატ“-ის ცნობით სპარსეთის ფინანსთა სამინისტრომ გასცა განკარგულება მთავრობის ყველა ანაბარების გადატანის შესახებ ინგლისის ბანკიდან ნაციონალურ ბანკში. (ადს).

— გერმანიის იუსტიციის სამინისტრომ რეიხსტაგში შეიტანა კანონპროექტი პოლიტიკურ ემიგრანტების გაცემის შესახებ.

— პრაღის პოლიციამ კონფისკაცია უყო ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური ორგანოს „რუდე პრავო“-ს ყველა ნომრებს კონფისკაცია გამოიწვია იმან, რომ გაზეთმა მოათავსა კომუნისტ სენატორის ხლუმეცკის სიტყვა სიძვირის ზრდის შესახებ.

— შანხაის სტამბების 3.000 მუშამ გაფიცვა გამოაცხადა.

— დიდი წვიმების გამო სამხრეთ-საფრანგეთში ადიდდა მდ. რონა, რომელმაც გაარღვია ჯებირები და დაფარა ახლო მიდამოები, წყლის სიმაღლე ზოგან 3 მეტრს აღწევს. ზარალი რამდენიმე მილიონ ფრანკს უდრის.

ამხ. რიკოვი საბჭოების გადარჩევის შესახებ

ხარკოვი, 29 სექტემბერი. მოსკოვში გამგზავრების წინ ამხ. რიკოვმა მიიღო კორესპონდენტი რატაუ.

განაცხადა: „მთელი საბჭოთა კავშირი ამჟამად საბჭოების არჩევნების შესახებ ამხ. რიკოვმა ემზადება საბჭოთა არჩევნებისთვის, რომელიც დაიწყება 1929 წელს იანვარში და დასრულდება გაზაფხულზე. თითქმის ორი წელი გავიდა უკანასკნელი საარჩევნო კამპანიის შემდეგ ,და ამ დროს განმავლობაში უდიდესი ცვლილებები მოხდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრებაში. სრულიად საკავშირო ბიუჯეტი ამ ხნის განმავლობაში ორი მილიარდით გაიზარდა. კოლოსალური ხარჯები იქნა გაწეული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღსადგენად და განსავითარებლად. სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში შევუდექით ახალ უდიდეს ამოცანათა გადაჭრას, რომლებიც ორი წლის წინეთ მხოლოდ ოდნავ ისახებოდა. თავისი მასშტაბით ამ იშვიათ მუშაობაში ჩვენი დიდ დაბრკოლებათა გადალახვა მოგვიხდა. საარჩევნო კამპანიის დროს, რომლისთვისაც სამზადისს უკვე დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ, სამეურნეო, კულტურული და საერთო სახელმწიფოებრივ დარგში ყოველი ჩვენი წარმატება და მარცხი ფართოდ უნდა გაშუქდეს ამომრჩევლების წინაშე.

საარჩევნო კამპანია ჩვენ უნდა გამოვიყენოთ, არა მარტო იმ მიზნისთვის, რომ ამომრჩევლებს ანგარიში ჩავაბაროთ, არამედ იმისთვისაც, რომ მუშები და საშუალო შეძლებისა და ღარიბი გლეხები ჩავაბათ იმ კითხვების განხილვაში, რომლებიც საბჭოების წინაშე სდგას.

მიმდინარე პერიოდისათვის სოფელში საპირბოროტო ამოცანაა ნათესების გაფართოვება და მოსავლიანობის გადიდება. საანგარიშო საარჩევნო კამპანიის განვითარების დროს უნდა გაშუქებულ იქნას საბჭოების, სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის და ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხთა მასების ორგანიზაციების საქმიანობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა კითხვათა გადასაწყვეტა, აგრეთვე უნდა გაშუქებულ იქნას ჩვენი მიღწევები კულაკებთან ბრძოლის დარგში“.

საუბრის დასასრულ ამხ. რიკოვმა გაუზიარა კორესპონდენტს საბჭოთა კავშირში მოგზაურობისგან მიღებული თავისი შთაბეჭდილებები.

„ჩემი მოგზაურობის დროს ჩრდილოეთ კავკასიაში და უკრაინაში,—სთქვა ამხ. რიკოვმა,—მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი იმაში, თუ რა ღრმასა და სერიოზულ როლს თამაშობს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრებაში კულტურისა და ყოფა-ცხოვრების საკითხები. უდიდესი ნაწილი იმ ბარათებისა, რომელსაც მე მაძლევდნენ სხვადასხვა კრებებზე, ეხება საბინაო მშენებლობის საკითხებს, გზებისა და სკოლების მშენებლობას და მოსახლეობის სხვადასხვა კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონე, რომელიც თანდათან მაღლა იწევს, და მათი პოლიტიკური აქტივობის ზრდა სტიქიურად სულ ახალსა და ახალ კულტურულ მოთხოვნილებებს იწვევს. ამაშია ერთერთი უდიდესი მიღწევათაგანი განვლილი პერიოდისა. საერთო კულტურული ამაღლების გარეშე, ცოდნისა, საყოველთაოდ წერა-კითხვის შესწავლასა და მუშათა და გლეხთა ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღების გარეშე ძნელია და შეუძლებელიც სოციალისტური მშენებლობის გზაზე წინსვლა. რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილება ამ მოთხოვნილებათა ამჟამად უფრო სავალდებულოა, ვიდრე წინეთ. ეს ეხება არა მარტო ქალაქს, არამედ სოფელსაც. სოფელში საჭიროა ავსწიოთ და გავაუმჯობესოთ სასკოლო საქმე. სოფელს უნდა მივსცეთ რადიო, მოძრავი კინო; დავსწრათ იქეთკენ პოპულარული და გლეხ. მასებისთვის მისაწვდომი წიგნი და გაზეთი, საჭიროა ყოველი ღონე ვიღონოთ, რომ ჩვენი ქვეყნის მშენებლობის საერთო საქმეში სოფელიც შავაბათ“.

რუმინეთის ოფიციოზი განიარაღების შესახებ

ვენა, 28 სექტემბერი. რუმინეთის ოფიციოზი „ენდეპანდანს რუმენ“-ი კომენტარიებს უკეთებს განიარაღების საკითხის გამო ერთა ლიგაში აღძრულ კამათს და აცხადებს, რომ პოლონეთი და რუმინეთი არასოდეს არ დასთანხმდებიან შეამცირონ არმია იმ დრომდე, ვიდრე საბჭოთა კავშირი არ დასთანხმდება გაატაროს შემცირება. პოლონეთი და რუმინეთი მზად არიან განიარაღდნენ, თუ იმათ უშიშროებას ინტერნაციონალური ძალა ისევე უზრუნველჰყოფს, როგორც მათივე შეიარაღებული ძალა, რომელზედაც ისინი უარს იტყვიან განიარაღების შემთხვევაში. მაგრამ თანამედროვე ევროპაში არ არის ასეთი ძალა. ლიგას არა ჰყავს არმია, თანამედროვე კონტინენტალური სისტემა, მცირე ანტანტის ჩათვლით, არ არის საკმარისად საიმედო საბჭოთა კავშირის მხრივ შესაძლებელი თავდასხმა შემთხვევაში. რუმინეთის მაგალითმა ომის დროს დაამტკიცა, რომ რუმინეთს არ შეუძლია მოკავშირეთა მხრივ ამუნიციით უზრუნველყოფის იმედი იქონიოს. ამიტომ იგი იძულებულია თავისი არმია განავითაროს უმაღლეს დონემდე. (ადს).

ფრანგ ფეიქართა გაფიცვა

პარიზი, 28 სექტემბერი. „იუმანიტე“-ს ცნობით, თუმცა ლილში გაფიცვა ჯერ არ გამოცხადებულა, **მაგრამ ფაქტიურად უკვე გაფიცულია 4.000 ფეიქარი**. იმ რაიონებში, სადაც გამოცხადებულია გაფიცვა, მდგომარეობა უცვლელია. რეფორმისტების დელეგატებმა ჟუოს მეთაურობით ინახულეს პუანკარე. ეგრედწოდებული ავტონომიური პროფკავშირების დელეგატებმა შმიდტის მეთაურობით სთხოვეს ლუშერს იკისროს შუამავლობა მწარმოებლებთან მოლაპარაკებაში. (ადს).

„გასაოცარი“ მოძრაობა

შანხაი, 28 სექტემბერი. იაპონიის კონსულმა შანხაიში ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა კომისარს შანხაიში მიმართა ოფიციალური წერილით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ბოლო დროს ადგილი აქვს არა მარტო იაპონიის საქონლის ბოიკოტს, არამედ იწყება ახალი „გასაოცარი“ მოძრაობა, რომელიც აგიტაციას ეწევა იაპონიაში ბრინჯის გატანის წინააღმდეგო, წერილი თავდება განცხადებით: „თუ ბრინჯის გატანის აკრძალვას ბოლო არ მოეღო, ამ გარემოებას მოჰყვება ნანკინის მთავრობის ღირსების სერიოზული შელახვა და მისდამი ნდობის დაკარგვაო“. (ადს).

კონფლიქტი შუა-გერმანიის ნახშირის მრეწველობაში

ბერლინი, 28 სექტემბერი. სამედიატორო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება შუაგ-ერმანიის ნახშირის მრეწველობაში მომხდარი კონფლიქტის შესახებ, რომელიც გამოიწვია იმან, რომ მუშებმა უარყვეს სატარიფო შეთანხმება. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება 70.000 მემაღაროეს, ითვალისწინებს, რომ სატარიფო შეთანხმება ძალაში უნდა დარჩეს 1928 წლის პირველ ოქტომბრამდე, მხოლოდ იმ ცვლილებებით, რომ მასში დადგენილი ტარიფები მაქსიმალურია. გადაწყვეტილება ითვალისწინებს ხელფასის გადიდებას 8 ნახ. პროცენტით. უარყოფილ იქნა მოთხოვნა მემაღაროეებისა, რომელიც მურა ნახშირის ამოღებას მუშაობენ, 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მწარე ირონია

მოსკოვი, 30 სექტემბერი. გაზეთ „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი ა. კაიტი გადმოგვცემს შემდეგს:

ბერლინის პოლიტიკურ წრეებში მეტად ირონიულად იხსენიებენ ერთა ლიგის უკანასკნელ სხდომის თავმჯდომარის საბოლოო სიტყვას. როგორც ვიცით, თავმჯდომარემ სხდომის დახურვის წინ გამოსთქვა თავისი ღრმა რწმენა ერთა ლიგის დიდი მომავლის შესახებ.

საზოგადოებრივი აზრის უკმაყოფილება მიმართულია არა მარტო დასავლეთის ქვეყნების მთავრობებისაკენ. პრესა დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს თვით გერმანიის პოლიტიკის შესახებაც, განსაკუთრებით განიარაღების შესახებ გამართულ დებატების უკანასკნელი ფაზის შესახებ. გაზეთები თავს ესხმიან ბერნსტორფს რომელმაც თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა გერმანიის პოლიტიკურ უსასოებას.

ის ფაქტი, რომ ბერნსტორფის წინააღმდეგ წამოყენებულია მრავალი სახის ერთი მეორეს საწინააღმდეგო ბრალდება, მოწმობს პოლიტიკურ გეზის გაურკვევლობას თვით გერმანიაში.

„რა იცით თქვენ ხუთ წლიან გეგმის შესახებ“

მოსკოვი, 30 სექტემბერი. „რაბოჩაია გაზეტა“ ათავსებს წერილს შემდეგი სათაურით: „რა იცით თქვენ ხუთ წლიან გეგმის შესახებ?“ გაზეთი აღნიშნავს, რომ ბევრ შემთხვევაში მუშებმა არაფერი იციან ხუთწლიან სამეურნეო გეგმის შესახებ. კიდევ მეტი, მუშებმა ხშირად არაფერი იციან წარმოების ერთწლიანი გეგმის შესახებაც კი.

ამნაირად შესაძლებელია, რომ ხუთწლიანი გეგმა მუშათა საზოგადოებრიობის გარეშე დარჩეს. საჭიროა ამ გარემოებას აქედანვე მიექცეს ყურადღება. უნდა შეუდგეთ ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმის მასიურად განხილვას მუშათა საერთო კრებებზე.

თამბაქოს მთავარი დამამზადებელი

მოსკოვი, 30 სექტემბერი. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა თამბაქოს მთავარ დამამზადებლად მთელ საბჭოთა კავშირში დაამტკიცა თამბაქოს კოოპერაციის ცენტრალური გამგეობა

ავტომობილიზაციის განვითარებისათვის

მოსკოვი, 30 სექტემბერი. ავტომობილიზაციის საპერსპექტივო ამოცანებთან დაკავშირებით და ავტორეზინის საქონლის უკვე არაჩვეულებრივად გაზრდილ მოთხოვნილების გამო, მოსკოვის საბჭომ მიზანშეწონილად სცნო ააშენოს მოსკოვშივე რეზინო-საფეიქრო კომბინატი. ახალ წარმოებაში იმუშავებს 5.000 კაცი.

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა
ოქტომბრისათვის
კვირას, 30 სექტემბერს
კანტორა ღია იქნება ხელის მოწერის მისაღებად
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

უკანასკნელი ცნობები

შვეციის კაბინეტის შედგენა მიენდო კონსერვატორების ლიდერს

სტოკჰოლმი, 29 სექტემბერი. რადგანაც გამოირკვა, რომ ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის შედგენა შეუძლებელია (ასეთს ბლოკში მონაწილეობის მიღებაზე თავისუფალ მოაზროვნეთა უარის თქმის გამო), მეფემ ახალი კაბინეტის შედგენა მიანდო კონსერვატორების ლიდერს ადმირალს ლინდმანს, რომელმაც მიიღო ეს დავალება (ადს).

ფეიქართა საგაფიცვო მოძრაობა საფრანგეთში

პარიზი, 29 სექტემბერი. ლილის მახლობელ რაიონში ფეიქართა გაფიცვას შეუერთდნენ რამდენიმე ფაბრიკის მუშები. ულინში გაფიცულმა ფეიქრებმა მოაწყვეს მსვლელობა არმანტიერისაკენ. პოლიციამ მათ გზა გადაუღობა. მოხდა შეტაკება. რამდენიმე ათასმა მუშამ გაარღვია პოლიციელების წრე და არმანტიერში, სალმონის ფაბრიკის წინ, მოაწყო მიტინგი, რომლის გაფანტვა პოლიციამ ვერ შესძლო. მიტინგის შემდეგ სალმონის ფაბრიკის მუშები გაფიცვას შეუერთდნენ (ადს).

მაი-ცზუნ-ჩის დეპეშა

პეკინი, 28 სექტემბერი. მაი-ცზუნ-ჩიმ ცირკულიარული დეპეშა გაუგზავნა სამხრეთელების სხვადასხვა ლიდერებს. დეპეშაში გამოხატავს სურვილს წაიყვანოს ჯარი უკან ხანკოუში და თავი დაანებოს იმ ექსპედიციის უფროსობას, რომელიც მოქმედობს ჩილი-შანდუნის საბოლოოდ განადგურებული ჯარების ნაშთების წინააღმდეგ. (ადს).

ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ

კამპანია საყოველთაო კენჭის ყრის სასარგებლოდ

ბერლინი, 28 სექტემბერი. კამპანია საყოველთაო კენჭის ყრის სასარგებლოდ (ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ), რომელსაც ამჟამად ატარებენ გერმანიის კომპარტია და სხვა პროლეტარული ორგანიზაციები, ფართოდ მოედო მთელს გერმანიას. რათა ხელის მოწერის შეკრების დროს შეთანხმებულად სწარმოებდეს საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა, გერმანიის კომპარტიის, კომკავშირის, წითელფრონტელთა კავშირის, წითელი იუნგფრონტის, ქალთა წითელი კავშირის, რემეჯასის გერმანული სექციის, მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის, ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო საზოგადოებისა და ბერლინის მუშათა სასპორტო ორგანიზაციების გაერთიანების ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს მოაწყონ თავიანთ წევრთა კრების მთელი რიგი. (ადს).

გონივრული ნაბიჯი

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. არგენტინის დეპუტატთა პალატამ 1929 წლის ბიუჯეტიდან გამორიცხა ერთა ლიგაში შესატანი თანხა. (ადს).

ამხ. რიკოვი დაბრუნდა შვებულებიდან

მოსკოვი, 29 სექტემბერი. მთავრობის ცნობა: „საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს და რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ალექსეი ივანეს ძე რიკოვი 1928 წლის 29 სექტემბერს დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა თავის მოვალეობათა ასრულებას.

რედაქტორების საკავშირო თათბირი

ამხ. ინგულოვის საბოლოო სიტყვა

მოსკოვი, 28 სექტემბერი. „ჩვენი თათბირის დედა-აზრი,—სთქვა ამხ. ინგულოვმა,—ამოიწურება იმით, რომ ჩვენი პრესის ხაზი მივმართოთ იმ ძირითადი ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც ამჟამად დასახული აქვს ჩვენს პარტიას. ეს შეიძლება მოხერხდეს იმით, რომ პრესაში საკითხები ნათლად და მკაფიოდ დაისვას... როდესაც ვამბობდი—კამპანიები არაქათს გვაცლიან მეთქი, მინდოდა გამომეთქვა ის აზრი, რომ უნდა ვიცოდეთ მასების აღზრდა კონკრეტული, სრულიად ნათელი ამოცანების გარშემო. თვითკრიტიკა არის არა კამპანია, არამედ მასების აღზრდის მეთოდი, მასების ჩაბმის მეთოდი მშენებლობაში. თვით „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცლების“ არსებობის ფაქტიც კამპანიობის ელემენტია. რასაკვირველია, ახლა უაზრობა იქნება ლაპარაკი იმაზე, რომ „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცლები“ გავაუქმოთ: ისინი ჯერ კიდევ ყველგან არ შექმნილან, ყველგან არ გამოუჩენიათ თავიანთი სახე, ჯერ კიდევ გზის ძებნაში არიან. „ფურცლების“ დადებითი მნიშვნელობა ის არის, რომ მათ შეაქვთ სათანადო წრეებში იმის შეგნება, რომ თვითკრიტიკა—ასე ვსთქვათ,—ლეგალური მოვლენაა, რომელსაც პარტია მხარს უჭერს. ამ მხრით ფურცლები წარმოადგენენ აგიტაციას თვითკრიტიკის სასარგებლოდ. როდესაც თვითკრიტიკის იდეა მასებს დაეუფლება, „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი“ გაუქმდება, საჭირო აღარ იქნება და თვითკრიტიკა გადაიქცევა მეთოდად, რომელიც შეიჭრება ჩვენი მუშაობის ყველა დარგში.

„ფურცლების“ მეორე დადებითი მნიშვნელობა ის არის, რომ მათის საშუალებით ორგანიულ კავშირს ვამყარებთ საზოგადოებრივი კონტროლის ცალკე ორგანიზაციებს შორის. თათბირზე სცდილობდნენ თვითკრიტიკის ლოზუნგის რეალიზაციის ახალანდელი მდგომარეობის შეფასებას. ზოგიერთის დაკვირვებით, უკანასკნელი ორი-სამი თვის განმავლობაში პრესის ორგანოებს ემჩნევათ თვითკრიტიკის ერთგვარი შესუსტება; აღარ არსებობს წინანდელი აღფრთოვანება და სიმტკიცე ავადმყოფურ მოვლენებთან ბრძოლაში. ამას, როგორც ეტყობა, იწვევს ორი მიზეზი. პირველი მიზეზი: ბევრმა გაზეთმა უცებ და ძალიან მაღლა აუწია კილოს, მაგრამ ზოგმა მათგანმა ბოლომდე ვერ გაატანა, და ამ გარემოებამ საშუალება მისცა თვითკრიტიკის მოწინააღმდეგეებს გამოეყენებიათ პრესის შეცდომები თვითკრიტიკის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. მეორე მიზეზი ის არის, რომ თვით კრიტიკის მოწინააღმდეგენი მართლაც რეალურად გადავიდნენ შეტევაზე სხვადასხვა ადგილას. მახვილი მიმართული უნდა იქნას, რასაკვირველია, ყველაზე უწინ იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ თვითკრიტიკის ლოზუნგის შეკვეცას და შეზღუდვას.

როგორ უნდა გავაშუქოთ პრესაში კულტურული რევოლიუციის საკითხები? აქ საჭიროა უდიდესი სიფხიზლე და უდიდესი შეურიგებლობა. მაგრამ სწორედ ამ ფრონტზე, რომელიც ყველაზე უფრო ძნელია ჩვენთვის, იწყება კლასობრივი ნებისყოფის მოდუნება და დაქუცმაცება. ჩვენი პრესა საკმაო წინააღმდეგობას ვერ უწევს უცხო იდეოლოგიის შეჭრას კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგში. თათბირზე გაისმა ხმები, რომ მოისპოს გაზეთების დაყოფა ტიპებად. მუშურ-გლეხური, ხელმძღვანელ გაზეთებად და სხვა. ყველა ეს გაზეთი შერეულია და საქმე მხოლოდ იმაშია, რომ თვითეული გაზეთი ლაპარაკობდეს განსაკუთრებული ენით—მუშის და გლეხის ენით. საკითხის ასე დაყენება ძირიან-ფესვიანად შემცდარია. დიფერენციაცია უფრო ღრმა უნდა იყოს. ჩვენ გლეხობას არა ვთვლით ერთ მთლიან მასად, ამიტომ საჭიროა უფრო მასიური და უფრო პოპულიარული გაზეთები ნაკლებად მცოდნე ფენებისთვის და ნაკლებ მასიური და ნაკლებ პოპულიარული გაზეთები უფრო მომზადებული ფენებისათვის. სავსებით სამართლიანია ის მოთხოვნა, რომ გლეხური გაზეთების ავტორიტეტი გაძლიერდეს.

რაც შეეხება რედაქტორების კვალიფიკაციის გაძლიერებას იმ ზომების გარდა, რომლებიც ჩამოთვლილია მოხსენებაში, უნდა მოხერხდეს, რომ საშუალება მიეცეთ რედაქტორებს დროებით ჩამოშორდნენ მუშაობას და ცოდნის შეძენას მიჰყვნენ.

როცა ჩვენი პრესის დეფექტების შესახებ ვლაპარაკობთ, ერთი ცოდვაც უნდა გავიხსენოთ—პირფერობა. რეპორტიორმა და რეფერენტმა იციან, თუ ვის შეფერის მქუხარე ტაში, ვის—მხურვალე, ვის—უბრალო ტაში და ვის ოვაციები. მან იცის, თუ რა წესით და რა ზომით აღნიშნოს ესა თუ ის გამოსვლა. ამას ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა ცოტა ბოლშევიკური სიმკაცრე თავის თავისადმი, მეტი პატივისცემა პრესისა, მკითხველებისა და იმ ამხანაგებისადმი, რომელთა სიტყვებიც იბეჭდება.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ჩვენი პრესის აპარატის შესახებ. აქ „საკავშირო დეპეშათა სააგენტოს“ შესახებ ლაპარაკობდნენ—კარგსაც და ცუდსაც. იქ არის დეფექტები, რომლებიც თავიდან უნდა ავიცილოთ, მაგრამ ეს დეფექტები რაოდენადმე დამოკიდებული არ არის იქ მომუშავე ამხანაგების სურვილზე. თუ მტკიცე კავშირი არ იქნება გაზეთთან, დეფექტები დეფექტებად დარჩება. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს უნდა მიუდგეთ არა ლანძღვა-გინებითა და ბუზღუნით, არამედ ამხანაგური თვითკრიტიკითა და კოლექტიური დახმარებით.

უკანასკნელი სიტყვა პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ. აქ გამოვიდა ზოგიერთი ამხანაგი, რომლებიც, ცოტა არ იყოს, უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებენ: თითქოს ჩვენ საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებს არაფერი ესმოდეთ პრესისა და პარტიული ხელმძღვანელობისა პრესის საქმეში, მთელი ჩვენი პასუხისმგებლობის შეგნებით უნდა ვსთქვათ, რომ არ ვარგა ის რედაქტორი, რომელიც თავის თავს პარტიული კომიტეტის გვერდით აყენებს და ცდილობს „სამართალი ეძიოს“ პარტიული კომიტეტის გარეთ.

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ პრესის მუშაკებმა თავიანთი თავი ხელში უნდა დაიჭირონ და იზრუნონ ბოლშევიკური დისციპლინის საჭიროებისათვის. ამავე დროს საჭიროა ბრძოლა ყოველგვარი პოლიტიკური სენტიმენტალობისა და სიზარმაცის წინააღმდეგ როგორც პარტიაში, ისე მშენებლობის ყოველ დარგში, მეტადრე თვით პრესის მუშაობაში.

კომკავშირის პანამერიკული კონფერენცია

მოსკოვი, 29 სექტემბერი. ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომთან შესდგა კომკავშირის პანამერიკული კონფერენცია.

კონფერენციაზე მონაწილეობდნენ: ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების, არგენტინის, მექსიკის, ურუგვაის, ბრაზილიის და ჩილის კომკავშირის წარმომადგენლები და აგრეთვე გვატემალას კომპარტიის წარმომადგენელი.

კონფერენციამ დაადასტურა, რომ ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები, მიუხედავათ ფორმალური დამოუკიდებლობისა, წარმოადგენენ ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებს. ამის მიხედვით, კონფერენციამ განსაზღვრა კომკავშირის განსაკუთრებული ტაქტიკა ლათინური ამერიკის ქვეყნებში. პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლა ამერიკის და ბრიტანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ უნდა სწარმოებდეს გლეხებისა და სოფლის მეურნეობის მუშების ბრძოლასთან ერთად მემამულეთა წინააღმდეგ, აგრეთვე ადგილობრივ მკვიდრთა და ზანგების ბრძოლასთან ერთად მათი ნახევრად ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

პანამერიკულმა კონფერენციამ საჭიროდ სცნო ლათინური ამერიკის სამდივნოს დაარსება. (ადს).

პურის დამზადება

მოსკოვი, 29 სექტემბერი. სექტემბრის მეხუთე ხუთდღეულში დამზადებულია **175.380 ტონა** პურეული. წინა ხუთდღეულში დამზადებული იყო **148.400 ტონა.** უკანასკნელ ხუთდღეულში **დამზადება 18,3 პროცენტით** გაიზარდა (ადს).

პროფ. კულიკის დასახმარებლად

ნოვოსიბირსკი, 29 სექტემბერი. მიუხედავათ საბჭოთა კავშირის ავიაქიმის პრეზიდიუმის დადგენილებისა, რომ კულიკის დასახმარებლად მხოლოდ გაძლიერებულ იქნას სამეცნიერო აკადემიის ექსპედიციის შემადგენლობა, საოლქო აღმასკომმა მიზანშეწონილად მიიჩნია ჰიდროაეროპლანის გაგზავნა. აეროპლანი ანგარაზე გადაფრინდება, იძულებითი ძირს დაშვება არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. (ადს).

გერმანელი მფრინავების გაფრენა

მოსკოვი, 29 სექტემბერი. მოსკოვში იმყოფებიან გერმანელი მფრინავი-სპორტსმენები ვინტერფელდი და ეიხლერი, რომლებიც მიფრინავდნენ მარშრუტით ბერლინი—მოსკოვი—ტოკიო.

მათ გადასწყვიტეს მარშრუტის შეცვლა და 28 სექტემბერს სთხოვეს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ინსპექციას ნება დართონ მათ შემდეგი მარშრუტით გადაფრენისათვის: მოსკოვი—ხარკოვი — როსტოვი — ნოვოროსიისკი და შემდეგ შავი ზღვის სანაპიროებით თურქეთისაკენ. ინსპექციამ ნებართვა მისცა მფრინავებს, მაგრამ გააფრთხილა ისინი, რომ ამ დროს შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილზე მცირეძალიანი ჰაეროპლანით გადაფრენა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მიუხედავათ გაფრთხილებისა, გერმანელმა მფრინავებმა გადასწყვიტეს მაინც გაფრინდნენ. (ადს).

საბჭოთა ავიაციის მიღწევები

მოსკოვი, 29 სექტემბერი. დასრულდა საჰაერო ხაზის მოსკოვი-ირკუტსკის საავიაციო სეზონი. მფრინავები, რომელთაც ორი თვის განმავლობაში საცდელი ფრენა აწარმოეს ამ ხაზზე, ირკუტსკიდან მოსკოვში მოფრინდნენ თავის აეროპლანებით. მფრინავებს აეროდრომზე მიესალმა „დობროლიოტ“-ის გამგეობის თავმჯდომარე ქანდროვი.

„საბჭოთა მთავრობა,—სთქვა ქანდროვმა,—რამდენიმე წელიწადია დიდ ყურადღებას აქცევს მოსკოვიდან ირკუტსკამდე და შემდეგ ვლადივოსტოკამდე საჰაერო გზის მოწყობის საქმეს. ჩვენ გვეგონა, რომ მარტო საბჭოთა ავიაციის საშუალებით ამას ვერ შევძლებდით. ეჭვები დიდი იყო. გერმანელთა საზოგადოება „ლუფტ-განზა“ თავის დახმარებას გვპირდებოდა. მაგრამ საკუთარის ძალებით, საკუთარი მფრინავთა შემადგენლობით შევძელით შევსდგომოდით განხორციელებას დიდი საჰაერო გზისა, რომელიც ევროპას შორეულ აღმოსავლეთთან შეაერთებს. მომავალი წლიდან ჩვენ შევუდგებით ამ გზის ექსპლოატაციას. „დობროლიოტ“-ის გამგეობა №-ის ესკადრილიის მფრინავებისადმი მადლობის ნიშნად კისრულობს ხსენებულ ესკადრილიის შეფობას. (ადს).

ნავთის ძებნა

მოსკოვი, 29 სექტემბერი. როგორც ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს სათბობი მასალის მთავარ სამმართველოს ნავთის დირექტორატში გადასცეს, რომ მას განზრახვა აქვს ფართოდ დააყენოს ნავთის და გაზის ახალი ბუდობების ძებნის საკითხი საბჭოთა კავშირში, შეძლებისდაგვარად ნავთის პროდუქტების გასასაღებელი ბაზრების მახლობლად. ჩრდილოეთ ამერიკაში ნავთის ძებნის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ძებნა არ უნდა სცილდებოდეს ნავთიანი რაიონების უკვე ცნობილ ვიწრო საზღვრები, იმ გეოლოგიური ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ გვაქვს, შესაძლოა ნავთი აღმოჩნდეს საბჭოთა კავშირის ევროპიული ნაწილის ბევრ რაიონში — ონეგის ტბის რაიონში, მდინარე ონეგისა და ჩრდილოეთის დვინის რაიონში, ვოლოგდის მახლობლად, მინსკის მახლობლად, ორშასთან, კალუგის რაიონში, ვიშნი ვოლოჩეკისა და ტოროჟკის რაიონში, ვიატკისა, სამარისა, ულიანოვსკისა და ყაზანის რაიონებში და ბევრ სხვა ადგილას.

ნავთის დირექტორატის აზრით, ყველა ამ რაიონში ან მათ ნაწილში ნავთის ახალი ბუდობების ძებნის პრობლემა უნდა შეტანილ იქნას ნავთის მრეწველობის ხუთწლიან გეგმაში. დირექტორატმა სთხოვა საბჭოთა კავშირის ევროპიული ნაწილის გეოლოგიის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნეს პროფ. არხანგელსკის—იკისროს წინასწარი მუშაობა იმ რაიონების გამოსაკვლევად, სადაც ყველაზე უფრო საიმედოა ნავთისა და გაზის ძებნა. (ადს).

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის მუშაობა

კომინტერნის აღმასკომის I პლენარული სხდომა

მოსკოვი, 29 სექტემბერი. 3 სექტემბერს შესდგა კომინტერნის მე-6 კონგრესის ახლად არჩეული აღმასკომის პირველი პლენარული სხდომა. კომინტერნის მე-6 კონგრესის დადგენილებათა შესასრულებლად, კომინტერნის აღმასკომი შეუდგა კომუნისტური ინტერნაციონალის ცალკე სექციების მდგომარეობის განხილვას. პირველ რიგში განხილულ იქნა მდგომარეობა ორ პარტიაში— ჩეხო-სლოვაკიის და პოლონეთის პარტიებში. დისკუსია ამ პარტიების შინაური მდგომარეობის გარშემო თვით კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესზედაც სწარმოებდა. კომინტერნის აღმასკომმა გადასწყვიტა,ღია ბარათით მიმართოს კომინტერნის ორი სექციის ყველა წევრს. ძირითადი გეზი, რომელიც მიიღო ამისათვის კომინტერნის აღმასკომმა, არის ბრძოლა მემარჯვენე და ოპორტუნისტულ გადახრებთან პარტიებში, ბრძოლა ფრაქციულობასთან, ბრძოლა კომპარტიების ხელმძღვანელობის ბიუროკრატიზაციის საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული ტრადიციების მემკვიდრეობას, და ბოლოს, ბრძოლა კომუნისტური ავანგარდის დასაახლოვებლად, ფართო მასებთან, ხოლო თვით კომპარტიის ხელმძღვანელობისა— პარტიის ქვედა ფენებთან.

ორივე ეს წერილი წარმოადგენს კომინტერნის ფრიად მნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტს. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიისათვის ეს ღია წერილი ნიშნავს პარტიის საერთო პოლიტიკური და საორგანიზაციო ხაზის ფართო მასიური განხილვის დაწყებას. პოლონეთის კომპარტიისათვის იგი ნიშნავს სერიოზულ ნაბიჯს იმ ფრაქციული ბრძოლის მოსასპობად, რომელიც ღრღნის პარტიის ორგანიზმს და რომელიც კომინტერნის პოლონეთის სექციას დარღვევას ემუქრება.

მდგომარეობა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიაში

შინაპარტიული კრიზისის უშუალო მიზეზს ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიაში წარმოადგენს ეგრედ წოდებული წითელი დღის ჩაშლა (პროლეტარიატის მთლიანი ფრონტის დემონსტრაცია, რომელიც კომპარტიის მიერ დანიშნული იყო 5 და 6 ივლისისათვის, როგორც პროტესტი მთავრობის მიერ მუშათა სპარტაკიადის აკრძალვის წინააღმდეგ). წითელი დღის ჩაშლამ დაგვიმტკიცა, რომ ჩეხო-სლოვაკიის დიდ მასიურ კომუნისტურ პარტიას არ შესწევს უნარი საერთო აგიტაციისა და რევოლიუციონური ლოზუნგების პროპაგანდიდან გადავიდეს მათ ნამდვილ განხორციელებაზე. წითელი დღის გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ იგი მიგვითითებს სერიოზულ ოპორტუნისტულ საშიშროებაზე, რომელიც შეიძლება გაჩნდეს საერთაშორისო მდგომარეობის გართულებასა და სამხედრო საფრთხის გამწვავებასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით წითელი დღის გამოცდილება სცილდება ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ფარგლებს და მას საერთაშორისო მნიშვნელობა ეძლევა. მაგრამ ნათქვამია ღია წერილში,— „სწორი არ იქნება ეს ჩაშლა ჩავთვალოთ კრიზისის ერთადერთ ან მთავარ მიზეზად და ვერ დავინახოთ უფრო ღრმა მიზეზები, რომლებმაც მოამზადეს და გამოიწვიეს იგი. კრიზისის ამ უფრო ღრმა მიზეზების გამოაშკარავების გარეშე შეუძლებელია მისი მასშტაბის, მისი სიღრმის, მისი ნამდვილი მნიშვნელობის გაგება“. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია იძულებული იყო სერიოზული ბრძოლა ეწარმოებია მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ.. ეს გამოცდა პარტიამ წარმატებით ჩააბარა და წაართვა მემარჯვენეებს ის დიდი მუშათა ცენტრები, რომელნიც მათ ხელში იყო (პრაღა, ბრიუნი, კლადნო), პარტიამ ასევე გადაჭრით სძლია ტროცკისტულ ოპოზიციას. პარტიის გავლენის ზრდა უკანასკნელ ხანებში უდავოა. ამავე დროს მემარჯვენე პარტიებმა შეინარჩუნეს ბევრი ძლიერი პოზიცია, განსაკუთრებით პროფესიონალურ კავშირებში და სხვა მასიურ ორგანიზაციებში, შეინარჩუნეს უმთავრესად იმიტომ, რომ ბრძოლა მათთან არ სწარმოებდა საკმაო პრინციპიალური სიცხადით, აგრეთვე იმიტომ, რომ ეს ბრძოლა არ იყო სისტემატიური, პარტიის რეორგანიზაცია მექანიკურად ხდებოდა პარტიაში. ადგილი არ ჰქონია ბოლშევიკურ თვითკრიტიკას, რამაც გამოიწვია პარტიული აპარატის ბიუროკრატიზაციისა და მისი მასებისაგან ჩამოწყვეტის დიდი საფრთხე. ეს საფრთხე კიდევ უფრო მეტია რევოლიუციონურ პროფკავშირების გაერთიანებაში, სადაც გაერთიანების ხელმძღვანელ ორგანოებში მომუშავე კომუნისტები ხელოვნურად მოწყვეტილნი არიან თვით კომპარტიას. ყოველივე ეს დაკავშირებულია პარტიაში არსებულ სოციალ-დემოკრატიულ ტრადიციებთან. „პასიობა ბრძოლაში სამხედრო საფრთხისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, ის გარემოება, რომ გლეხთა და ნაციონალურ საკითხებს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა— ეკუთვნის პარტიის იმ შეცდომებს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მის სოციალ-დემოკრატიულ ტრადიციებთან“. ყველა ამას განსაკუთრებით უნდა ეჩინა თავი საერთაშორისო მდგომარეობის ახალ პირობებში, ომის გაძლიერებული საფრთხისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში. ფაქტიურად ჩეხო-სლოვაკიაში ბოლო ეღება ბურჟუაზიის ბატონობის წმინდა პარლამენტარულ დემოკრატიულ მეთოდებს, ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატების შეტევა კომუნისტური ავანგარდის წინააღმდეგ ღებულობს სისტემატიურ ხასიათს, და პარტია სათანადოდ ვერ გაერკვა, რომ საქმე მუშათა მოძრაობის ნორმალურ გამწვავებასა და დევნაში არ არის, რომ წამოიჭრა საკითხი ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის სხვა ფორმის შესახებ. პარტიის წინაშე იდგა პირდაპირი ამოცანა: „საჭირო იყო პარტია გადასულიყო უფრო აქტიურ მუშაობაზე, ვიდრე იყო ის მუშაობა, რომლისაც იგი აწარმოებდა წარსულ, შედარებით მშვიდობიან, პერიოდში. პარტია ამ დროს, კაპიტალიზმის სტაბილიზაციის შედეგების შემცდარი შეფასების გამო, ჯეროვნად ვერ აფასებდა იმ წინააღმდეგობებს, რომელნიც წარმოიშვენ ამ სტაბილიზაციისა და კლასობრივი ანტაგონიზმის გამწვავების საფუძვლებზე“. ამის შემდეგ, გამწვავებული კლასობრივი შეცდომებისა და ომის გაძლიერებული საფრთხის ახალ სტადიაში, პარტია განაგრძობდა პასიურად ყოფნას და ეს პასიობა თანდათან ღებულობდა აშკარად გამოსახულ ოპორტუნისტულ ხასიათს.

რაში მდგომარეობდა პარტიის უდიდესი შეცდომები ამ უკანასკნელ ხანებში? როდესაც სოციალური დაზღვევის კანონი, წინანდელთან შედარებით, გაცილებით გაუარესდა, პარტიამ, ნაცვლად იმისა, რომ ეწარმოებია აშკარა ბრძოლა პარლამენტის გარეშე, მოხსნა საყოველთაო საპროტესტო გაფიცვის სამზადისი ლოზუნგები და შეუთანხმდა რეფორმისტებს. ასეთივე ოპორტუნისტული პასიობა გამოიჩინა პარტიამ მთავრობის. აგრარული პარტიის დემონსტრაციის დღეს (1927 წლის 16 მაისს). მან არ გამოიყენა აგრარული დემონსტრაცია იმისათვის, რომ „პრაღაში თავმოყრილ უღარიბეს და საშუალო გლეხობის წინაშე ფართოდ გადაეშალა ჩვენი აგრარული მოთხოვნილებანი“.

იგივე ითქმის საგაფიცვო სტრატეგიის საკითხების შესახებ. ამ პასიობამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია წითელი დღის მომენტში. წითელი დღის დამარცხებას ორი მთავარი მიზეზი აქვს: წითელი დღის მზადების განკერძოება მასებისაგან და ბურჟუაზიული კანონიერების ფარგლების დაცვა. მუშათა მასებს არ შეეკითხებიან—მზად არიან თუ არა გამოსვლისათვის, მასების სულიერი განწყობილება არ გამოურკვევიათ, აგიტაცია მასებში, კერძოდ ქარხნებში, არა ყოფილა. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ხალხის მასები ვერ გაერკვნენ 6 ივლისის დემონსტრაციის ამოცანათა საკითხებში და გადასწყვიტეს, რომ წითელ დღეს კომუნისტები აწყობენ ან საპროტესტოდ სპარტაკიადის აკრძალვის გამო, ან პარტიის ლეგალობისათვის საბრძოლველად. ეს ჩვენი საქმე არ არისო, ეს კომუნისტების საქმეა,— ასე გასცეს პასუხი მასებმა პარტიის დაგვიანებულს, გაუბედავს და ბუნდოვან მოწოდებას.

აქედან გამომდინარეობს ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ახლანდელი ძირითადი ამოცანა: ეს არის მუშათა მასებთან შეწყვეტილი კავშირის დაუყოვნებლივი აღდგენა; მეორე—ახალი სიტუაციის დროს ძლიერდება მემარჯვენე და ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა საფრთხე კომუნისტურ პარტიაში. ამჟამად მემარჯვენე საფრთხეს გამოხატავს „პირველ ყოვლისა ის შეხედულება, ვითომც პარტია მასებთან შედარებით მეტის-მეტად წინ იმყოფება, მეორე—იმის ცდა, რომ წითელი დღის მარცხი ახსნან მასების პასივობით, მესამე—ბურჟუაზიის რეპრესიული ზომების მნიშვნელობის საკმაოდ დაუფასებლობა და, ბოლოს, ის „ეშმაკური“ თვალსაზრისი, რომ ჩვენი პროგრამის რევოლიუციონური ხასიათის შესუსტებით შეიძლება შევინარჩუნოთ ჩვენი პარტიის ლეგალობაო“.

კომინტერნის აღმასკომის ღია წერილი მოუწოდებს ყველა პარტიულ ძალებს შეკავშირდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ. ზემოხსენებული საკითხები უნდა შეადგენდნენ იმ დისკუსიის მთავარ შინაარს, რომელიც ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიაში იწყება და რომელსაც კომინტერნის აღმასკომი კომინტერნის მე-6 კონგრესის ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციის თანხმობით საჭიროდ სთვლის კრიზისის დროიანად აღმოსაფხვრელად.

„ოპორტუნისტული პასივობის ნაცვლად ბოლშევიკური აქტივობა—აი, ის ცვლილება, რომელიც პარტიამ უნდა მოახდინოს უახლოეს თვეებში“.

პოლონეთის სექციის ამოცანები

კომინტერნის პოლონურ სექციაში უკვე ორი წელიწადია, რაც გაფთრებული შინაური ბრძოლა სწარმოებს. პარტიის შინაგანი მთლიანობის საკითხს კი აქ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს პარტია სდგას მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის უაღრესად პასუხსაგებ სადარაჯოზე და რადგან საერთაშორისო კაპიტალი დიდ ყურადღებას აქცევს პოლონეთს ომის მზადების მიზნით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის თვალსაზრისით კომინტერნის აღმასკომმა განიხილა პოლონეთის კომპარტიის მდგომარეობა. პოლონეთის კომპარტიის ძირითად ამოცანას შეადგენს—ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ომთან. პოლონეთის ფაშიზმი გაფაციცებით ემზადება ომისთვის. ამ მზადებაში პოლონეთის სოციალისტთა პარტია იმპერიალიზმისა და პოლონეთის ფაშიზმის ქოფაკი ძაღლია. პოლონეთის ფაშიზმის სასარგებლოდ პოლონეთის სოციალისტები სიძულვილის გესლს ანთხევენ საბ. კავშირის წინააღმდეგ და ჭორებს სთხზავენ, რომ საბჭოთა კავშირი ომის საფრთხის მთავარი სათავე არისო.

პოლონეთის სოციალისტთა პარტიის ც. კ. თავის ამოცანად ისახავს კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლას ყოველგვარი საშუალებით, ფიზიკური განადგურების გზითაც კი. ყოველ უმნიშვნელოვანეს საკითხში იგი არსებითად ზურგს უმაგრებს პილსუდსკის ფაშისტურ მთავრობას. პოლონეთის სოციალისტთა პარტიის ეგრედწოდებული „ოპოზიციონური“ ლიდერები (ნეძიალკოვსკი, დიამანდი და სხვანი) თავიანთი რადიკალურ - დემოკრატიული ფრაზებით მუშათა მასებს უმალავენ თავის სამსახურს ფაშიზმის სასარგებლოდ. ეს ოპოზიციონერები უფრო საშიშნი არიან მუშათა კლასისათვის, ვიდრე ფაშიზმის აშკარა მომხრენი, შავრაზმელი იავორსკები. აქედან გამომდინარეობს პოლონეთის კომპარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა: უფრო მეტად ამხილოს პოლონეთის სოციალისტთა პარტიის მოღალატე ბელადები — როგორც მემარჯვენენი, ისე ეგრედწოდებული „ოპოზიციონერები“.

მეორე უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მასებისათვის ბრძოლის პრობლემა. ამჟამად პოლონეთში საამისოდ ხელსაყრელი პირობები არსებობენ. პოლონეთის კომპარტიამ კიდევ უფრო მეტად უნდა გააძლიეროს თავისი პოზიციები იმ საგაფიცვო მოძრაობის ხელმძღვანელობაში, რომელიც პოლონეთში იწყება და რომელიც კაპიტალისტური რაციონალიზაციის შედეგების პასუხს წარმოადგენს.

ფაშისტური ტერორის ზრდა პოლონეთის კომპარტიას ამოცანად უსახავს მუშათა კლასის მასიური თავდაცვით ორგანიზაციას. პოლონეთის კომპარტიამ გაძლიერებული ბრძოლა უნდა აწარმოოს თანდათან გაძლიერებული ფაშიზმის შეჭრის წინააღმდეგ მუშათა წრეებში. ფაშისტებსა და მათ აგენტებს — პოლონეთის სოციალისტებს იმპერიალისტური ომის მზადების გასაადვილებლად სურთ განდევნონ კომუნისტები სახელმწიფოსათვის უაღრესად მნიშვნელოვან ქარხნებიდან, მეტადრე ისეთ ქარხნებიდან, რომლებიც ომისათვის მუშაობენ. პოლონეთის კომპარტიამ ყოველგვარი ძალღონე უნდა იხმაროს, რომ გააძლიეროს თავისი გავლენა სწორედ ამ ქარხნებში.

ნაკლები მნიშვნელობის ამოცანას არ შეადგენს მუშაობა გლეხთა შორის. ყოვლად შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, რომ მრავალრიცხოვანი სასოფლო - სამეურნეო მუშები პოლონეთის სოციალისტთა პარტიისა და მუშათა კლასისადმი მტრულად განწყობილი სხვა ორგანიზაციების თითქმის სრული გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

საჭიროა აგრეთვე გაძლიერდეს „ვიზვოლენიეს“ მსგავს ნახევრად ფაშისტური გლეხური ორგანიზაციების ხასიათისა და როლის მხილება მასების წინაშე, რადგან ამ ორგანიზაციებს თავიანთი რადიკალური ფრაზეოლოგიით ჯერ ისევ თავისი გავლენის ქვეშ ჰყავთ უღარიბესი გლეხების თვალსაჩინო მასები, რომლებიც გამემარცხენების გზას ადგიან. პარტიის წინაშე ეხლა უფრო მეტის სიმწვავით სდგას, ვიდრე ოდესმე, ჰეგემონიის განმტკიცების ამოცანა უკრაინელ და ბელორუს მუშათა მასების ეროვნულ-რევოლიუციონურ მოძრაობაში პოლონეთის ფაშიზმის წინააღმდეგ. ფაშიზმის შეუჩერებელ ცდას, რომ გასთიშოს, დააუძლუროს და გახრწნას ეროვნულ-რევოლიუციონური მოძრაობა დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში, პარტიამ უნდა უპასუხოს მუშაობის გაძლიერებით მასებს შორის, ულმობელი მხილებით ფაშიზმისა და მისი აგენტების პოლიტიკისა ეროვნულ - განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. ასევე საჭიროა იმათი მხილებაც, ვინც თავს აფარებს რევოლიუციონურ - კომუნისტურ ბაირაღს (ვასილკოვის ჯგუფი, მემარჯვენე „სელრობის“ ხელმძღვანელი წრეები, იანკა სტანკევიჩის ჯგუფი).

ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანები პარტიისაგან მოითხოვენ მთელი ძალღონის ამოძრავებას.

მაგრამ ამას ძალიან უშლის ხელს ის შინაპარტიული ფრაქციული ბრძოლა, რომელიც უკვე ორ წელიწადზე მეტია ღრღნის პარტიას და რომელიც საშინლად გაძლიერდა ამ უკანასკნელ ხანებში. საქმე იქამდის მივიდა, რომ დაიწყო ერთმანეთის [illegible] ლანძღვა-გინება სეიმის ფრაქციაში (თუმც მან მოგვცა რევოლიუციონური პარლამენტარული ტაქტიკის საუკეთესო ნიმუშები), ოლქები დაიყო ყოფილ უმრავლესობისა და ყოფილ უმცირესობის შორის, ცეკას განყოფილებებმა აალეს მუშაობის დამოუკიდებელი გეზი, პარალელურად არსებობენ ადგილობრივი ორგანიზაციებიც კი.

კომინტერნის აღმასკომი მოითხოვს ფრაქციული ბრძოლის მოსპობას. ამას ხელს უწყობს ძირითადი პირობა— პოლონეთის კომპარტიის სწორი პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ის ატარებდა პარტიის პირველი ყრილობის შემდეგ. ცენტრალური კომიტეტის სწორმა პოლიტიკურმა ხაზმა საშუალება მისცა პოლონეთის კომპარტიას გაეძლიერებია მასებში თავისი გავლენა, რის ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს კომუნისტების წარმატება მარტში მომხდარ პოლონეთის სეიმის არჩევნების დროს. მაგრამ ამასთანავე ერთად კომინტერნის აღმასკომი აღნიშნავს, რომ ორივე ჯგუფი, ყოფილი უმრავლესობაც და ყოფილი უმცირესობაც, ვერ ასცდნენ უმთავრესად მემარჯვენე ოპორტუნისტული ხასიათის სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომებს, რომლებთან ბრძოლაც კომინტერნის მე-6 კონგრესმა დასახა კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა სექციის უდიდეს უახლოეს ამოცანად.

ძირითად საკითხებში პარტია მაინც სწორ პოლიტიკურ ხაზს ატარებდა, რაც არ წარმოადგენდა ერთი რომელიმე ჯგუფის დამსახურებას,—ეს მიღწეულ იქნა ორივე მხარის მონაწილეობით. ამიტომ კომინტერნი სთვლის, რომ არსებულ პირობებში ვერც ერთი ჯგუფი ვერ შესძლებს გამოიყვანოს პარტია იმ ჩიხიდან, რომელშიც მოხვდა იგი. აუცილებლად უნდა მოეღოს ბოლო ფრაქციულ ბრძოლას. უნდა მოისპოს ოლქის მონოპოლია და ცენტრალური კომიტეტის განყოფილებები უეჭველად უნდა დაექვემდებარონ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის I სხდომა

რეზოლიუცია საფრანგეთის კომპარტიის მუშაობის შესახებ

5 სექტემბერს შესდგა კომინტერნის აღმასკომის ახლად არჩეული პრეზიდიუმის პირველი სხდომა. ამ სხდომაზე პრეზიდიუმმა განიხილა საფრანგეთის კომპარტიისა და ავსტრიის კომპარტიის მდგომარეობის საკითხები.

თავის რეზოლიუციაში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის შესახებ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი, უწინარეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ საარჩევნო კამპანიის შედეგებმა საფრანგეთში სავსებით გაამართლეს ის ტაქტიკური ხაზი, რომელიც დაისახა საფრანგეთის კომპარტიის კონფერენციამ 1927 წლის იანვარში და რომელიც დაადასტურა კომინტერნის აღმასკომის მე-9 პლენუმმა. ტაქტიკამ, რომელიც განისაზღვრება ლოზუნგით—„კლასი კლასის წინააღმდეგ“, გამოიწვია გადამწყვეტი ბრძოლა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ და გადმოიყვანა ჩვენს მხარეზე სოციალ-დემოკრატიულ მუშათა შესამჩნევი რიცხვი, განსაკუთრებით მსხვილ სამრეწველო ცენტრებში.

დისციპლინის დარღვევებმა, რომელთაც ადგილი ჰქონდა პირველ და მეორე არჩევნებს შუა, გამოააშკარავეს არა უნდობლობა მასებისა საფრანგეთის კომპარტიის ახალ ტაქტიკისადმი, როგორც ამას ამტკიცებდნენ აღნიშნული ამხანაგები, არამედ მჭიდროდ გამჯდარი ოპორტუნისტული პარლამენტარული კრეტინიზმის გაბატონების ფაქტი ფრაქციონერთა ზოგიერთ ფენებში, რომელთაც სურთ საფრანგეთის კომპარტია გადააქციონ „მემარცხენე“ ბურჟუაზიულ პარტიების დამატებად, და ამრიგად მზად არიან შეუდგნენ საფრანგეთის კომპარტიის, როგორც საფრანგეთის პროლეტარიატის რევოლიუციონური პარტიის ლიკვიდაციას.

საფრანგეთის კომპარტიის ახალი საარჩევნო ტაქტიკა, როგორც ამას ხაზს უსვამს კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის რეზოლიუცია, წარმოადგენდა მხოლოდ ერთ-ერთ ეპიზოდს პარტიის მთელი პოლიტიკური ხაზის გამოსწორების ისტორიაში. საფრანგეთის კომპარტიის პოლიტიკური ხაზის ეს გამოსწორება ეკუთვნის ისეთი უმთავრესად მნიშვნელოვანი საკითხების რიცხვს, როგორიც არის მაგალითად: სამხედრო საფრთხის შეფასება, დამოკიდებულება „მემარცხენე“ ბურჟუაზიულ პარტიებთან და სოციალისტურ პარტიასთან, განსაკუთრებით მის ეგრედ-წოდებულ „მემარცხენე“ ფრთასთან, გადაჭარბებული ლეგალიზმი, დამოკიდებულება ბურჟუაზიულ კანონიერებასთან და, ბოლოს, საფრანგეთის პროლეტარიატის საგაფიცვო ომებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის პრობლემა. უნდა დავსძლიოთ ის უთანხმოებანი,, რომელნიც წარმოიშვენ პარტიაში ამ საკითხების გარშემო. არ შეიძლება მათი გვერდის ავლა და ჩაფუჩება, საჭიროა მათი თავიდან მოშორება ფართო დისკუსიის საშუალებით პარტიის ქვედა ორგანიზაციებში. აზრების საჯარო გაცვლა-გამოცვლა წინასწარი პირობაა პარტიის ნამდვილი გაჯანსაღებისათვის.

რეზოლიუცია ხაზს უსვამს სამხედრო საფრთხესთან ბრძოლის დიდ მნიშვნელობას, ეს ბრძოლა უნდა დარჩეს მთელი მუშაობის მთავარ ღერძად. საფრანგეთის იმპერიალიზმის გაშმაგებულმა სამზადისმა ომისათვის (პირველ რიგში კონტრ-რევოლიუციონური ომისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ) გამოიწვია გააფთრებული რეპრესიები მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. ეს რეპრესიები, ეჭვს გარეშეა, მომავალში კიდევ უფრო მეტად გამწვავდებიან. მჭიდრო კონტაქტი პარტიისა მასებთან, განსაკუთრებით პარიზის პროლეტარიატთან—მთავარი საშუალებაა პარტიისა და მისი ცენტრალური ორგანოს „იუმანიტე“-ს აკრძალვის წინააღმდეგ. ამ მჭიდრო კონტაქტის მოსპობა, რათა შესაძლებელი გახდეს პარტიის გამოცხადება კანონის გარეშე—აი გააფთრებული იერიშების მთავარი მიზანი. ნაციონალური ბლოკის მთავრობის გეგმების ჩასაშლელად, პარტიამ ყურადღება უნდა მიაქციოს კავშირის განმტკიცებას მასებთან, განსაკუთრებით მსხვილ წარმოებების მუშათა მასებთან. ბოლო უნდა მოეღოს პარტიასა და შრომის უნიტარული საყოველთაო კონფედერაციის წევრთა რიცხვის შემცირებას. ამ მიზნით მიღებულ უნდა იქნას საგანგებო ღონისძიებანი. მთლიანი ფრონტის სისტემატიური განმტკიცების გზით ქვევიდან, განსაკუთრებით მუშათა ეკონომიურ ბრძოლაში, საფრანგეთის კომპარტიამ და შრომის უნიტარულმა საყოველთაო კონფედერაციამ უნდა დაიპყრან პირველ რიგში შეუკავშირებელ მუშათა მასები, რისთვისაც უნდა შეიქნას საქარხნო ორგანოები, როგორც მასების საბრძოლველი ორგანოები. გაუმჯობესებულ უნდა იქნას დამოკიდებულება პარტიას და უნიტარულ პროფკავშირებს შორის, როგორც ამას მოითხოვენ პროფინტერნის 1-ლი კონგრესის გადაწყვეტილებანი. უპირველეს ყოვლისა ხელი უნდა ავიღოთ კომუნისტური ხელმძღვანელობის მექანიურად შეფარდებაზე პროფკავშირულ მოძრაობაში. პარტიული უჯრედები ქარხნებში არ უნდა იკავებდნენ ქვედა პროფკავშირული ორგანიზაციების ადგილს. უნიტარულმა პროფკავშირებმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა იკისრონ პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლის ხელმძღვანელობა და ამით უზრუნველჰყონ რაც შეიძლება ფართო მასების ჩაბმა ბრძოლაში. პროფკავშირი პარტიისა და მასების უდიდესი დამაკავშირებელი რგოლია და ამიტომ პარტია მთელი თავისი ენერგიით უნდა ებრძოლოს ყოველგვარ პროფკავშირულ ბიუროკრატიზმს, რომელიც წარმოადგენს შრომის უნიტარული კონფედერაციის წევრთა კლების ერთ-ერთ მიზეზს. კომპარტიის პროფკავშირული მუშაობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ბრძოლა მსხვილი კაპიტალისტების და რეფორმისტული ბელადების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობენ მსხვილ წარმოებებზე შექმნან მუშათა არისტოკრატია, მატერიალურად დაინტერესებული კაპიტალისტური წყობილების არსებობაში.

მუშათა მოძრაობის დაქრთამვის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს გაძლიერებული შემომკრები მუშაობა ყველაზე უფრო დაჩაგრულ მუშათა ფენებს შორის.

შემდეგ რეზოლიუცია პარტიის ყურადღებას მიაქცევს იმ შეცდომაზე, რომელიც ჩადენილ იქნა დემონსტრაციების გამართვის დროს ქუჩებში, მაგალითად, ივრის დემონსტრაციის დროს, რომელიც მომზადდა „იუმანიტე“-ში დაბეჭდილ მხოლოდ რამდენიმე მოწოდების საშუალებით. პარტიის მანიფესტაციები მუყაითად უნდა მოამზადოს პარტიულმა ორგანიზაციამ და თვითეულმა ქვედა უჯრედმა, რათა ამგვარად მუშათა მასების ნამდვილი მობილიზაცია მოხდეს.

ბრძოლა ომის საფრთხისა და რეპრესიების წინააღმდეგ პარტიას ამოცანად უსახავს აგრეთვე ბრძოლას გადაჭარბებული ლეგალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ამას მუშაობის შეზღუდვა არ უნდა მოჰყვეს, პირიქით, საფრანგეთის კომპარტიის მუშაობა უნდა გაფართოვდეს და გაღრმავდეს. ამგვარად, აქ პარტიის ძირითადი ამოცანა არის ბრძოლა ოპორტუნისტულ მემარჯვენე გადახრასთან.

რაც შეეხება პარტიის შინაურ მდგომარეობას, ნათქვამია პრეზიდიუმის რეზოლიუციაში, უმთავრეს საფრთხედ რჩება მემარჯვენე საფრთხე იმ შემთხვევაშიაც, როდესაც იგი ამოფარებულია „მემარცხენე“ ფრაზებს და ჟესტებს. რითი გამოიხატება საფრანგეთში მემარჯვენე საფრთხე? ეს არის ომის საფრთხის ნაკლებად შეფასება, ზოგიერთი წევრის სურვილი, რომ პარტიის მუშაობა მოხმარდეს პარლამენტარული დემოკრატიის დაცვას, აგრეთვე რწმენა, „მემარცხენე“ ბურჟუაზიული პარტიების, „მემარცხენე“ სოციალისტების მიმართ და სხვა.

ქვედა პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლება და პარტმუშაკების ახალი კადრების შექმნა საფრანგეთის კომპარტიის გადაუდებელი ამოცანაა. პარტიაში ახალი წევრების შემომკრები მუშაობაც მოითხოვს ძირითად ცვლილებებს. წინანდელი ტიპიური სოციალ-დემოკრატიული შემოკრება მხოლოდ ღია კრებებზე უნდა შესცვალოს პარტიის თვითეული წევრის პირადმა მუშაობამ თავის ამხანაგთა, პროლეტარულ მეგობართა და მეზობელთა შორის და სხვ.

პარტიული ყრილობის საუკეთესოდ მოსამზადებლად საჭიროა გაძლიერდეს ყველა პარტიული ორგანიზაცია, მათ შორის საერთო პარტიული ხელმძღვანელობაც.

ავსტრიის კომპარტიის შესახებ

ავსტრიის კომუნისტური პარტიის შესახებ ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში, პირველ ყოვლისა, აღნიშნულია, რომ ავსტრიის კ. ც. კ.-ის უმრავლესობა სწორ თვალსაზრისზე სდგას ყველა იმ პოლიტიკურ საკითხში, რომლებსაც ეხლა არკვევენ პარტიის შიგნით. ისევ ძალაში რჩება კომინტერნის ორივე წინანდელი რეზოლიუცია ვენის ამბებისა (1927 წლის 15 ივლისი) და ავსტრიის კომპარტიის მდგომარეობის შესახებ. ავსტრიის კომპარტიის დასუსტება 15 ივლისის შემდეგ, პირველ ყოვლისა, აიხსნება პარტიის მუშაობის სუბიექტიური დეფექტებით. რეზოლიუცია უარჰყოფს ავსტრიის კომპარტიის მდგომარეობის „ახსნას“ (და, მაშასადამე, გამართლებას) უმთავრესად ობიექტიური მიზეზებით.

ამასთანავე ერთად აღნიშნულია ის ღირსშესანიშნავი ფაქტი, რომ პარტიამ დაჰკარგა უფრო მეტი თავისი გავლენა და თავისი წევრების მეტი რიცხვი იქ, სადაც უფრო ნაკლებად იმიჯნებოდა ს.-დემოკ.-პროფკავშირულ ბიუროკრატიისაგან, სადაც უფრო ნაკლებად შეინარჩუნა მათ მიმართ თავისი საკუთარი სახე და მოქმედების დამოუკიდებლობა. ავსტრიის კომპარტია მუშათა და ღარიბი გლეხობის მასებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეუფლება, თუ იგი თაოსნობასა და აქტივობას გამოიჩენს ფაშიზმთან და სოციალ - დემოკრატიასთან ბრძოლაში.

აქედან გამომდინარეობს პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანები: შეუსვენებელი და ენერგიული მუშაობა მასიურ ორგანიზაციებში (პროფკავშირები, ფრონტელების წითელი კავშირი, რემედასი, მთლიანობის კომიტეტი და სხვა), პარტიამ უნდა გააუმჯობესოს თავისი პროფმუშაობა, კონკრეტულად მიუდგეს მუშებისათვის საინტერესო საკითხებს საწარმოსა და პროფკავშირებში, უნდა შეიტანოს თავისი ლოზუნგები მასებში და ეცადოს მისცეს მებრძოლ მუშებს მტკიცე ხელმძღვანელობა; მან გადამწყვეტი სათანადო პასუხი უნდა გასცეს უმცირესობის მემარჯვენე გადახრებს პარტიაში, მეტადრე პესიმისტურ და „პარაქენცულ“ სულიერ განწყობილებასა და თეორიებს, რაც ავსტრიის სოციალ - დემოკრატიის გავლენის შედეგია. 15 ივლისის შემდეგ და ავსტრიის სოციალ - დემოკრატიის მარჯვნივ გადახრასთან დაკავშირებით საჭიროა ბრძოლა გაძლიერდეს მის წინააღმდეგ და განემარტოს ყველა მუშას, თუ რა შორს წავიდა მარჯვნივ გადახრა სოციალ - დემოკრატიის რიგებში, რომელიც თვითონვე ამხელს თავის თავს ფაშიზმთან თანამშრომლობით (პროფკავშირების ხელშეკრულება გონტანის საწარმოებთან). საჭიროა ფართო შინაპარტიული დისკუსია, რათა გამოყოფილ იქნას მონოლითური პოლიტიკური ხელმძღვანელობა და გამოყენებულ იქნას პარტიის ყველა მნიშვნელოვანი ძალა (ამასთანავე რეზოლიუცია აფრთხილებს, რომ დისკუსიაში შეტანილ არ იქნას „ძველი ხასიათის“ ფრაქციული მეთოდები).

დასასრულ, რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ პარტიის სწორ ხაზს არ შეეფერება პარტიის ცენტრალური ორგანოს „როტე ფანეს“ პოზიცია, მეტადრე სოციალ - დემოკრატიული პარტიისადმი დამოკიდებულებისა და ფაშიზმის საკითხში. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ დაუყოვნებლივ და ძირიანფესვიანად შეიცვალოს „როტე ფანეს“ ხაზი.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას IV პლენუმი

ამხ. პშენიცინის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. პშენიცინმა აღნიშნა, რომ კამათი ატარებდა უმთავრესად თვითკრიტიკის ხასიათს და ორატორები მთელი რიგი ფაქტებით ადასტურებდნენ მისი მოხსენებისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციის დასკვნებს, შემდეგ ისინი დაწვრილებით ეხებოდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციების გატარების დარგში პრაქტიკული მუშაობის უდიდეს საკითხებს. შემდეგ ამხ. პშენიცინი შეჩერდა სამრეწველო მშენებლობის დეფექტებზე და ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმას, რომ საქართველოს პირობებში, მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებასთან ერთად, როგორიც არის სამთომადნო და მარგანეცის საქმე, აუცილებელია განვითარება წვრილი დამამუშავებელი მრეწველობისა, რომელიც ამუშავებს ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს. ამავე დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ავტონომიური რესპუბლიკების შესაძლებლობათა გამოყენებას. შემდეგ მომხსენებელი შეეხო წარმოების რაციონალიზაციას და მასიურ მუშაობას წარმოებაში, და აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო დიფერენციული, ე. ი. კონკრეტული მიდგომა ამ საკითხებისადმი და უფრო დიდი მუშაობის გატარება მუშათა ფართო მასების, განსაკუთრებით ახალი ფენების, ჩასაბმელად მშენებლობაში, თანაც ანგარიში უნდა გაეწიოს მათ ნაციონალურ და ყოფა-ცხოვრებით პირობებს, რაც შეეხება სამეურნეო მუშაკთა და სპეციალისტთა კადრების საკითხს, საჭიროა ახლო მიუდგეთ მას და გამოვიტანოთ კარდინალური გადაწყვეტილებანი. საჭიროა შევუდგეთ ახალი კადრების გამოზრდას და შეძლების დაგვარად, ძველი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას.

სხვათა შორის, ამხ. პშენიცინი შეეხო საგეგმო ორგანიზაციების შემადგენლობას და განმარტა, რომ მის მიერ მიღებული ახალი ცნობებით, სხვა პარტიებიდან გამოსულთა პროცენტი სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკთა შორის, საგრძნობლად ნაკლებია იმ ცნობებთან შედარებით, რომლებიც მან გამოკვლევის დასაწყისში მიიღო, მაგრამ ეს არ ამცირებს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობაში პარტიული გავლენის გაძლიერების ამოცანას.

შემდეგ ამხ. პშენიცინი შეეხო მეორე ჯგუფის საკითხებს: სოფლის მეურნეობის მდგომარეობას და სოფლად მუშაობას. მან აღნიშნა, რომ საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიური სიტუაცია თავის თავად გულისხმობს ანგარიში გაეწიოს ცალკე რაიონების ეკონომიურ და სხვა პირობებს. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს პირობებში მისაღებია გავრცელება ტეხნიკური კულტურებისა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში—მევენახეობის, მეჯოგეობის, მემინდვრეობის. ამრიგად, ამა თუ იმ რაიონის ეკონომიური პირობები საფუძვლად უნდა დაედონ მასში მრეწველობის ამა თუ იმ დარგების განვითარებას და ამა თუ იმ კულტურების გავრცელებას.

შემდეგ ამხანაგმა პშენიცინმა ილაპარაკა უღარიბეს გლეხთა და სოფლის მოჯამაგირეთა შორის მუშაობის შესახებ. მომხსენებლის აზრით, აუცილებლად საჭიროა უდიდესი ყურადღება მიექცეს საკავშირო კომუნისტური (ბ) პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დირექტივებს, რომელთაგან უღარიბეს გლეხთა შორის მუშაობა და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია დასახულია საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის ცენტრალურ ამოცანებად.

შეჩერდა რა კულტმშენებლობის საკითხებზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად საჭიროა კულტმუშაობის გაძლიერება მუშათა და უღარიბეს გლეხთა და სოფლის მოჯამაგირეთა ფართო მასებში, განსაკუთრებით ნაციონალურ უმცირესობათა შორის, მისი ნაციონალური და ყოფა-ცხოვრებითი პირობების მხედველობაში მიღებით. რაც შეეხება კულტმუშაკების კადრებს, საჭიროა ეხლავე ვიზრუნოთ მათ შესახებ.

შემდეგ მომხსენებელმა გამოსთქვა იმედი, რომ ქალთა ორგანიზატორების მომავალ სრ. საქართველოს ყრილობისათვის პარტიული ორგანიზაციები როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე აღმოუჩენენ საჭირო დახმარებას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებებს ქალთა შორის მუშაობის ყველა დეფექტის გამოსააშკარავებლად და სწორი ხაზის გამოსაძებნად მომავალი მუშაობისათვის. ახალგაზრდობის და კომკავშირის შორის მუშაობის საკითხი, ალბად, განიხილება ცენტრალური კომიტეტის უახლოეს პლენუმის მიერ, იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ასრულებს ახალგაზრდათა კომკავშირი თავის ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს.

ბოლოს ამხ. პშენიცინმა ხელახლად აღნიშნა, რომ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციის ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა ავამაღლოთ პარტიული მასის აქტივობა პრაქტიკულ მუშაობაში, საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება, რომელიც აგრეთვე აღნიშნულია რეზოლიუციაში, უნდა შენდებოდეს ღარიბ და საშუალო გლეხთა და სოფლის მოჯამაგირეთა მასების ფართო ჩაბმაზე საბჭოთა მშენებლობაში. საჭიროა გავაძლიეროთ თვითკრიტიკის ელემენტები და თანდათან გავაუმჯობესოთ სახელმწიფო აპარატის კადრები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიულ აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება, ფართო მასების კულტურული და პოლიტიკური დონის ამაღლებასთან ერთად, მოითხოვს უფრო კვალიფიციურ ხელმძღვანელობას. პარტიული საალმზრდელო მუშაობა უნდა სწარმოებდეს იმ მიმართულებით, რომელზედაც მიუთითებს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუცია და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი საქმის განყოფილების კოლეგიის რეზოლიუცია, მიღებული საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი საქმის განყოფილების მოხსენების შესახებ. მომხსენებელი გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ისევე დასძლევს ყველა ამ სერიოზულ ამოცანას, როგორც მან დღემდე დასძლია თავისი მუშაობის ყველა უაღრესად რთული და მძიმე ამოცანა.

პლენუმის დღიური

პლენუმის დახურვა

29 სექტემბერს დილით სწარმოებდა სამაზრო კომიტეტების მდივნებისა და აღმასკომების თავმჯდომარეების (საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მეოთხე პლენუმის წევრების) თათბირი იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოების გამოკვლევის საკითხის შესახებ.

თათბირი გაიხსნა ამხ. კანდელაკის საბოლოო სიტყვით მისი მოხსენების გამო საქართველოს სახალხო განათლების სისტემის შესახებ. ამხ. კანდელაკმა აღნიშნა, რომ კამათმა მხოლოდ დაადასტურა და განავითარა ის ძირითადი დებულებები, რომლებიც მან თავის მოხსენებაში წამოაყენა.

შემდეგ წაკითხულ და მიღებულ იქნა რეზოლიუცია ამხ. კანდელაკის მოხსენების გამო.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ თათბირი გადავიდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოების გამოკვლევის საკითხზე. ამ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მათიკაშვილი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის საღამოს სხდომა გაიხსნა კამათით მასიური მუშაობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ლოლობერიძემ. შემდეგ წაკითხულ და მიღებულ იქნა რეზოლიუცია და პლენუმი დაიხურა.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

ვინ აფერხებს ხილის დამზადებას

(წერილი გორიდან)

ცნობილია, რომ საქართველოში გორის მაზრა არის მეხილეობის ერთ-ერთი მთავარი კუთხე. როგორც წარსულ წლებში, ისე წელსაც აქ მიდის ხილის დამზადება. მიმდინარე წელს ხილის დამზადებას აწარმოებენ 1) ა. კ. სახელ. სავაჭრო საზოგადოება, 2) საქართ. სახ. სავაჭრო საზოგადოება და 3) თბილისის კომბანკთან არსებული სავაჭრო განყოფილება (გორის აღმასკომთან ერთად). აღნიშნულ ორგანიზაციებს დავალებული აქვთ მხოლოდ „სოფლის კავშირში“ შემავალ ძირითად ქსელის საშუალებით დაამზადონ და მიიღონ გლეხებისაგან ხილი. თავის თავად იგულისხმება, ასეთი უპირატესობა „სოფლის კავშირს“ მიენიჭა იმიტომ, რომ მას მოეპოვება ავტორიტეტი გლეხობაში და რომ ის გაძლიერებულიყო როგორც წევრთა რიცხვით, ისე საპაიო თანხებით. ამ ორგანიზაციებმა სულ უნდა დაამზადონ 400.000—500.000 ფუთი ხილი. „სოფლის კავშირი“ საორგანიზაციო ხარჯს ფუთზე იღებულობს — 25 კ., 50.000 ფუთ ხილზე კი მას ერგება სულ 125.000 მანეთი (თუ მეტის დამზადებას შესძლებს, მეტს მიიღებს). „სოფლის კავშირი“ ასეთ პასუხისმგებლობას ღებულობს თავის თავზე, მაგრამ ამ საქმეში დიდს სისუსტეს იჩენს: გლეხს მთელი კვირაობით უხდება რიგში დგომა ხილის ჩასაბარებლად, ის სულ ბედს იწყევლის და თანაც კარგად „იკურთხება“. ხილის დამამზადებელ ორგანიზაციების მიერ მაზრაში მოწყობილია მიმღები ფარდულები (პუნქტები). უკანასკნელთა რიცხვი მცირეა, რის გამო ისინი ვერ აწარმოებენ ხილის წესიერად მიღებას. მაგალითად, მარტო ტყვიავის რაიონში ამ ორგანიზაციებს ხელშეკრულება დადებული აქვთ 742 მებაღესთან, მიმღები პუნქტი კი არის ორი.

ხილის მიღების წესი მოკლედ ასეთია: ბაღიდან ფარდულამდე ხილი მოაქვთ გლეხებს, სადაც უხდებათ რიგში დგომა მთელი დღეებით და კვირეებითაც კი აქ ხილს ღებულობენ გადარჩევით, ხოლო დაწუნებული ხილი („ბრაკი“) უბრუნდება გლეხობას, რომელმაც არ იცის, სად წაიღოს ის. ამგვარ მდგომარეობის ხელის შემწყობად უნდა ჩაითვალოს სოფლის კავშირის პასუხისმგებელი მუშაკი ბესელიძე, რომელიც თავისი სადირექტივო დეპეშით თბილისიდან ცდილობდა ასეთი ფრიად მნიშვნელოვან და მისთვის ალბად უბრალო საკითხის მოგვარებას. ვფიქრობთ, ასეთი „ბესელიძეები“ პირნათლად ვერ შესძლებენ იმდენ ხილის დამზადებას, რამდენიც არის გორის მაზრაში. ჯერ მარტო ზაფხულის ხილი მოსაწევია, რამაც უკვე დატვირთა ბესელიძის დეპეშები და თითონაც დაბნია, როგორც ეტყობა. ცხადია, ბესელიძეს ველარ ვენდობით ზამთრის და საექსპორტო ხილის დამზადებას, რადგანაც ის რაოდენობითაც უფრო ბევრი იქნება და მას უფრო სათუთი მოპყრობაც სჭირდება.

აქვე უნდა აღინიშნოს თბილისის მუშკოოპის გამგეობის მოქმედებაც. მას ტყვიავის ს. ს. საკ. ამხ.-თან შეუკრავს ხელშეკრულება, რომლის მიხედვით რაც გაზაფხულის მსხალი შემოვა ამ რაიონში, სულ მას უნდა აელო და სხვა არავიზე გაეყიდა. როცა რიგი მიდგა მსხლის გატანაზე, მუშკოოპელები აღარ სჩანდნენ. მათ წაუღიათ მხოლოდ ორი ათასი ფუთი, დარჩა კი 15.000 ფუთი მსხალი; ვეძებთ ვეძებთ სად არიან ხელშეკრულების დამდები მუშკოოპელები და ვერ ვპოულობთ.

საჭიროა: 1) მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მიაქციოს სერიოზული ყურადღება ხილის დამზადების ოპერაციას მის შემაფერხებლებს მოეთხოვოს კანონიერი პასუხი.

2) აუცილებლად უნდა გამრავლდეს მიმღები პუნქტების და ფარდულების რიცხვი, რითაც ბოლო მოეღება მთელი კვირეებით გლეხების რიგში ცდას (ხილის ჩაბარების დროს), რაც შეანელებს გლეხობაში უკმაყოფილებას.

3) უნდა მოისპოს ცენტრიდან უპასუხისმგებლო დეპეშების ფრენა და ვინც მოვალეა, მოვიდეს და ადგილობრივ იმოქმედოს ხილის დამზადების დროს და ხელიხელ ჩაკიდებული იმუშაოს პარტიულ ორგანიზაციებთან. აღმასკომებთან და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

4) მეხილეთა რაიონებში მოსახლეობის არა ნაკლებ პროცენტისა უნდა იყვნენ გაერთიანებულნი ძირითად ს.ს. კოოპერაციაში, რადგან ეხლა, მოსავლის დროს, პირობები ამისათვის უფრო ხელსაყრელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ზემოთ-აღნიშნული წინადადებები ვერ გატარდება ცხოვრებაში არც ეხლა და არც შემდეგ, რითაც საშიშროება მოელის მეხილეობის გაფართოება - განვითარებას მაზრაში.

ვასო ქურდაძე.

ბიუროკრატიზმის რეკორდი

(სენაკის მაზრა)

საქმე, როგორც ეს ხშირად ხდება, უბრალოა. მის მოგვარებისათვის საკმარისია რომელიმე ადგილობრივ ორგანოს გასჯა ერთი ან, დიდი რომ ვთქვათ, ორი საათით.

ნამდვილად კი ამ უმნიშვნელო ამბავზე ორ-ნახევარ წელიწადზე მეტია სწარმოებს სხვადასხვა სამზადისი და რესპუბლიკანურ ორგანოების მიწერ-მოწერა, იმართება სხდომები, ხდება დადგენილებათა გაპროტესტება-გასაჩივრება და სხვა. ერთი სიტყვით, ბიუროკრატიულ მაჯლაჯუნა განივრად გაშალა ფრთები ამ პაწაწინა საქმეზე. ჩვენ ვლაპარაკობთ შემდეგ შემთხვევაზე:

სენაკის მაზრის და ქალაქის მილიციაში 1921 წლიდან, ესე იგი მას შემდეგ, რაც ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება არსებობს, უმცროს მილიციონერად მსახურობდნენ გუგუ გვახარია და ფარნა ძაძამია.

1926 წლის მარტში მათ შეემთხვათ უბედურება, რომელღაც პატიმარ ქალის ჩვენებით ისინი დააპატიმრეს და წაუყენეს ბრალდება იმაში, რომ აღნიშნულ მილიციონერებს განზრახვა ჰქონდათ გაეუპატიურებიათ მომჩივანი ქალი.

ჩვენ ჯერ-ჯერობით არ შევდივართ იმის განხილვაში, დამნაშავეა თუ არა მილიციონერები ძაძამია და გვარამია. აქ საყურადღებოა სულ სხვა. ეს ისა, თუ როგორი მსვლელობა მიიღო ამ საქმემ და რა მდგომარეობაშია ის დღეს. აქ, ამ შედარებით პატარა ფაქტში მთელი სიცხადით გამოიხატა ჩვენი აპარატის მახინჯი ბიუროკრატიული სახე.

ბრალდებული მილიციონერები დაუყონებლივ დაპატიმრა სენაკის მაზრის პოლიტბიურომ. ერთი კვირა სწარმოებდა კვლევა-ძიება. დადასტურდა, რომ მილიციონერები გახდნენ ცილისწამების მსხვერპლი. პოლიტბიურომ ისინი განთავისუფლა: მაგრამ სამაზრო აღმასკომისათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა: 1926 წლის 25 მაისს გვარამია და ძაძამია დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან. ამასთან ერთად მათი საქმე გადასცეს განსახილველად ოლქის სასამართლოს.

მაისიდან სექტემბრამდე საქმე უძრავად იყო. 1926 წლის სექტემბრის დამლევს, როგორც იქნა, გაირჩა მილიციონერების საქმე. სასამართლომ ბრალდება უსაფუძვლოდ სცნო, გვარამია და ძაძამია გაამართლა. მილიციონერებმა განაჩენი წაიღეს აღმასკომში და მოითხოვდნენ, რომ ისინი აღედგინათ სამსახურში. მაგრამ აღმასკომმა მათ უარი უთხრა. საქმე გადავიდა პროფესიონალურ კავშირში. კავშირმა თავის მხრივ მიიღო ზომები, მაგრამ მილიციონერები მაინც არ იქნენ აღდგენილნი სამსახურში.

გვარამია და ძაძამია საქმეს არ ეშვებიან. მათი საკითხი განსახილველად გადადის მილიციის საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიაში. კომისია ადგენს: მიეცეს ძაძამიას და გვახარიას გაცდენილი დღეების ხელფასი და აღდგენილ იქნენ ისინი სამსახურში. არც ამ დადგენილებამ გასჭრა. საქმე მიდის თბილისში, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა ცენტრალურ გამგეობაში. თბილისიდან ის კვლავ მაზრაში იგზავნება. კავშირის სამაზრო განყოფილება ყოველნაირად ცდილობს მილიციონერების უფლებაში აღდგენას, მაგრამ ამაოდ.

ამის შემდეგ საქმე ისევ სასამართლოს ორგანოებს უბრუნდება. ცხრა თვე უძრავად დევს ძაძამიასა და გვახარიას საქმე სასამართლოში. უკვე 1928 წლის აპრილია, ესე იგი გავიდა ორ წელიწადზე მეტი, რაც უმუშევარი მილიციონერები, ღარიბი გლეხები, დასდევენ საქმეს და გამოსავალი არსად სჩანს. ბოლოს შესდგა სამაზრო სასამართლოს სხდომაც, რომელმაც ძაძამია-გვახარიას პრეტენზიები უკანონოდ სცნო და საქმე მათ საწინააღმდეგოთ გადაწყვიტა.

მოთმინება დაკარგული მილიციონერები იარაღს არ ყრიან. საქმე გადააქვთ ქუთაისის ოლქის სასამართლოში. ქუთაისის საოლქო სასამართლომ უკანონოდ სცნო სენაკის სასამართლოს დადგენილება, განაჩენი დაარღვია და დაადასტურა საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ დათხოვნილი მილიციონერები აღდგენილი უნდა ყოფილიყვნენ სამსახურში გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურებით.

ქუთაისის სასამართლოს დადგენილება ძაძამიამ და გვარამიამ მიუტანეს მაზრის შრომის ინსპექტორს ვ. ჭკუასელს. მან ჯერ იჭვის თვალით შეხედა განაჩენს. შემდეგ კი დამშვიდებით განაცხადა: ეს დადგენილება დასტურისათვის უნდა გადაუგზავნო რესპუბლიკის შრომის დაცვის პროკურორსო. ასედაც მოხდა. გავიდა კიდევ რამდენიმე დრო და თბილისიდან მოდის რესპუბლიკის შრომის პროკურორის განკარგულება ახალ-სენაკის შრომის ინსპექტორისადმი იმის შესახებ, რომ ოლქის სასამართლოს დადგენილება დაუყონებლივ უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილიო. ამის შემდეგ შრომის ინსპექტორმა აიღო აღმასრულებელი ფურცელი და დაავალა სასამართლოს აღმასრულებელს სამი დღის განმავლობაში მოეგვარებია საქმე. მაგრამ სასამართლოს აღმასრულებელს მაზრის აღმასკომში ავტორიტეტულად განუცხადეს. ჩვენს საქმეს ვასაჩივრებთ, ამიტომ ვერც ფულს მოგცემთ და, ვერც სამსახურში აღვადგენთ ძაძამია-გვარამიასო. აღმასრულებელი სამაზრო აღმასკომის წინაშე პატარა კაცია. მანაც განმარტებისათვის აღმასკომის ჩინოვნიკს მადლი გადაუხადა, დაიხურა ქუდი და უკან გამობრუნდა.

სამაზრო აღმასკომმა მიმდინარე წლის 23 აგვისტოს, როგორც იქნა მოიცალა, და გადმოგზავნა მილიციელების საქმე თბილისში. საჩივრებითა და დაწესებულებებიდან--დაწესებულებებში დაუსრულებელი სიარულით ილაჯგაწყვეტილი მილიციონერები მიმართავენ სათანადო განცხადებით რესპუბლიკის შრომის პროკურორს. ამ უკანასკნელმა განმეორებით გასცა განკარგულება, მაგრამ ეხლა უკვე სენაკის პროკურორისადმი, იმის შესახებ, რომ საოლქო სასამართლოს დადგენილება დაუყონებლივ უნდა იქნას შესრულებულიო.

მაგრამ დახეთ უბედურებას!.. გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო. პროკურორი სენაკში არ აღმოჩნდა და სასამართლოს აღმასრულებელი კი უძლური იყო ამ საქმეში. შემდეგ, როგორც იქნა, პროკურორი ჩამოვიდა. ძაძამიამ და გვარამიამ მიმართა მას განკარგულების შესრულების შესახებ. პროკურორმა დახმარება აღუთქვა, ბევრი ტკბილი და მანუგეშებელი სიტყვები უთხრა „იობის ტანჯვაში“ გაცლილ ყოფილ მილიციონერებს და თანვე დაატანა, ცოტა ხან კიდევ დაიცადეთ, საქმე მოგვარდებაო.

მილიციონერები იცდიან... ეხლა უკვე 1928 წლის სექტემბრის დასასრულია, საქმე კი ისევ ძველ მდგომარეობაშია. მოთმინება დაკარგული ყოფილი მილიციონერები, მაზრაში რომ ვერაფერს გახდნენ, ვალით და ვახშით გაემგზავრნენ თბილისში საქართველოს ცაკში საჩივლელად.

მეტად მომაბეზრებელია მთელი ამ ბიუროკრატიულ სისაძაგლის ისტორიის კითხვა. მაგრამ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძნელია ამ უმზგავსოების თავის თავზე განცდა 2 ნახევარი წლის განმავლობაში უმუშევრად მყოფ მილიციონერებისათვის, რომელთაგან ერთი, ძაძამია, სამოქალაქო ომის ინვალიდი და პარტიის წევრია. ძაძამიას დაზიანებული აქვს მარჯვენა მკლავი მენშევიკების ბანდებთან შეტაკების დროს 1918 წელში.

იბადება საკითხი: თუ ძაძამია და გვარამია დამნაშავეები არიან, რატომ არ მოახდეინეს მათ სასჯელი სათანადო ორგანოებმა? თუ სამოქალაქო ომის მებრძოლმა და კომუნისტმა ძაძამიამ იმდენად დაჰკარგა პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ ისეთი დაუშვებელი დანაშაული ჩაიდინა რაშიაც მას 2 ნახევარი წლის წინად სდებდნენ ბრალს, რა უნდა ასეთ კაცს პარტიაში? და თუ ყოველივე ეს ასე არ არის, სად არის მაზრის იმ ორგანოების პასუხისმგებლობა, რომლებსაც შეეხებოდათ ბიუროკრატიზმით ამ მართლაც მრავალტანჯულ ორი ადამიანის საქმის მოგვარება?

მაგარი შუბლია საჭირო იმისათვის, რომ ამ ბრალდებიდან დამნაშავე ორგანომ თავის მართლება განიზრახოს.

ა. ბრალისელი.

სად მარხია ქალის თავი?

(ს. ონჭევი რაჭის მაზრა)

სამიოდე წლის წინად გაზ. „კომუნისტში“ მოთავსებული იყო წერილი, რომელიც შეეხებოდა სოფ. ონჭევში ყოფილ მემამულე პარმენ ჯაფარიძეს. ჯაფარიძემ შეინარჩუნა მიწები და ძველებურად ყვლეფდა გლეხობას. ამას ყურადღებას არავინ აქცევდა.

ამის შემდეგ ბევრი საჩივარი და განცხადება მიუვიდა გლეხებისაგან მაზრისა და ცენტრის სათანადო ორგანოებს ჯაფარიძის შესახებ, მაგრამ 1927 წლამდე ის მაინც განაგრძობდა გლეხების ყვლეფას და ხმის გამცემი არავინ სჩანდა.

1927 წლის ივნისში, როგორც იყო, მოვიდა მიწის მზომელი. ყოფილი მემამულე ბევრ კომბინაციებს ხმარობდა. მაგრამ არაფერი გაუვიდა. მას ჩამოერთვა 44 დესეტინა და 4.925 კვადრატი საჟენი მიწა, ნორმაში კი დაუტოვეს 5 დეს. და 2.407 კ. საჟ. ეს მოხდა სამაზრო მიწის კოლეგიის დადგენილებით. დადგენილება გადაეგზავნა მიწად მოქმედების კომისარიატს დასამტკიცებლად. საქმე იმდენად გაჭიანურდა, რომ 1927 წლის მოსავალი ისევ მემამულემ ირგო ჩამორთმეული მიწებიდან.

ეს არაფერი. 1928 წლის იანვარში ონჭევში დაარსდა უღარიბესი გლეხების კოლექტივი, რომელსაც უნდა გადასცემოდა ჯაფარიძისაგან ჩამორთმეული მიწები. ეს მიწები მიეცა კოლექტივს, მაგრამ მხოლოდ „სიით“ და არა ფაქტიურად. ჩამორთმეულ მიწებში იყო სათიბებიც. კოლექტივმა დათიბა მინდვრები და დადგა ზვინები. ჯაფარიძეს არც ეს უნდოდა. მას მოაქვს ოფიციალური მოწერილობა მაზრიდან, რომ მიწის ერთი ნაწილი ისევ დამიბრუნეს და ჩემი თივები მე უნდა წამოვიღოო. თემაღმასკომიც აქტიურ დახმარებას უწევს მემამულეს. თივები მან მართლაც წაიღო.

კოლექტივი უგზავნის კაცს ჯაფარიძეს, რომ შრომის მაინც მოგვეციო; მაგრამ ყოფილი მემამულე აბუჩად იგდებს გაგზავნილ კაცს და დაცინვით ისტუმრებს უკან. ან კი რატომ არ იქნება ჯაფარიძე მკვეხრობის გუნებაზე. წინად ქირას მაინც აძლევდა გლეხებს დათიბვაში, ეხლა მზამზარეულად წაიღო ნაშრომი სახლში.

ნათლიმამები და დოქით ღვინოები, როგორც სჩანს, რაჭის ზოგიერთ სახელმწიფო ორგანოებში თავის ძველ ძალას არ კარგავს.

როგორი ხასიათით უნდა განაგრძოს ამის შემდეგ კოლექტივმა მუშაობა? ვინ გასცემს ამაზე დამაკმაყოფილებელ პასუხს, ვინ დასჯის დამნაშავეს სამაგალითოდ?

ა. გოგეჯიშვილი.

სასამართლოს მუშაობის შემაფერხებელნი

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოებში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ დაძლეულ იქნას ბიუროკრატიზმის სენი. მართალია აქ ამ სენის წინააღმდეგ სწარმოებს სასტიკი ბრძოლა და ამ მხრივ რამდენიმე თვალსაჩინო შედეგებიც გვაქვს, მაგრამ არ არის საკმარისი ბიუროკრატიზმთან ბრძოლა მარტო იუსტიციის კომისარიატის ორგანოების შიგნით. იმისათვის, რომ დაბრკოლებანი სასამართლოს მუშაობაში გადალახულ იქნას, საჭიროა ზომების მიღება ამ კომისარიატის ორგანოების გარეთაც.

რატომ არის მაგალითად, რომ ხშირად რომელიმე უმნიშვნელო საქმის გარჩევა მთელი წლობით გრძელდება? ამის მიზეზია, სხვათა შორის, შემდეგი: აიღეთ მოწმეთა გამოუცხადებლობა. ასეთი მოვლენები ხომ მეტად ხშირია! გარდა ამისა, ასეც ხდება: სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელნი არ ცხადდებიან სასამართლოს სხდომაზე. ამას დაუმატეთ ზოგიერთ ადმინისტრატორების უპასუხისმგებლობა, რაიც იმაში გამოიხატება, რომ ისინი სრულიად უმიზეზოთ უარს ეუბნებიან ხელქვეით მუშებს განთავისუფლებაზე, როცა ეს მუშები უნდა წავიდნენ სასამართლოს სხდომაზე სახალხო მსაჯულებად.

ინიშნება საქმეები განსახილველად. უწყებები ეგზავნება სათანადო პირებს, მაგრამ ისინი არ ცხადდებიან სასამართლოს სხდომებზე და თავს იმართლებენ იმით, რომ განცხადებებში ნათქვამი აქვთ, ჩვენ დაუსწრებლად იქნეს გარჩეული საქმეო. ეს შესაძლებელია, როდესაც საკმაო საბუთებია. მაგრამ თუ ასეთი არ არის და სასამართლო აუცილებელ საჭიროდ სთვლის მოსარჩლის დასწრებას?

მაგ. ა.-კ. რკინის გზის წარმომადგენელნიც ზედმეტათ მიაჩნიათ სასამართლოში გამოცხადება. ამიტომ მათი საქმეები ყოველთვის გაურკვეველ მდგომარეობაშია. ასეთ მოქმედებას მოაქვს ზარალი დაწესებულებებისათვის ერთი მხრივ და იწვევს საქმეების უთავბოლოდ შეჩერებას — მეორე მხრივ.

ამ. კავ. რკინის გზის სამმართველო ამ შემთხვევაში ნიმუშია. ასეთივე მდგომარეობაა თითქმის ყველა დაწესებულებებში.

გარდა ამისა, ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავზე დროა ჩვენმა ადმინისტრატორებმა იცოდნენ საბჭოთა კონსტიტუცია. სამწუხაროდ ეს ყველგან ასე არაა. სხვანაირად ჩვენ არ შეგვიძლია ავხსნათ ისეთი მოვლენა, როდესაც ადმინისტრატორები სახალხო მსაჯულებად არჩეულ პირებს ემუქრებიან სხვადასხვა სახით და უნდათ აიძულონ ისინი არ გამოცხადდენ სასამართლოში. ზოგი მიმართავს ხერხს, თითქოს სახალხო მსაჯულად გამოწვეული შვებულებაშია, თითქოს მისი განთავისუფლება შეუძლებელია, როგორც შეუცვლელი მუშაკის და სხ. მიწერ-მოწერის დროს გადის დრო და ცდება დღეები, იხსნება საქმეები. ამიტომაა, რომ საშუალოდ თვითეული საქმე სასამართლოში სახელმწიფოს უჯდება 30 მანეთი.

საილუსტრაციოთ უნდა მოვიყვანო ძველი მუშაკისა და რევოლიუციონერის, ამ ჟამად ადმინისტრატორის მოქმედება, რომლის ჟინიანობით სასამართლოში ორი დღე იხსნებოდა, როგორც სისხლის სამართლის, აგრეთვე სამოქალაქო ხასიათის საქმეების განხილვა. ამით ზარალი მიეცა სახელმწიფოს დაახლოებით 250 მანეთის რაოდენობით.

ეს ადმინისტრატორია ორთაჭალის მამულის გამგე ამხ. კარაპეტოვი. რევოლიუციონური ფსევდონიმი („დავაჩეთქე“) და მისი თანაშემწე. აღნიშნულ მამულის მუშები სახალხო მსაჯულნი წრიაშვილი და მარანელი ცხადდებიან სასამართლოში დიდი დავიდარაბის შემდეგ და, შეკითხვაზე, თუ რატომ დაიგვიანეს, ამბობენ: ადმინისტრაცია არ გვიშვებს, ჩვენ კი წვრილ-შვილის პატრონნი ვართ და გვეშინია სამსახურიდან არ დაგვითხოვოსო...

ასეთი ადმინისტრატორები საჭიროა მიცემულ იქნან პასუხისგებაში. სწორედ ამიტომ საქმე მათ შესახებ უკვე გადაგზავნილია პროკურატურაში კვლევა-ძიებისათვის.

ი. კალანდაძე.

მუშტიკრივის მოყვარული პედაგოგი

(დ. ხობი, ზუგდ. მაზ.)

ჩვენ ვლაპარაკობთ დ. ხობის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის გამგე კაპიტონ მიქავას შესახებ. მიქავა ძალიან შეჩვეულია მოსწავლეთა ცემატყეპას, მას ამით არა ერთხელ უსახელებია თავი. მან, მაგალითად, იმდენი ურტყა მოწაფე ზარანდიას, რომ სწავლის ხალისი დაუკარგა. ასევე მოექცა მოსწავლე დოლბაიას, ხასიას და სხვებს.

ამ უკანასკნელად კი მიქავამ განსაკუთრებით ისახელა თავი. მოწაფე ა. კალანდიამ დაამთავრა ხობის 7-წ. შ. სკოლა და მატერიალური ხელმოკლეობის გამო სკოლაშივე მოეწყო დარაჯის თანამდებობაზე, უკვე რამოდენიმე თვეა ის პირნათლად ასრულებს მოვალეობას.

მაგრამ მოხდა უბედურება. აგვისტოს პირველ რიცხვებში გამგე მიქავას დაეკარგა რამოდენიმე მანეთი ფული საკუთარი ბინიდან, ფულის მპარავა მან დასწამა კალანდიას. შეიხმო ის კაბინეტში და სასკოლო ნივთით— ვებერთელა პრიზმა თვალებში გაარტყა, რის შემდეგ ბავში თავბრუ დახვეული მასწავლებელ ჭელიძის დახმარებით გაიქცა. მიქავა მას გინებით მოსდევდა უკან.

დარაჯმა თავის ამოშავებული თვალით საექიმო პუნქტს მიაშურა. დაშავებული თვალი იაქიმა და ამის შესახებ მოწმობაც გამოართვა ექიმს. უკანასკნელი მიაკრა განცხადებას და სასამართლოს მისცა.

ახლოვდება საქმის განხილვის დღე. გამგეს კუდი აეწვა. ის ხერხს მიმართავს: დაუკლო კილოს და ლაქუცი დაუწყო დარაჯს, თან მის მშობლებს შეუჩინა ხალხი და სასამართლოში აღძრული საქმე მოასპობია. ასეთია სკოლის გამგე მიქავას საქმენი საგმირონი.

რა სარგებლობა უნდა მოუტანოს ასეთ პედაგოგმა და ადმინისტრატორმა ახალ სკოლას?

ვ. შრომიშვილი.

დაჩქარებით უნდა მოგვარდეს

(წინადადების სახით)

ამ უკანასკნელ წელს ხშირია შემთხვევა, როდესაც მსხვილი კერძო მწარმოებელი თავის საწარმოოს ლიკვიდაციას უშვება, და ახდენს შთაბეჭდილებას თითქოს ვაჭრობას თავი დაანება. როგორ უნდა ვიფიქროთ, მან მართლაც მიატოვა ვაჭრობა? არა. ის ბევრ შემთხვევაში ლეგალური მდგომარეობიდან გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაზე. ის მალულად განაგრძობს ვაჭრობას. დღეს აქ არის, ხვალ იქ, საგადასახადო ზედამხედველობისათვის მათი აღმოჩენა ძლიერ ძნელი ხდება. ხშირად შეუძლებელიც.

მათ ასეთ მდგომარეობას ხელს უწყობს ჩვენი სატრან. სატვირთო დავთრების წარმოების არსებული წესი. ჩვენს ხელთ არის რკ.-გზ. ერთ-ერთი სადგურის სატვირთო დავთარი; ამ დავთრის მიხედვით შეუძლებელია იმის გაგება, თუ ვის ეკუთვნის მასში აღნიშნული საქონელი. დავთარში ჩაწერილია მხოლოდ საქონლის დასახელება და გამოგზავნის პუნქტი. კერძო მწარმოებელი ისედაც დახელოვნებულია; ის ყოველგან გაურბის თავის ვინაობის გამოჩენას; საქონელს საბუთის წარმომდგენის სახელზე იგზავნის, ამით სატრანსპორტო დაწესებულებანი უნებლიეთ ხელს უწყობენ მას.

თუ სატრანსპორტო დავთრების წარმოების წესი არ შეიცვალა, კერძო კაპიტალი მომავალშიაც ისე დაგვემალება, როგორც აქამდე გვემალებოდა.

ჩვენს ხელთ არის აუარებელი მასალა ამოწერილი სატრანსპორტო დაწესებულებიდან, რომელთაც არავითარი ღირებულება არა აქვთ, რადგან არ ვიცით ვის ეკუთვნის მასში აღნიშნული საქონელი. მომავლისათვის უნდა დაევალოს სატრანსპორტო დაწესებულებებს, რათა დავთრებში იწერებოდეს ყველა ცნობები, როგორც საქონლის, ისე მისი გამგზავნის და მიმღების შესახებ. წიგნების წარმოების ასეთი წესი აუცილებლად დიდ სამსახურს გაგვიწევს კერძო კაპიტალის შესაძლებლობის, რაც შეიძლება სრულიად ალ-

სანმანიძე.

მიწით სპეკულაცია აღმასკომის სახელით

(თბილისი)

მესამე წელიწადია, რაც დაიკეტა ვერის ნიკოლოზის სასაფლაო. ამის შემდეგ ვერის და სხვა მრავალ უბანის მოსახლეობა, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, თუ საერთოდ მათ შორის არის ვინმე მორწმუნე, მიცვალებულებს ასაფლავებენ ყოფილ სომხების სასაფლაოზე, რომელსაც და[illegible] „ვერის ახალი სასაფლაო“.

ეს სასაფლაო აღმასკომიდან იჯარით აქვს აღებული მორწმუნეთა „ძმობას“. მორწმუნეთა ეს „ძმობა“ ყოვლად მიუღებელ ექსპლოატაციას ეწევა სამარხი მიწებით.

ყოველ მიცვალებულზე ახდევინებენ 8 მანეთს, —ეს თუ მიცვალებული დაზღვეული იყო. თუ კი ის კერძო იყო, აქ „ძმობა“ რიგიანათ ითბობს ხელს. ატყავებენ ჭირისუფლებს დაუზოგავად. ამას მიწის გაყიდვას კი არ უძახიან, არამედ „საფლავის ამოსათხრელ ქირას“. ამ ჩარჩთა ძმობას ჰყავს ორი დარაჯი, რომელთაც ასრულებინებენ მესაფლავეების მოვალეობასაც. მათ აქამდის აძლევდნენ თვიურად 37 მანეთს, მხოლოდ ბოლო თვეში მოუმატეს 5 მანეთი.

მაგრამ დასაფლავების დღე— ეს მხოლოდ პირველი საფეხურია სპეკულიაციისა. ვთქვათ გარდაცვალებულის ჭირისუფლებმა მოისურვეს საფლავზე გალავნის შემოვლება—ეს აძლევს საბაბს უფრო მეტი მყვლეფელობისათვის მორწმუნეთა „ძმობას“. აქ იწყება ყოვლად უტიფარი ვაჭრობა. გალავნის შემოსავლებ თითო საფლავში ხელმეორედ ართმევენ 20—50—100—150 მანეთს და, თუ მოახერხებენ— მეტსაც. საზღვარს წარმოადგენს მხოლოდ ჭირისუფალთა შეძლება და არა მოიჯარადრეთა სინდისი. უნდა გაჩვენათ, ამ მორიგების დროს ყვლეფაში „ძმობის“ დახელოვნებული მეთაური როგორ ზომავს მიწას გოჯობით და ყოველ გოჯს თუმნობით ანგარიშობს. როცა აღშფოთებული ჭირისუფლები შენიშნავენ: მიწის გაყიდვა ხომ აკრძალულია საბჭოთა კანონითო, ძმობის წარმომადგენელი უპასუხებს, რომ ეს ფული თბილისის აღმასკომის სასარგებლოდ მიდისო. ნამდვილათ კი აღმასკომს აძლევენ მხოლოდ ათ პროცენტს შემოსავლისას. თვით „შემოსავლის“ სისტემა არავისგან არის განსაზღვრული. აღმაკომსაც 10 პროცენტის მიღებით პილატესავით დაუბანია ხელი, მოიჯარადრეები კი, რაც მათ სურთ, იმას სჩადიან აღმასკომის სახელით.

მაგრამ „ძმობა“ მარტო მიცვალებულთა ჭირისუფლების გაყვლეფას არ სჯერდება. ვინც იმათ კლანჭებში ჩავარდება, გაუგლეჯავი არ დარჩება. ასეთ მსხვერპლს წარმოადგენს სასაფლაოს ორი დარაჯიც.

ბევრი ჭირისუფალი საფლავებზე აშენებს ყვავილნარს, რომლის მორწყვას ავალებს იმავე დარაჯებს, რისთვისაც მათ აძლევენ თვეში ერთ-ორ მანეთს. „ძმობას“ შეხარბებია ამათი შემოსავალი. მოსთხოვეს მათ წილი. მორიგდნენ: ორთავე დარაჯმა მორწყვაში მიღებულ ფულიდან ყოველთვიურად „ძმობას“ უნდა აძლიოს 15 მანეთი.

ხალხი საშინლად არის აღშფოთებული ასეთი ძარცვა- გლეჯით. არის ჩხუბი, აყალ-მაყალი და უსიამოვნობა.

გასაოცარია: თბილისის აღმასკომმა ნუ თუ უკეთესი საშუალება ვერ გამონახა სასაფლაოს მოსაწყობათ და საყვლეფად ჩააბარა ის ისეთ ხალხს, რომელიც აღმასკომსაც უტეხს სახელს? ვნახოთ რას გვიპასუხებს ამაზე აღმასკომი.

მოამბე.

თვითკრიტიკის შედეგები აჭარისტანში

თვითკრიტიკის განვითარებისა და მისი პრაქტიკული გატარების საკითხი გადაიქცა მორიგ ამოცანად საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმის და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვის შემდეგ.

აჭარისტანში ეს საკითხი ირჩეოდა ქალაქის ორგანიზაციის აქტივის კრებებზე. სამაზრო კომიტეტის პლენუმებზე, ქალაქის მუშათა კონფერენციებზე და პარტუჯრედების კრებებზე.

თვითკრიტიკის საკითხების დამუშავების დროს მასების მთავარ ყურადღებას იპყრობდა: ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, წარმოების რაციონალიზაცია, კლასობრივი ხაზის გაძლიერება სოფლად, ბრძოლა ქეიფების წინააღმდეგ და ცალკე პასუხისმგებელ მუშაკთათვის გამართული საზეიმო გაცილების წინააღმდეგ, ბრძოლა კონტრაბანდისთან, სისხლის აღებასთან, ბრძოლა ჩადრის წინააღმდეგ და სხვ.

თვითკრიტიკის ლოზუნგმა გააცხოველა და გააძლიერა როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მასების აქტივობა პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

პირველ ხანებში, როდესაც მასსა არ იყო ჯერ საკმაოდ გათვითცნობიერებული თვითკრიტიკის საკითხებში, ხშირი იყო შეცდომები, ვინაიდან ზოგიერთებმა თვითკრიტიკა გაიგეს, როგორც მოხერხებული მომენტი პირადი ანგარიშების გასასწორებლად. და დაიწყო ინტრიგები, დემაგოგია და ცალკე პასუხისმგებელ მუშაკთა ლანძღვა-გინება. ამიტომ პარტიის საოლქო კომიტეტი იძულებული გახდა თვითკრიტიკის საკითხი სამჯერ დაესვა და დეტალურად დაემუშავებია ბათომის ქალაქის აქტივის კრებებზე.

ამ გარემოებამ საგრძნობლად გამოასწორა თვითკრიტიკის გატარების დეფექტები და ამის შემდეგ იგი ტარდებოდა ისე, როგორც ამას მოითხოვდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

მსხვილ წარმოებებში

მსხვილ წარმოებებში თვითკრიტიკამ უპირველესად ყოვლისა შეუტია ხელმძღვანელ აპარატის ბიუროკრატიულ გადამახინჯებას, საწარმოო თათბირების, ეკონომ-თათბირების და ეკონომ-კომისიების მუშაობის უარყოფით მხარეებს, გაჩაღა ბრძოლა ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომთა მუშაობის გაჯანსაღებისათვის და სხვ.

კამათის დროს ამხანაგები ეხებოდნენ მარტოოდენ ამ საკითხებს და მოითხოვდნენ დეფექტების დაუყოვნებლივ გამოსწორებას. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ზოგ უჯრედებს პარტიული ცხოვრების და პრაქტიკის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო გამოჰქონდათ შაბლონური გადაწყვეტილებანი, როგორც მაგალითად: „საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდება გატარებულ იქნა ცხოვრებაში შრომელთა მასების აღსაზრდელად, გაძლიერებულ იქნა მასსიური მუშაობა“.

ბიუროკრატიზმი და სხვა არანორმალური ავადმყოფური მოვლენები აჭარისტანში არ განისაზღვრება მარტოოდენ ბათომის საბაჟოს ყველასთვის ცნობილი საქმით; ცოტათ თუ ბევრად ისინი თავს იჩენენ სხვა წარმოებებში და დაწესებულებებშიაც. რომელთა დანაშაულებრივ მოქმედებას ამჟღავნებს მშრომელთა ქვედა მასები. მაგ., მახუცეთში აჭარ. ელსადგურზე შემჩნეულია ადმინისტრაციის უთავბოლოობა და უყურადღებობა მშენებლობის საქმისადმი, სამმართველო აპარატის განმარტივების საქმისადმი და სხვა. უყურადღებოდ სტოვებენ მასების წინადადებებს, ამა თუ იმ არანორმალურ მოვლენათა შესახებ. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ სათადარიგო გვირაბის და საგუბარების აგების საქმე სწორედ არ იყო დაყენებული, რამაც თავის მხრივ 8,000 მან. ზარალი გამოიწვია წყალდიდობის დროს. და ეს მაშინ, როცა ძველი მუშების წინადადებებს აღნიშნულ პროექტის უვარგისობის შესახებ საინჟინერო პერსონალი არ იღებდა მხედველობაში; პირიქით, ამ „80.000 მან. გმირები“ სასაცილოთ იგდებდნენ მუშათა საქმიან წინადადებებს. ყოფილა შემთხვევები სამუშაო ხელფასის დაგვიანებისა (აპრილის ჯამაგირი გაუციათ ივლისში).

გაფლანგვა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და სამილიციო უწყებაში აღმოაჩინეს გულგრილობა სამსახურისადმი, უპასუხისმგებლობა, რის შედეგად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბუხჰალტერმა გაფლანგა — 30,000 მანეთი. ცხადია, „30.000 გმირი“ დაისჯება სათანადოდ, მაგრამ ჩვენ ეხლა თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ აქ გამოჩენილ იქნა დიდი დაუდევრობა, ვინაიდან წინასწარი გამოძიებით გამოირკვა, რომ გაჩეჩილაძე და მისი კომპანია დიდხანს მუშაობდენ ფულის გატაცების საქმეზე.

ზოგიერთი „წვრილმანები“

მილიციაში ზოგიერთ მუშაკებს კომუნისტები ბრალს სდებდნენ, რომ ისინი კონტრაბანდულ საქონელს ითვისებდნენ, მიითვისეს ვაჭრისათვის ჩამორთმეული ხალიჩა, კავშირი ჰქონდათ კერძო ვაჭრებთან და სარგებლობდნენ უკანასკნელთა კრედიტით.

რკინის გზაზე, როგორც გამოირკვა, ბიუროკრატიზმი და კონტრაბანდით ვაჭრობა მუდმივი მოვლენა იყო. გამოირკვა, რომ ქობულეთის სადგურის უფროსი კობეშავიძე სდევნიდა მუშკორებს, რომლებიც სწერდნენ მისი ნაკლის შესახებ, უმიზეზოდ ითხოვდა ადგილიდან მუშებსა და მოსამსახურეებს, დაუდევრად ეკიდებოდა სამსახურს და სხვ. მეორე — ბესელია (გამ. ყოლი, პარტიის წევრი, გამორიცხულია პარტიიდან) კონტრაბანდას ეზიდებოდა რკინის გზაზე, სისტემატიურად ამჟღავნებდა უჯრედის დადგენილებებს უპარტიოთა შორის, ქურდობა და სხვა.

მუშკოოპში მუშები და მოსამსახურეები არა ერთხელ აღნიშნავდნენ, რომ მაღაზიაში ყოფილი ვაჭრები და სპეკულიანტები მუშაობენ და ეს მართლაც დაამტკიცა გამოკვლევამ.

სოფლად

როგორი აღმოჩნდა კლასობრივი ხაზი სოფლად. ცნება „ფუხარა“ აჭარისტანში დღემდე გაურკვეველი ცნებაა. ბევრი დაწესებულება და მუშაკი „ფუხარა“-ს სახელით არა მარტო ღარიბ გლეხებს გულისხმობს, არამედ აჭარისტანის მთელ სოფლის მოსახლეობასაც. „ფუხარა“-ს სახელს ეფარებიან როგორც ღარიბი გლეხები, ისე კულაკური ელემენტები, ხოლო ეს უკანასკნელნი სრულიად უკანონოდ სარგებლობენ იმ ეკონომიური და პოლიტიკური შეღავათებით, რომლებიც მინიჭებული აქვს საშუალო გლეხებს. რომ განსაკუთრებით ადგილებზე ვერ არჩევენ, თუ ვინ არის „ფუხარა“, ამას ის ამტკიცებს, რომ ყოფილ ბეგებს და მემამულეებს დღესაც აქვთ ნორმაზე მეტი მიწა, ისინი სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა კრედიტებით, აგრონომიული და საექიმო დახმარებით, იურიდიული ძალების დახმარებით იბრუნებენ ქონებრივ უფლებას და სხვ.

სრულიად სამართლიანია, რომ ღარიბმა გლეხობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ არანორმალურ მოვლენებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა მუშავდებოდა საკავშირო კომპარტიის (ბ) მიმართვა თვითკრიტიკის შესახებ, ღარიბმა გლეხობამ ძლიერ მწყობრად გაილაშქრა შემჩნეული არანორმალური მოვლენების წინააღმდეგ.

სისხლის აღება

სისხლის აღება აჭარისტანში ისე, როგორც საბჭოთა კავშირის ბევრ სხვა ადგილას, ერთ-ერთ დიდ ბოროტებას წარმოადგენს სისხლის აღების ადათი. აჭარისტანის ცაკის გამოანგარიშებით იანვრიდან ივლისამდე, დაახლოებით შვიდ თვეში, აჭარისტანში სისხლის აღების ნიადაგზე მოკლულია 40-მდე კაცი, ამ საქმეებზე პასუხისგებაში მიცემულია 200 კაცი. აჭარისტანის მთავრობა თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევს ამ საკითხს. ამას წინად აჭარისტანის ცაკის სესიამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის წინაშე სისხლის სამართლის კოდექსის იმ ადგილის შეცვლის შესახებ, რომელიც ეხება სისხლის აღებას. აჭარისტანის ცაკს საჭიროდ მიაჩნია ეს ადგილი ისე შეიცვალოს, რომ დამნაშავეთა უფრო მკაცრად დასჯას ითვალისწინებდეს. მაგრამ გარდა ამ ღონისძიებებისა, თვითკრიტიკის კამპანიის დროს მთელმა პარტორგანიზაციამ და განსაკუთრებით სოფლის ორგანიზაციებმა მთავარი ყურადღება მიაქციეს ამ მტკივნეულ საკითხს.

კონტრაბანდა

ვინაიდან აჭარისტანი თურქეთის მოსაზღვრეა და ვინაიდან აქ ერთხანს კონტრაბანდა ძლიერ განვითარებული იყო, ამ საკითხს ცეკას მიმართვის დამუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. უჯრედების უმრავლესობა თავის რეზოლიუციებში საჭიროდ სთვლის „უმკაცრესი ზომების მიღებას იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც კონტრაბანდას ეწევიან“. უჯრედები წინადადებას იძლეოდნენ, „აეკრძალოთ პარტიის წევრებსა და კომკავშირელებს და სხვა პასუხისმგებელ მუშაკებს კონტრაბანდული ტანსაცმელის ტარება, ხოლო ვისაც უკვე აქვს, ჩამოერთვას და ბავშთა დამხმარე კომისიას გადაეცესო“. უჯრედების მეორე ნაწილი აღნიშნავდა, რომ „კონტრაბანდული საქონლის აკრძალვა, სანამ საკმაოდ არ გვაქვს ადგილობრივი (ე. ი. საბჭოთა კავშირში) დამზადებული საქონელი, შეუძლებელიაო“. გამოდის რა აქედან, ეს ჯგუფი წინადადებას იძლევა, რომ აჭარისტანი საკმაოდ იქნას მომარაგებული პირველ რიგში მატყლის მატერიებით“.

თუ ამ საკითხს ყურადღებით განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ პირველი მხარე მართალია, როდესაც მოითხოვს კონტრაბანდული საქონლის ყიდვის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და სასტიკი ზომების მიღებას იმათ წინააღმდეგ, ვინც შემდეგში იყიდის ასეთ საქონელს. ხოლო მეორე მხარე მართალია იმაში, რომ კონტრაბანდასთან ბრძოლის მიზნით საჭიროდ მიაჩნია აჭარისტანისთვის პირველ რიგში მატყლის მატერიების მიწოდება. სავსებით სწორია, რომ ეს უკანასკნელი ზომა რეალურ ზიანს წარმოადგენს კონტრაბანდის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენ ვიცით, რომ თუ აჭარისტანის ბაზარი საკმაოდ არ იქნება დაკმაყოფილებული მატყლის მატერიებით, ვერავითარი კანონი, რაგინდ მკაცრი არ იყოს ის კონტრაბანდისტების მიმართ, ვერ მოსპობს კონტრაბანდას.

და ამიტომ სავსებით სწორია საქართველოს კომპარტიის (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის შემდეგი დადგენილება: „აეკრძალოს პარტიის ყველა წევრს, კომკავშირელს, საბჭოთა და პროფაქტივს თავისი საჭიროებისათვის კონტრაბანდული საქონლის შეძენა, ხოლო იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც კიდევ შეიძენენ ასეთ საქონელს, მიღებულ იქნას ზომები თვით ორგანიზაციიდან გამორიცხვამდე“. ამასთან ერთად „პლენუმი შუამდგომლობს ცენტრალურ სამეურნეო ორგანოების წინაშე, რომ აჭარისტანი პირველ რიგში იქნეს მომარაგებული მატყლის მატერიებით, რათა მოსახლეობას საშუალება მიეცეს საბჭოთა საქონლით შესცვალოს კონტრაბანდული საქონელი“.

ვუკეთებთ რა ჯამს თვითკრიტიკის კამპანიას საქართველოს კომპარტიის (ბ) აჭარისტანის ორგანიზაციაში, შეგვიძლია აღვნიშნოთ მრავალი ნაკლი, რომელიც გამოარკვიეს ფართო ქვედა ფენებმა. მაგრამ ამ დეფექტების დაწვრილებით ჩამოთვლა, მათი ერთგვაროვნობის გამო, ზედმეტია, ვინაიდან ეს დიდ ადგილს დაიკავებს და მოსაწყენიც იქნება მკითხველისათვის. მრავალი დეფექტი გამოაშკარავდა მასების საქმიანი მიდგომით, მაგრამ პარტიის საოლქო კომიტეტის ლენინური ხელმძღვანელობით და პარტიის, კომკავშირის, საბჭოთა და პროფესიონალური მასების მონაწილეობით ეს დეფექტები თანდათან ისპობა.

ა. მუავია.

ორიგინალური გამგე

კამოს ქუჩაზე მდებარეობს საბავშო ბაღი № 11. ამ ბაღში მისაღებთა განცხადებები იყო თითქმის სამოცამდე, ყველა მუშებისაგან. კომისიამ გაარჩია განცხადებები და უადგილობის გამო უარი ეთქვა 30-მდე მთხოვნელს. დანარჩენები კი მიიღეს. მაგრამ ამ ოცდაათიდან ორი ბავში არის ვაჭარ თუმანიანის, რომელიც კირკის ქუჩაზე ვაჭრობს. 30 მუშას განცხადებაზე უარი უთხრეს და ვაჭრის ორი შვილი ერთად მიიღეს. როდესაც გამგეს ამის შესახებ პროტესტი განუცხადა ერთ-ერთ მშრომელმა გულიანცის ქალმა, გამგემ ასე უპასუხა: თუ არ დაწყნარდები და დაიწყებ ლაპარაკს, შენი ბავშიც დათხოვნილი იქნება ბაღიდანო. როგორ, მოგწონთ გამგის ასეთი თავხედური პასუხი?

არმიელი.

წვრილფეხა ინტრიგანი

(ქ. ზუგდიდი)

ჩვენ გვინდა მუშის და გლეხის კრიტიკა, მათ ხმას გაფაციცებით და მორიდებით ვეპყრობით. სულ სხვაა, როდესაც საქმე გვაქვს ინტელიგენტის მიერ მოჩმახულ ასპროცენტიან ტყუილთან, აი, ამის ერთი ფაქტიც:

გაზეთ „კომ“. № 204-ში მოთავსებულია ვინმე „ეკალის“ კორესპონდენცია ზუგდიდიდან. ავტორი წერილს ასე იწყებს:

„1927-28 წ., კოოპერატივის გამგეობის არჩევნების დროს, ზუგდიდის კოოპერატივის გამგეობაში გაყვანილ იქნა ერთი „გავლენიანი“ კაცის მოთხოვნით ამავე გავლენიანი კაცის სიძე—გერმანე ჯაკონია“.

გავარჩიოთ ჯერ ეს ბრალდება. 1928 წ. 30 იანვარს მოხდა ზუგდიდის უბნის სამომხმარებლო კოოპერატივის რწმუნებულთა ყრილობა, ყრილობის ჩასატარებლად და ხელმძღვანელად თბილისიდან ჩამოვიდა „ცეკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მალაქია ტოროშელიძე. ამხ. ტოროშელიძე მაშინ სამართლიანად ამბობდა: საჭიროა ზუგდიდის კოოპერატივი გაწმენდილ იქნეს ინვალიდებისაგანო.

ამ მოსაზრებით ახალ არჩევნების დროს გ. ჯაკონია შეყვანილი იქნა კოოპერატივის გამგეობაში. ამხ. ტოროშელიძე პირადათ კარგად იცნობდა ჯაკონიას. არავითარი „გავლენიან“ კაცის პროტექციას აქ ადგილი არ ჰქონია, ამრიგად რაკი „ეკალმა“ დაუშვა ერთი ტყუილი, დანარჩენებიც ზედ მიაყოლა. ასე მაგალითად ის ცილს სწამებს ჯაკონიას „ნათლიმამობაში“, უყაირათობაში, მფლანგველობაში, ფიქტიურ და ხშირ მოვლენებების შექმნაში და სხვა. არც ერთი ეს ბრალდება, კვლევა-ძიებამ არ დაადასტურა. პირიქით, ფაქტები სხვას გვეუბნება. ახალი გამგეობა ჯაკონიას მეთაურობით მუშაობს მერვე თვეა. წელს კოოპერატივის მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვინემ შარშან. ავლაპარაკოთ ციფრები:

ზუგდიდის უბნის კოოპერატივის საერთო ბრუნვა 1927 წ. 1 თებერვლიდან 1927 წ. 1 სექტემბრამდე 354.903 მანეთს უდრის. 1928 წ. 1 თებ. 1928 წ. 1 სექტემბრამდე კი უდრის 634.128 მანეთს. წმინდა მოგება 1927 წლის 1 თებერვლიდან 1927 წ. 1 სექტემბრამდე უდრის 3.720 მანეთს. წმინდა მოგება 1928 წ. 1 თებ. 1928 წ. 1 სექტემბრამდე უდრის 16.038 მანეთი.

1927 წ. 1 თებ. 1927 წ. 1 სექტემბრამდე წევრები შემოვიდა 437 კაცი, საპაიო თანხათ 2629 მან., 1928 წ. 1 თებერვლიდან 1928 წ. 1 სექტემბრამდე კი 528 კაცი, საპაიო თანხით 16.038 მანეთი.

ზუგდიდის უბნის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის ინვალიდებისაგან გაწმენდამ, როგორც ვხედავთ, დიდი ნაყოფი მოიტანა. ალბათ სწორეთ ეს არ აძლევს მოსვენებას წერილის ავტორ „ეკალს“.

ყველაფერი ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენს შორის კიდევ მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც ბოროტად იყენებენ პრესის ნდობას. კორესპონდენცია აშენებულია პირად ინტერესებზე და მას არაფერი აქვს საერთო საზოგადო ინტერესებთან.

ი. ჟვანია.

ბრალდებები სიმართლეს არ შეეფერება

(შემოქმედის თ., გურია)

„კომუნისტი“-ს № 192-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია შემდეგი სათაურით: „მოსე მწერალი ცოცხალია“. წერილის ავტორი „ო. წ“ ბრალს სდებდა შემოქმედის თემის (გურია) საბჭოს მდივანს—სიმონ შუბლაძეს მთელ რიგ უმზგავსო მოქმედებაში. როგორც სპეციალურ კვლევა-ძიებით გამოირკვა, და როგორც ამას მოწმობს სათემო საბჭოს გაერთიანებული ყრილობის დადგენილება, ამხ. სიმონ შუბლაძე კეთილსინდისიერათ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

კორესპონდენციაში წამოყენებული არც ერთი ბრალდება სიმართლეს არ შეეფერება

პარტიული ცხოვრება

პარტმუშაობის რაციონალიზაციის საკითხები

მიმდინარე წელს პარტიული მუშაობის რაციონალიზაციას უდიდესი ყურადღება ექცეოდა. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება აღნიშნულ საკითხზე დეტალურად ითვალისწინებდა ყველა იმ გზებს, რომლითაც უნდა წარმართულიყო პარტმუშაობის რაციონალიზაციის საქმე.

ადგილობრივმა პარტ. კომიტეტებმა მიიღეს ზომები ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივის შესასრულებლად, შეეცადენ მოეწესრიგებიათ სხდომა-თათბირების რეგლამენტი, გამოჰყვეს უჯამაგირო ინსტრუქტორები, შემოიღეს აღრიცხვის ბარათებიანი სისტემა, სცადეს პარტ-დატვირთვის უფრო რაციონალური განაწილება და სხვ.

ცხადია ამ ღონისძიებებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს პარტმუშაობის ხარისხი და ტექნიკა, მაგრამ ყველა ნაკლოვანებათა აღმოფხვრა მაინც ვერ შესძლეს. შემუშავებული რეგლამენტი ხშირად ირღვევა; კრებების და სხდომების მუშაობის შინაარსის გაუმჯობესება, რაც აუცილებელი პირობა იყო მათი რიცხვის შემცირებისათვის, ბევრგან ჯერ კიდევ არ არის მიღწეული; შტატს-გარეშე ინსტრუქტორთა შემადგენლობა ცვალებადია, ის მრავალ ადგილას ცუდად არის შერჩეული და ვერ ასრულებს თავის ამოცანებს; პარტდატვირთვა ისევ მოუწესრიგებელი რჩება და სხვა.

პარტმუშაობის რაციონალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი გზა—მუშაობაში მტკიცე გეგმიანობის შეტანა. დღემდე ყოველი უჯრედი, ყოველი პროფესიონალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია გეგმას დამოუკიდებლად ადგენს. ამასთანავე გეგმები სხვადასხვა ვადაზეა ნავარაუდევი. ამგვარ პირობებში ცხადია შეუძლებელია გეგმის ურთიერთ კავშირზე ლაპარაკი.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა მთელი ორგანიზაციისათვის (რაიონის და თემის მასშტაბით) შემოღებულ იქნეს მთლიანი კვარტალური გეგმები. თვითეული კვარტალის დამდეგს რაიკომი ან თემკომი იწვევს უჯრედების მდივანთა თათბირს, რომელიც განიხილავს და შეიმუშავებს უჯრედების სამუშაო გეგმის ძირითად მომენტებს. ამის საფუძველზე კი შემდეგ თვითეული უჯრედი შეადგენს თავის კალენდარულ გეგმას.

ასევე უნდა მოწესრიგდეს რეგლამენტის საკითხიც. შეუძლებელია მუშაობის რაციონალიზაცია ისე, თუ პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მთელი სისტემისათვის საერთო რეგლამენტი არ ექნება შემუშავებული.

ჩვენი უჯრედების მუშაობას დღემდე აფერხებს და აძნელებს კომისიების სიმრავლე. საუჯრედო კომისიების რიცხვის შესამცირებლად აუცილებლად საჭიროა ზომების მიღება. უჯრედში, სადაც წევრთა რაოდენობა 30-ს არ აღემატება, სრულიად არ არის საჭირო რაიმე კომისიის გამოყოფა. ასეთ უჯრედებში ბიუროს საკმაო ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია მუშაობის ყველა დარგებისათვის. უჯრედებში, სადაც წევრთა რიცხვი 30-დან 50-დე აღწევს, დასაშვებია საორგანიზაციო და ინსტრუქტორთა კომისიის შექმნა. ყველა საუჯრედო კომისიის გამოყოფა კი შესაფერ ნიადაგს მხოლოდ დიდ უჯრედებში გამოიღებს.

აუცილებელია ისევ გადათვალიერებულ იქნეს უჯრედთა საქმის წარმოება. საუჯრედო საქმეები მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი.

წერილობითი კავშირი უჯრედებსა და პარტკომებს შორის გადათვალიერებას მოითხოვს. ამ მხრივ საინტერესოა ქალაქის რაიკომის (თბილისი) მიერ შემუშავებული ცხრილი, იმ მასალების, რომელიც უნდა იგზავნებოდეს პარტკომიტეტიდან უჯრედებში და უჯრედებიდან პარტკომში. აი ეს ცხრილიც:

უჯრედები გზავნიან რაიკომში: მასალებს, რომლის მიხედვითაც რაიკომმა რაიმე ზომები უნდა მიიღოს და პასუხს რაიკომის მიერ ძიებულ შეკითხვებზე (სტატისტიკა, ინფორმაცია და სხვ.)

რაიკომი გზავნის უჯრედებში: მიმართვებს სპეციალურ საკითხებზე და უწყებებს გამოძახების შესახებ; საინსტრუქციო დებულებებს და მითითებას.

ეს საორგანიზაციო ცხრილი, ზოგიერთი შესწორებების შემდეგ ყველა ქვედა პარტ-ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ.

ჯ—ელი.

ღარიბთა ჯგუფების მუშაობის გამოკვლევის შედეგები

(ქუთაისის მაზრა)

ქუთაისის მაზრაში ღარიბთა ჯგუფები აპრილში დაარსდა ჯგუფები ჩამოყალიბებულია შემდეგ ორგანოებთან: თემსაბჭოებთან, რომელიც აერთიანებს 507 ღარიბ გლეხს და გლეხკომებთან (ყველა თემებში აერთიანებს 273 ღარიბ გლეხს.) კოოპერატივის გამგეობებთან ჯგუფები ჩამოყალიბებულია მხოლოდ ორპირის, ვანის, ტობანიერის, სვირის, ზეინდრის, ბაღდათის და გორას თემებში. ამ ჯგუფებში 69 ღარიბი გლეხი ირიცხება.

სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგ. გამგეობებთა ჯგუფები არსებობენ—სამტრედიაში, ხონში, ჯიხაიშში, გორდში, ორპირში, ტობანიერში, ამაღლებაში; ბაღდათში და გორაში. სულ მაზრაში ღარიბ გლეხთა ჯგუფები აერთიანებს 921 უპარტიო გლეხს.

მიმდინარე წლის მაისში მოწვეულ იქნა ღარიბ გლეხთა ჯგუფების სამაზრო კონფერენცია, რომელშიაც მრავალი დეფექტი აღინიშნა სოფლად მუშაობის დარგში.

ღარიბ გლეხთა ჯგუფების მუშაობა კონფერენციის შემდეგ გაღრმავდა და გამოცოცხლდა. სამაზრკომმა ა. წ. პირველ ივლისს დაუგზავნა სადირექტივო წერილი სამტრედიის, ტყიბულის და ხონის კომიტეტების მდივნებს კონფერენციაზე მიღებული რეზოლიუციის დამუშავების შესახებ და აგრეთვე დაავალა სამაზრო ინსტრუქტორებს და რაიონულ კომიტეტების მდივნებს ჩაეტარებიათ ჯგუფების სხდომები და გამოეკვლიათ ღარიბ გლეხთა ჯგუფების მუშაობა ადგილებზე.

ღარიბ გლეხთა ჯგუფების მუშაობის გამოკვლევა დამთავრდა ა. წ. 10 აგვისტოს. გამოკვლევამ შემდეგი სურათი გვიჩვენა: ჯგუფების მუშაობას უკანასკნელ ხანებში გარკვეული სახე აქვს მიღებული. ჯგუფების სხდომები ზოგიერთ რაიონებში რეგულიარულად ეწყობა, ღარიბ გლეხობას ემჩნევა აქტივობა. ჯგუფების სხდომების დღის წესრიგი სათანადოდ არის შერჩეული, ისმება საკითხები, როგორიცაა: კოოპერატივის გამგეობის ანგარიში, პაის გადიდების საკითხი, ღარიბ გლეხობის კოოპერაციაში ჩაბმის საკითხი, სასოფლო სამეურნეო გადასახადით დასაბეგრ ობიექტთა აღრიცხვა და სხვ. სისტემატიურად ეწყობა აგრეთვე ჯგუფების საერთო კრებები.

ღარიბ-გლეხთა ჯგუფები დიდ ყურადღებას აქცევენ ღარიბ გლეხობისათვის დახმარების გაწევისა და შეღავათის მიცემის საკითხებს. მაგალითად ერთი წლის განმავლობაში კოოპერატივის წევრად შეყვანილია: იანეთის თემში—58 ღარიბი გლეხი, ეწერის თემში—67, დიდი ჯიხაიშის—34, გამოჩინებულის—220 და სხვა. ეწერის თემში ღარიბებს შეღავათიან ფასებში დაურიგდა 100 ფუთი სიმინდი, სრულიად უფასოდ—50 ფუთი, სახდაზღვევის გადასახადისაგან განთავისუფლებულია 127 მოსახლე. დაახლოებით ასეთივე სურათია სხვა თემებშიაც.

ამ მიღწევებთან ერთად რაიონებში და თემებში შემჩნეულია ზოგიერთი დეფექტები, მაგ. ზოგიერთ თემებში ღარიბ გლეხთა ჯგუფების მოწვევა ხდებოდა უბნის ასისთავების საშუალებით (ეწერის და ჯოგნარის), კომუჯრედების კრებებზე არ ისმება საკითხი ღარიბ გლეხთა ჯგუფების მუშაობის შესახებ არ ხდება ღარიბ გლეხობისათვის სხდომების დღის წესრიგის წინასწარ გაცნობა და სხვ.

ქუთაისის რაიონში შემავალ თემებში ღარიბთა ჯგუფების კრებაზე არ დასმულა საკითხი სიმინდისა და გრძელვადიანი სესხის განაწილების შესახებ.

განსაკუთრებული სუსტი მუშაობაა აბაშის, ფარცხანაყანევის და მუხიანის თემებში.

ზოგიერთი ორგანიზაციები საჭიროდ არ სთვლიან ღარიბ გლეხთა ჯგუფების სხდომების მოწვევას, მაგ. ბაღდათის და ზეინდრის სასოფლო-სამეურნეო საკ. ამხანაგობის გამგეობას არც ერთხელ არ მოუწვევია ღარიბ გლეხთა ჯგუფების სხდომა.

ამას გარდა გამოირკვა, რომ გლეხკომებთან არსებულ ჯგუფების მუშაობა საერთოდ მოისუსტებს. უჯრედები და საკანდიდატო ჯგუფები სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ ღარიბთა ჯგუფებს. ვანის რაიონში ღარიბ გლეხთა ჯგუფებში მოსამსახურეები და საშუალო გლეხებიც ირიცხებოდნენ. (ეხლა ეს ნაკლი გამოსწორებულია).

აღნიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად მიღებულია სათანადო ზომები და ამჟამად ღარიბ გლეხთა ჯგუფების მუშაობა მთელ მაზრაში გაჯანსაღების და გამოცოცხლების გზაზედ სდგას.

ს. მესხი.

ს. კ. პ. (ბ) ორგანიზაციაში

სწავლა განათლების საქმე ბორჩალოს მაზრაში

ბორჩალოს სამაზრკომმა მოისმინა მაზრის განათლების განყოფილების გამგის საანგარიშო მოხსენება გასულ სამოსწავლო წლის შედეგების შესახებ.

როგორც მიღწევა განყოფილების მუშაობაში პრეზიდიუმის მიერ აღნიშნულ იქნა: სასკოლო ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოება, სასკოლო მუშაკთა შემადგენლობის ნაწილობრივი გაუმჯობესება კვალიფიციურ თურქ მასწავლებელთა შერჩევის გზით; გლეხთა ინიციატივის გაძლიერება სასკოლო მშენებლობაში.

აღნიშნულ იქნა აგრეთვე ნაკლოვანებები: პედაგოგების, განსაკუთრებით თურქ-პედაგოგების დიდი ნაწილი მოუმზადებელია, მეორე საფეხურის შრ. სკოლებში არ სწარმოებს სამხედრო მუშაობა: სუსტი ყურადღება ექცევა სასკოლო მუშაობის იდეოლოგიურ მხარეს, საზ. მეცნიერების მასწავლებელ მარქსისტ-პედაგოგების რიცხვი ძლიერ მცირეა; სკოლებში დაბალია ღარიბ გლეხებისა და მოჯამაგირეთა ბავშვების პროცენტი, კომუნისტი და კომკავშირელი მასწავლებლები გულგრილად ეკიდებიან თავის მოვალეობას და სხვ.

ჩამოთვლილ ნაკლთა აღმოსაფხვრელად პრეზიდიუმმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებები. მოგვყავს ზოგიერთი მათგანი: თურქ-მასწავლებელთა მომზადების მიზნით სარვანის 7-წლედი გადაკეთებულ იქნეს 9-წლედათ და მიეცეს მას პედ. განხრა; იმისათვის, რომ ღარიბ გლეხების შვილებს გაუადვილდეს გლეხ. ახ. სკოლასა და 9-წლედში მეცადინეობა, ამ უკანასკნელებთან მოეწყოს ინტერნატები; გაუმჯობესდეს მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა; შემოღებულ იქნეს სამხედრო სწავლება; ჩატარდეს გლეხ. ახალგაზრდობის სკოლების გამოკვლევა; ა. ლ. კ. კავშირის სამკომმა და განათლების განყოფილებამ მიიღონ ზომები პიონერ ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

კომკავშირში

კომკავშირის ათი წლის თავი

მოსკოვი, 29 სექტემბერი. საკავშირო ლენინელთა კომკავშირის ც. კ-ის ცენტრალურმა საიუბილეო კომისიამ დაამტკიცა მუშაობის გეგმა კომკავშირის ათი წლის თავისათვის. საორგანიზაციო ქვეკომისიას დაევალა დაამუშავოს პროექტი მთავრობის იმ საკანონმდებლო აქტისა, რომელიც განზრახულია გამოიცეს იუბილესათვის, დაამუშავოს აგრეთვე უცხოეთის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციების მოწვევის გეგმა, მოაწყოს მოსკოვში გამოფენა კომკავშირის ისტორიიდან, გამოუშვას სპეციალური საიუბილეო ნიშანი და სხვ.

იუბილეს დღეს დიდ თეატრში მოეწყობა საზეიმო სხდომა. (ადს).

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

თავშესაფარი შხამიან გაზებისაგან



თავშესაფარი

იმპერიალისტური ომის დროს, როდესაც მებრძოლ სახელმწიფოების მიერ ნახმარი იყო შხამიანი გაზები, საჭირო შეიქნა ისეთი თავშესაფრების აგება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა თავის დაცვა გაზებისაგან.

პირველად ასეთი თავშესაფრები მოწყობილ იქნა შტაბებისა და სხვ. ისეთ დაწესებულებების პერსონალისათვის, რომელსაც უხდებოდა მუშაობა გაზის საწინააღმდეგო ნიღაბის უხმარებლად. ამას გარდა თავშესაფრები გამოყენებულ იქნენ ჯარის კაცთა დასასვენებელ ადგილათ, სადაც ჯარის კაცები ხანგრძლივი ქიმიური იერიშის დროს, იცვლიდნენ ნიღაბებს.

შეიძლება ორი სახის თავშესაფარის მოწყობა მუდმივი ჰაერით და ვენტილიატორით, პირველი სახის თავშესაფარში ჰაერი არ იცვლება, მეორე სახის თავშესაფარში ვენტილიატორის და ფილტრის საშუალებით ჰაერი იწმინდება.

თავშესაფარი შეიძლება მოეწყოს ან სპეციალურ ამისათვის აგებულ შენობაში, ან სარდაფში, ქალაქში, სადაც მრავლად არის შენობები სარდაფებით, თავშესაფრების მოწყობა ადვილია და იაფი.

მომავალი ომის დროს, როდესაც ზურგში მყოფი მშვიდობიანი მოსახლეობა არ იქნება დაცული ქიმიური თავდასხმისაგან, თავშესაფრები საჭირო იქნება ყოველ ქალაქში და დასახლებულ ადგილში.

როგორ უნდა მოვაწყოთ თავშესაფარი შხამიან გაზებისაგან?

ამისათვის ამორჩეულ უნდა იქნეს განსაზღვრულ უბნის ან რაიონის მცხოვრებთათვის მოზრდილი სარდაფი. მთავარი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება სარდაფის არჩევის დროს არის ის, რომ სარდაფში გარედან არ შედიოდეს ჰაერი, ამისათვის ფანჯრები და კარებები (ერთის გარდა) უნდა იქნენ ამოშენებული და შემდეგ გალესილი ისე, რომ არსაიდან არ შევიდეს ჰაერი. დარჩენილი კარები უნდა იხურებოდეს კარგად და უნდა იქნეს შეღებილი ორივე მხრიდან ზეთიანი საღებავით. სარდაფს უნდა ჰქონდეს ორი განყოფილება; ერთი ტან საცმელის გასახდელათ, გარედან შემსვლელთათვის, მეორე კი მუდმივ სამყოფად. ამ ორ განყოფილების შორის უნდა იყვეს გაკეთებული კარები, ან ჩამოფარებული ზეთით გაჟღენთილი ფარდა. სასურველია, რომ თავშესაფარს ჰქონდეს სათადარიგო გასასვლელი კარები იმ შემთხვევისათვის, თუ მთავარი კარები იქნება გაუქმებული რაიმე მიზეზით.

პირველ განყოფილებაში გარედან შემსვლელნი იცვლიან ტანისამოსს, იბანენ ხელ-პირს, იხსნიან გაზის საწინააღმდეგო ნიღაბს. ამ განყოფილებაში სწარმოებს აგრეთვე პირველი დახმარების აღმოჩენა გაზებისაგან მოწამლულთათვის.

თავშესაფრებში ეწყობა ფილტრი ჰაერის ვენტილიაციისათვის, ფილტრი უნდა მოეწყოს იმ განყოფილებაში, სადაც იმყოფება მუდმივათ ხალხი.

თავშესაფარში ვენტილიატორის და მილის საშუალებით გარედან შედის მოშხამული ჰაერი, იწმინდება ფილტრში, რის შემდეგ იგი ხდება უვნებელი.

ი. გ.

ზოგიერთი შენიშვნები

(თავდაცვა-ავიაქიმის აჭარისტანის და აფხაზეთის ორგანიზაციების გამოკვლევის გამო)

თავდაცვა-ავიაქიმს საზოგადოება იმდენათ მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი ორგანიზაციაა, რომ ხელმძღვანელობის დარგში არ შეიძლება დაკმაყოფილდება მხოლოდ მიწერ-მოწერით. საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობის საფუძვლიანად გასაცნობათ საჭირო შეიქნა ამ ორგანიზაციების სისტემატიური და გეგმიანი გამოკვლევა-გადათვალიერება.

ამ მიზნით საქ. თავდაცვა-ავიაქიმის მიერ პირველ რიგში გამოკვლეულ იქნა აჭარისტანისა და აფხაზეთის ორგანიზაციები. გამოკვლევამ, მიღწევებთან ერთად, გამოააშკარავა ისეთი ნაკლი და არანორმალური მოვლენა, რომლებსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენი ორგანიზაციების შემდგომ მუშაობაში.

ხელმძღვანელობა

უჯრედების მუშაობის გაცნობის დროს გამომკვლევი კომისია წააწყდა შემდეგ მოვლენას: ქალაქთან ახლო მდებარე ერთ-ერთ სოფლის უჯრედი დაარსებული ყოფილა 1924 წლის დასაწყისში. უჯრედს ჰყოლია ამორჩეული ბიურო და სარევიზიო კომისია. 1924 წლიდან ბევრჯერ ყოფილა მოწვეული უჯრედის საერთო კრება და დღემდე, ოთხი წლის მანძილზე, არ მომხდარა არც ბიუროს და არც სარევიზიო კომისიის გადარჩევა.

ეს მოვლენა გამოწვეულია ერთი მხრივ, იმით, რომ უჯრედში არ მოიპოვება უჯრედის დებულება და, მეორე მხრივ, მას არ უწევს არავითარ ხელმძღვანელობას ზემდგომი ორგანიზაცია, ეს უკანასკნელი, როგორც სჩანს არსებულ მიწერ-მოწერიდან, ოთხი წლის განმავლობაში დაინტერესებული ყოფილა მხოლოდ საწევრო გადასახადით და, საერთოდ, ფინანსიური საკითხებით, არავითარი ცოცხალი ხელმძღვანელობა, გამოძახება, წერილობითი მითითება უჯრედს არ ჰქონია.

ამგვარ მოვლენას აქვს ადგილი ზოგიერთ სხვა უჯრედებშიაც. ამის წინააღმდეგ უნდა ავამხედროთ მთელი ჩვენი ორგანიზაცია და მკაცრი კრიტიკის საშუალებით გამოვდევნოთ ასეთი დაუდევრობა, რომელიც ძლიერ აფერხებს ჩვენი ორგანიზაციების მუშაობას.

„რევიზორები"

არა ნაკლებ ღირსშესანიშნავია შემდეგი ფაქტი: ერთ-ერთ უჯრედს (სოხუმში) ჰყავს რევიზორი, არჩეული უჯრედის საერთო კრებაზე.

ამ ორი თვის წინათ მომხდარა უჯრედის ბიუროს და სარევიზიო კომისიის არჩევნები ხელმძღვანელების აზრით, ვინაიდან უჯრედს არა აქვს მაინც და მაინც ბევრი სამუშაო, ამისათვის ბიუროში აურჩევიათ მხოლოდ სამი კაცი. რადგან სარევიზიო კომისიის არჩევა უცვნიათ ზედმეტათ, ამიტომ აურჩევიათ მხოლოდ „რევიზორი"

ეს ფაქტი წარმოადგენს კოლექტიური მუშაობის სავსებით დამახინჯებას და ასეთ რამეს უნდა მოეღოს ბოლო.

კომერციული გადახრები

ზოგიერთი ჩვენი ორგანიზაცია (მაგ. სოხუმის) გატაცებულია კომერციით. კომერციის გავლენით ამ ორგანიზაციებში მიტოვებულია მასიური მუშაობა მშრომელთა გასამხედროების დარგში და მთელი ყურადღება მიპყრობილია ფულის შოვნისაკენ. ამ ორგანიზაციებს დავიწყებული აქვთ ის დებულება, რომ კომერცია წარმოადგენს არა ორგანიზაციის მიზანს, არამედ საშუალებას თავდაცვა-ავიაქიმის ამოცანების განხორციელებისათვის.

სექციების მუშაობა

სექციების მუშაობა მოისუსტებს როგორც აჭარისტანში, ისე აფხაზეთში. სექციების მუშაობა ორივე ადგილას მიმდინარეობს უსისტემოთ და არარეგულიარულად.

ზოგიერთ სექციას დავიწყებული აქვს თავისი მოვალეობა, და ხელს ჰკიდებს სრულიად სხვაგვარ მუშაობას. მაგ., სოხუმის ავია-ქიმიურ სექციას, იმის მაგივრად, რომ ჩამოეყალიბებინა ქიმიური რაზმი, დაუარსებია ქიმიურ საქმის ინსტრუქტორთა კურსები, რაც სრულიად არ შედის მის მოვალეობაში. ამ საქმის სასურველად დაგვირგვინებას სექცია ვერ შესძლებს, ვინაიდან მას არ მოეპოვება სათანადოდ მომზადებული ამხანაგები.

მომავალში უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს სექციების მუშაობის გაცხოველებას და ამ მუშაობაში უნდა აღმოიფხვრას ყოველგვარი გადახრები.

გ. სირაძე.

სამხედრო ქრონიკა

სამხედრო სკოლების შევსება

15 სექტემბრიდან დაიწყო ახალგაზრდების მიღება საბჭოთა კავშირის ყველა სამხედრო სკოლებში.

წითელ არმიელთა სიმღერები

მოსკოვში არსებული წითელი არმიის მუზეუმი შეუდგა წითელ არმიელების სიმღერების შეკრებას და ჩაწერას, მუზეუმმა მიმართა თხოვნით ყველა მეთაურებს შეაგროვონ აღნიშნული სიმღერები და გადაუგზავნონ მუზეუმს.

მორიგი გაწვევა წითელ-ჯარში.—სოფლიდან ჩამოსულები ელიან თავის რიგს

საბჭოთა საქართველო

წერილები

პირველ დახმარების აღმომჩენი ჯგუფები სოფლად

საგარეჯო, გარე-კახეთი

მოსახლეობის გასამხედროების საქმე სოფლად თანდათანობით უმჯობესდება და თავის კალაპოტში დგება. ოსოავიაქიმის უჯრედები, სამხედრო კუთხეები, სასროლო ტირები, პირველ დახმარების აღმომჩენი ჯგუფები და სხვა, ყველაფერი ეს ლაპარაკობს მოსახლეობის გასამხედროების სასარგებლოდ. ამისივე დამამტკიცებელია აგრეთვე ა.-წ. 28 აგვისტოს, საგარეჯოს სახ. თეატრის დარბაზში ჩატარებული მოხსენება წითელი ჯვრის ექიმ ლექტორ ივ. ჩოხელის მიერ, რომელმაც მეტად ნაყოფიერი შედეგი მოგვცა. მოხსენება ჩატარდა შემდეგ თემაზე: „თანამედროვე ომში პირველ დახმარების აღმომჩენი ჯგუფის როლი". მომხსენებელმა დაახასიათა რა წითელი ჯვრის მიზნები და ამოცანები, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროს, ვრცლად შეჩერდა მოსახლეობის გასამხედროების აუცილებლობაზე. აღნიშნულ იქნა აგრეთვე პირველ დახმარების ჯგუფების მნიშვნელობა და ასეთების დაარსების აუცილებლობა საგარეჯოს რაიონშიაც. მოხსენება მეტად მდაბიო და გასაგები ენით იქნა ჩატარებული, რამაც დამსწრე გლეხების გულისყური მეტის-მეტად მიიპყრო.

საუბრის დამთავრებისას, შეკითხვების შემდეგ გაიმართა დამსწრეთა და ექიმის შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა. დამსწრენი შეგნებულად შეხვდენ ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე საუბრის ჩატარებას, რაც მტკიცდება იქიდან, რომ საუბრის დამთავრების შემდეგ გამოთქვეს სურვილი პირველ დახმარების აღმომჩენი ჯგუფების დაარსების აუცილებლობაზე და ამავე დროს იქვე ჩაეწერენ აუდიტორიიდან 60-მდე გლეხი. ჩაწერა გრძელდება აქამდეაც. საერთოდ საუბარს დაესწრო 300-მდე მსმენელი, რაც აიხსნება ექიმ ჩოხელის მოპოვებულ პოპულიარობით საგარეჯოს გლეხობაში.

საგარეჯოს თემ-აღმასკომმა და პოლიტგანათლების საბჭომ უკვე აღძრა შუამდგომლობა საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური გამგეობის წინაშე, რათა უკანასკნელმა დროულად გამოგზავნოს დაარსებულ ჯგუფებისათვის ხელმძღვანელი ექიმი-ლექტორი და სხვა საჭირო მედიკამენტები. საგარეჯოს გლეხობა იმედოვნებს, რომ ადგილობრივ ხელისუფლების მიერ აღძრული შუამდგომლობა უშედეგოდ არ დარჩება.

ალ. ბ—ლი.

სოფელი აღორძინების გზაზეა

ს. ზემო-ჩიბათი, გურია

ზემო-ჩიბათი პატარა სოფელია. ადგილობრივი გლეხობა დიდად დაინტერესებულია მეურნეობის აღორძინებით. საამისო ნაბიჯებიც გადადგმულია. ამ სოფელში უკვე დაიწყო ჩაის მოშენება. ჯერ-ჯერობით გაშენებულია 60—70 ქცევა. თავისუფალი მიწები კიდევ ბლომად არის, რომლის ნიადაგი საუკეთესოა ჩაისა და მანდარინის მცენარეობისათვის. აქვეა სადედე-საჩვენებელი ბაღი, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს გლეხობისათვის. გვაქვს აგრეთვე ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

ასეთი სწრაფი ნაბიჯით წინსვლელობა უნდა მიეწეროს ადგილობრივ ხელისუფლების და ზოგიერთი ამხანაგების ენერგიულ მუშაობას.

ვ. ჟორბენაძე.

დიდი საქმე კეთდება

ს. ანთოკი, თბილ. მაზრა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ეს სოფელი ძალზე ცუდ პირობებში იყო. მას არც სკოლა, არც სამკითხველო არ გააჩნდა. უვიცობას და ცრუმორწმუნეობას დიდი გასაქანი ჰქონდა. საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველმა თვალმა ამ სოფელშიც განათლების შუქი შეიტანა. წარსულ წელში აქ აშენდა სკოლის შენობა. ანთოკელების შეწევამ სამკითხველო დაუარსა და რაც მთავარია, მოკლე ხანში დასრულდება წყალსადენის გაკეთება. განზრახულია ხუთ-ექვს ალაგას მილების მოწყობა.

წინეთ ანთოკელები გუბეების წყალს სვამდნენ, რომელიც ბაყაყებით იყო სავსე და ავადმყოფობასაც ავრცელებდა. სოფელი და წინაურების გზაზეა; ნაყოფიერად მუშაობს ადგილობრივი სკოლის მასწავლებელიც.

გ. გარსიაშვილი.

აღმასკომო მიაქციე ყურადღება

(სურამი, გორის მაზრა)

სურამში, სათემო აღმასკომის შენობიდან ასი საჟენის დაშორებით არის მოედანი, სადაც იმართება ბაზრობა. აქ მეტ წილად შეხვდებით წვრილ ჩარჩებს მანუფაქტურით მოვაჭრეებს და აგრეთვე თემის სხვადასხვა სოფლებიდან სავაჭროდ მოსულ გლეხობას, რომელთაც გამოაქვთ გასასყიდათ სასოფლო მეურნეობის პროდუქტები: ხორბალი, სიმინდი, ბოსტნეული, ხილეულობა და სხვა. უკანასკნელ დროს გახშირდა აგრეთვე გლეხებს მიერ ურმებზე დადებული ბოჭკებით ღვინის შემოტანა და აქვე გაყიდვა. მყიდველები იქვე ახალებენ ქეიფს. მათ გარშემო თავს იყრის სუფრის „მეჯლიქეე" მეარღნეები და ბაზარი მოგაგონებთ სამიკიტნოს და ტრადიციულ საეკლესიო დღესასწაულის საკრებულოს.

26 აგვისტოს აქ ქეიფობის დროს ასტყდა მოქეიფეთა შორის ჩხუბი მუშტებით, ქვებით და სახრე-კეტებით. ხელჩართულმა ბრძოლამ გასტანა ორი საათი. არავინ აღმოჩნდა მშველელი და გამშველებელი. შემდეგ მოვიდა ერთი მილიციელი და მას ხელში შერჩა ყველაზე უფრო დაზარალებული, დასისხლიანებული ორი ახალგაზრდა, დანარჩენებმა მოასწრეს მიმალვა.

დროა თემაღმასკომმა და მილიციამ მიაქციოს ამ სამწუხარო მოვლენას ყურადღება და აიკრძალოს ბაზარში ღვინის სმა და ქეიფი.

ანაშვილი.

საათის მაგიერობას მამლები ასრულებენ

სართიჭალა, გარე-კახეთი

სართიჭალაში სათეატრო მუშაობას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ რაც დღეს იქ ხდება, ამის მსგავსი ჯერ არ უნახავს თეატრს; წარმოდგენის დაწყებამდე თეატრში ისეთი ხმაურობაა, რომ ზარბაზნის გასროლასაც ვერ გაიგებთ. სემიჩკის ჭამით ხომ თეატრი სანაგვის ყუთს წარმოადგენს. ან რა გასამტყუნარნი არიან მაყურებლები, რომ თეატრს ასეთით ანაგვიანებენ, როდესაც წარმოდგენა მამლის პირველ ყივილამდე მაინც არ დაიწყება, მაშასადამე მათ წინდაწინვე აქვთ მომზადებული ნიადაგი წარმოდგენის დაწყებამდე სემიჩკით დროს გასატარებლად.

აფიშებში თუმცა მუდამ ცხადდება, რომ წარმოდგენა დაიწყება საღ. 8 საათზე, მაგრამ საათის როლს აქ მამლები თამაშობენ, რომელთა პირველი ყივილის შემდეგ, გაიწევა ხოლმე თეატრის ფარდა. ამასთანავე ხშირია შემთხვევები, როდესაც მამლები ყივილს მოუხშირებენ (ე. ი. გათენებისას) წარმოდგენა მაშინ თავდება და „ნასიამოვნები" საზოგადოება სახლებში მიეშურება ჩაის დასალევად.

საჭიროა რკინის ცოცხი, რითაც დასუფთავებული უნდა იქნეს თეატრი იმ პირებისაგან, რომელთაც აქამდე ვერ მოუხერხებიათ თუ ეს საკითხი, როგორ უნდა იქნეს მოგვარებული.

შ. გარე-კახელი.

წერილებიდან

მცხეთობა აღარ ვუქმობთ

მცხეთის თემის საზოგადო კრებამ 23 სექტემბერს ერთხმად დაადგინა: 1928 წლიდან აღარ იუქმონ რელიგიური დღესასწაული „მცხეთობა".

ს. აწყური (ახალციხის მაზრა)

ამ ნახევარი წლის წინად ჩვენი საკრედიტო ამხანაგობის მუშაობა სუსტი იყო, ამხ. შ. ჭელიძის გამგეობის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ ღარიბ გლეხობას საკრედიტო ამხანაგობა დიდ დახმარებას უწევს სამეურნეო იარაღებისა და კრედიტების მიწოდებით.

ვახკატუშ.

გამოხმაურება

გაზ. „კომუნისტი"-ს 14 აგვისტოს 187 №-ში მოთავსებული იყო წერილი შემდეგი სათაურით: „უკანონოთ იქნა დათხოვნილი" ამ წერილის საპასუხოთ სიღნაღის განათლების მუშაკთა კავშირის გამგეობა გაუწყებთ, რომ სკოლის დარაჯი მარო კუჭავა დათხოვნილია სამსახურიდან გასული წლის ივლისში თავისი მოვალეობის შეუსრულებლობისათვის, თანახმად პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებისა. დადგენილება კუჭავას დათხოვნის შესახებ საკონფლიქტო კომისიამ კანონიერად სცნო.

სიღ. განათ. კავშირის გამგეობა.

მუშათა ცხოვრება

შრომის კანონები დავიწყებიათ

(თბილ. დეპო)

დეპოს კანტორის ზოგიერთი მოსამსახურეები „ღმერთის" წყალობით მართლაც საუკეთესოთ გრძნობენ თავს. ისინი განუწყვეტლივ მუშაობენ ზედმეტს და იღებენ ფულს იმ დროს, როდესაც აურაცხელი უმუშევრები მშივრები დადიან. მათთვის არ არსებობს არავითარი კანონი და ბრძანებები, რომელიც კრძალავს ზედმეტ საათებში მუშაობას. აღსანიშნავია, ის, რომ თითქმის ყოველთვის ერთი და იგივე პიროვნებები მუშაობენ. ესენი არიან: მარკოვიჩი ლიდია, კოვალსკაია ანასტასია, მალკოვა ვერა, ნადირაშვილი ნინა, ჯაველევი პეტრე, ადამია კოტე, სოზიაშვილი ვლადიმერ, კონსტანტინოპოლსკი კონსტანტინე. და მუტკოვსკი რაფაელ. თვითეული მათგანი, ჯამაგირის გარდა თვეში 50—60 მანეთს ღებულობს. კანტორის გამგე ამხ. ალ. დაუშვილი იმით ამართლებს ზედმეტ საათებში მუშაობას, რომ ვითომ მათი მაგიდის საქმიანობა მოითხოვს ამას. მაგრამ ჯერ ერთი ეს არ არის მართალი და მეორეც თუნდაც ასე იყოს, განა არ შეიძლება ამ საქმის შესრულება მივანდოთ სხვას? მით უმეტეს, რომ ზედმეტი მუშაობა გრძელდება მთელი წლის განმავლობაში თითქმის ყოველ დღე.

არსებულ კანონების თანახმად ზედმეტი მუშაობა მხოლოდ მოულოდნელ შემთხვევებში დასაშვები, დეპოში კი თურმე ყოველ დღე ყოფილა ასეთი მოულოდნელი შემთხვევა..

ამას წინად დეპოს მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე, რისთვისაც საჭირო იყო სიის შედგენა. ეს საქმეც, მიუხედავათ ასეთი უბრალო მუშაობისა, კანტორის გამგემ ისევ ზემოხსენებულ პიროვნებებს მისცა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მარკოვიჩის ქალს უფლება ეძლევა ეს საქმე სავალდებულო მუშაობის დროს შეასრულოს და მიიღოს ზედმეტი გასამრჯელო.

ასეთი პრივილეგია ზემოხსენებულ მოსამსახურეებზე და კერძოდ მარკოვიჩზე ცუდად მოქმედობს სხვა დანარჩენ მოსამსახურეებზე. აშკარაა ამხ. დაუშვილს და ადგილობრივ ორგანიზაციას დავიწყებიათ შრომის კანონები..

მახლას.

მუშკორის დევნა იაფად არ დაუჯდება

უდავოა, რომ მუშკორი კულტურული მუშაობით დაინტერესებულია და არც ერთ უბრალო მოვლენასაც კი არ სტოვებს უყურადღებოთ. მაგრამ მუშკორს, რომელიც მტკიცედ იცავს წარმოების ინტერესებს და ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, ზოგიერთები უშვერი სიტყვებით აგინებენ და ყოველმხრივ ავიწროვებენ. ეს ხდება განსაკუთრებით ზაჰესში. საქმე შემდეგშია: ზაჰესის პირველი უბნის კოოპერატივის გამგე მოქალაქე დათა თავართქილაძე, ვერ ურიგდება მუშკორს. მას სძულს ისინი და სძულს ძით უფრო, რომ მუშკორი არ ინდობს მას და მის უარყოფით მხარეებს გაზეთში აქვეყნებს.

თავართქილაძე ამ უკანასკნელ ხანებში მოთავსებული იყო ზაჰესის კედლის გაზეთში. მუშკორი აღნიშნავდა კოოპერატივის უარყოფით მხარეებს და მიუთითებდა გამგეს ნაკლის გამოსწორებისაკენ. გაიგო თუ არა ეს ამბავი თავართქილაძემ, ავარდა, დაგვარდა, დაიწყო ღრიალი და უშვერი სიტყვებით გინება წერილის ავტორის მიმართ. „[illegible]... უსაქმო.. მოხეტიალე.. დედაბერი.. მოგკლავ ან მე [illegible]".. ყვიროდა თავართქილაძე. თავართქილაძე არ არის გიჟი, რომ მისი საქციელი სიგიჟეს მივაწეროთ. ის არც გმირია, მაგრამ უკანასკნელი გამოსვლებით ცდილობს გმირობა გამოიჩინოს წინააღმდეგ.

თავართქილაძე არა ერთხელ იყო გაზეთებში გაწერილი, არა ერთხელ შერჩა მას ასეთი ლაძღვა-გინება. ეხლა კი სიკვდილითაც ემუქრება მუშკორს, რომლისთვისაც უნდა [illegible] აბუჩად აგდება და მუშკორის გინება.? საჭიროა პროფორგანოებმა და ადგილობრივმა პარტუჯრედმა მოსთხოვონ პასუხი ზაჰესის ამ თავხედსა და უღირს თანამშრომელს.

სიქველისტყელი.

სამუშაო შინაურულად გაინაწილეს

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს სტატისტიკის განყოფილებაში გადაზიდვის ნაწილს განაგებს ვინმე ოქროევი. ამ განყოფილებას სახელმწიფო საგეგმო კომისიიდან შეუკვეთეს სამუშაო, რომლის შესასრულებლად გაღებულ იქნა 1.500 მანეთამდე. ნაწილის უფროსმა სამუშაოს შესასრულებლად ბირჟიდან მოიწვია უმუშევრები. ორ დღეს ამუშავა ისინი და შემდეგ რაღაც მოსაზრებით უკანვე დააბრუნა. ალბად ოქროევმა იფიქრა: რატომ მოვიწვიო უმუშევრები, როდესაც შეიძლება აქვე თანამშრომლებში და მეგობრებში გავანაწილო ეს სამუშაო და გადადებული ფულიო. ოქროევი მართლაც ასე მოიქცა და სამუშაო დაუნაწილა თანამშრომლებს ისე, რომ ეს საკითხი შრომის ინსპექტორთანაც არ შეუთანხმებია. ან და რად უნდოდა შრომის ინსპექტორი, როდესაც ადგილკომის წევრები ჩერვიაკოვი და კობაროვი თვით ღებულობდნენ მონაწილეობას ამ სამუშაოში. ადმინისტრაციის შესახებ რაღა გვეთქმის, როცა ადგილკომის წევრებიც სჩადიან უკანონობას.

შრომის ინსპექტორმა ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს.

სილვა.

საყურადღებო წვრილმანი

თბილისში, ცენტრალურ „მმაჩ"-ს, მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩაწერის გასაადვილებლად, ქალაქის მუშათა უბანში გახსნილი აქვს თავისი ქვე-განყოფილებები. ასეთი განყოფილებებია დიდუბეში და სხვა რაიონებში ეს რასაკვირველია მეტად კარგი საქმეა, რადგან მუშა-მოსამსახურეს, საჭირო შემთხვევაში (ქორწინება, დაბადების აღნუსხვა და სხვ.), არ უხდება შორს სიარული. ის მცირე დროს დახარჯვით ასწრებს ყოველგვარ საქმის მოწესრიგებას. მუშა-მოსამსახურენი კმაყოფილნი არიან ამით, მაგრამ ამ ქვე-განყოფილებებს ერთი ნაკლიც აქვთ.

ყოველგვარ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ჩაწერის და მასზე სათანადო მოწმობის გაცემაზე, „მმაჩ"-ის ხარჯების დასაფარავად მცირე გადასახადს ახდევინებენ—სამარკო გადასახადის სახით. ეს ყველა მუშამ არ იცის. ის მმაჩ"-ში მიდის მარკის შეუძენლად. ამის გამო მუშა იძულებული ხდება დაბრუნდეს „მმაჩ"-ის სამარკო ნიშნის შესაძენად, რასაც საკმაოდ დიდ დროს ანდომებს. არის ფოსტის განყოფილება, საგურამოს ქუჩაზე, რომელიც იმ დროს, როდესაც „მმაჩ"-ის ქვეგანყოფილება იწყებს მუშაობას, დაკეტილია, კერძო დუქნებშიც არ იყიდება და არც კოოპერატიული სავაჭროები აწარმოებენ მარკით ვაჭრობას.

დიდუბე-ნაძალადევის „მმაჩ"-ის ქვე-განყოფილებას შუამდგომლობა აღუძრავს აღმასკომის წინაშე, რათა ნება მიეცათ მარკების ადგილობრივ გაყიდვისა, მაგრამ საქმე უარით დამთავრებულა.

საჭიროა ამ წვრილმანს, მაგრამ საყურადღებო საკითხს ყურადღება მიექცეს.

ვ. ახალციხელი.

საჩვენებელი წარმოდგენა

მუშათა ცენტრალურ კლუბში, ადგილობრივ დრამწრის მიერ წარმოდგენილი იყო „რობერტ ტიმ"—რეე. პიესა ოთხ მოქმედებად. პიესის შინაარსი, გადმოგვცემს ინგლისის მუშების მდგომარეობას მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც მანქანებმა აურიცხელი მუშა ხელი გამოყარა ქარხნიდან და დასტოვა ულუკმაპუროდ; გაჩნდა შეთქმულთა ჯგუფები, რომელიც ცნობილია „ლუდიტების" სახელწოდებით. ლუდიტების ჯგუფის ერთი მეთაურია რობერტ ტიმი, რომელიც დიდ ენერგიულობას იჩენს კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. რობერტ ტიმის როლს ასრულებდა ახალგაზრდა სცენის მოყვარე ი. საყვარელიძე, რომელმაც საუცხოოდ, შეასრულა დაკისრებული მოვალეობა. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდათა შორის ი. საყვარელიძეს კარგი მომავალი აქვს. დამახასიათებელი იყო ჩიჩუნიკის როლში ე. ახობაძე და ლ. გვიდიძე. დანარჩენებიც ხელს უწყობდენ პიესის მწყობრად ჩატარებას.

დადგმის მხრივ პიესა ცოტა მოისუსტებდა, უმჯობესი იქნებოდა, რომ ასეთი რთული პიესების დადგმის თავს დაანებებინოს აღნიშნულ დრამწრე და ხელი მოჰკიდებდეს პატარ-პატარა აგიტ-პიესების დამუშავებას, რომელსაც გაცილებით ადვილად დასძლევს, ვიდრე ისეთ პიესებს, როგორიცაა „რობერტ ტიმ".

გ—ძე.

ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა მე-7 ყრილობა

მეხუთე დღე

კამათი ამხ. პოზდეევის მოხსენების შესახებ

ამხ. უსტიაშვილი

ერთი ძირითადი საკითხი ამხ. პოზდეევის მოხსენებაში იყო ხარჯთაღრიცხვის შედგენა. ხარჯთაღრიცხვა პირველად სდგება განყოფილებებში, აქედან გადადის საანგარიშო-საფინანსო განყოფილებაში, იქ მას ამცირებენ და შემდეგ იგზავნება ცენტრში. მაგალითისათვის ავიღოთ 1927—28 წლის ხარჯთაღრიცხვა. ორთქლმავლის კაპიტალურ შეკეთებისათვის საგზაო კომისარიატის მიერ ნავარაუდევი იყო 11.000 საათი, ნამდვილად კი აუცილებელია 15—16 ათასი საათი. ორთქლმავლების ბრიგადებისათვის დაწესებული იყო—1.800 კილომეტრის გავლა, ამის განხორციელება შეუძლებელია. ეს საგზაო კომისარიატის კომისიამაც დაადასტურა, რომელმაც გამოიკვლია ამიერ - კავკასიის რკინის გზების მდგომარეობა. რაციონალიზაციის გასატარებლად ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე დღემდის შემოღებულია მხოლოდ სამუშაო ნორმების გადიდება. ეხლა ავიღოთ მასალის ხარჯვა და მუშა-ხელის გამოყენების საკითხი, ეს საკითხები ჩვენთან საკმაოდ არ მუშავდება. კომისიამ გამოაკვლია, რომ საუბნო ადმინისტრაცია და გამგეობა მუშაობდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ერთმა არ იცოდა რას აკეთებდა მეორე. ორთქლმავლების შეკეთება გათვალისწინებულ 62—66 დღის ნაცვლად, სწარმოებს 88 დღის განმავლობაში. ამ რიგათ შეკეთების ხანგრძლივობა იწვევს შეკეთებიდან გამოშვებულ ორთქლმავლების რიცხვის შემცირებას. ასეთივე მდგომარეობაშია ვაგონების შეკეთების საქმეც.

ყველაზე უფრო ცუდათაა დაყენებული ამერიკული წესით მოძრაობის საკითხი ამიერ კავკასიის რკინის გზებზე. ამ ზომის გატარებამ პატარა ეკონომია მოგვცა ორთქლმავლების, მაგრამ სამაგიეროთ გაცილებით მეტი იხარჯება სათბობი მასალა და ხშირად ზიანდება ორთქლმავლები ამჟამად საშუალოდ დაზიანებულ ორთქლმავლების რიცხვი 26 პროცენტამდე აღწევს. ამის მიზეზია ამერიკული წესით მოძრაობის საქმის უცოდინარობა. ამ საკითხში ცენტრის მიერ მოცემული დირექტივა დღემდის ვერ განვახორციელეთ.

ორიოდე სიტყვა დაზგების შესახებ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოარკვია, რომ მიღებულ დაზგებს ადგამენ, შემდეგ ისევ ხსნიან და ერთმაგი ხარჯების გაწევის მაგიერ ხშირად ვეწევით სამმაგ ხარჯს. ცენტრიდან მიღებული დაზგები ჯერაც გამოუყენებელი აწყვია საწყობებში.

კიდევ ერთი მაგალითი. საკავშირო-ელექტრო-ტექნიკური განყოფილებას საზღვარგარეთიდან უნდა გამოეწერა დაზგები, ხოლო ამის ნაცვლად მან გამოიწერა ერთი ვაგონი მაგიდაზე დასადგმელი ვენტილიატორები. ჩვენ ამჟამად შეგვიძლია უვენტილიაციოთ იოლად წასვლა, მაგრამ დაზგები კი აუცილებელია.

რა ნაყოფი გამოიღო ადმინისტრატიულ-სამეურნეო შემცირებამ? შევამცირეთ 720 თანამშრომელი, გავგზავნეთ ისინი შრომის ბირჟაში, სამაგიეროდ გადიდდა მივლინების ხარჯები 59.100 მანეთით. გადიდდა აგრეთვე ზედმეტი მუშაობისთვის გაღებული თანხებიც.

გამომგონებლობის საკითხიც ცუდ მდგომარეობაშია ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე. მე მაქვს ცნობა, რომ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ბიუროს უფროსმა გამომგონებელი მუშა გარეთ გამოაგდო იმიტომ, რომ მან პროფკავშირს შესჩივლა თავისი წინადადების დაგვიანების გამო. ასეთი დამოკიდებულება გამომგონებლებისადმი დაუშვებელია. ყველა ამ დეფექტების აღმოფხვრაში რკინის გზის გამგეობასთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მუშათა ფართო მასებმა.

ამხ. დუბინინი, (თბილისი)

წყალდიდობამ სამასი ვაგონი ქვა გაანადგურა. ნუ თუ არ შეიძლებოდა ამ საფრთხის წინასწარ გათვალისწინება და მაგარი კედლის გაკეთება? არც მომავლისთვისაა ამ მხრივ რაიმე ზომები მიღებული. ეხლა ორიოდე სიტყვა ავანსების გაცემის შესახებ. მუშებს 30 მანეთს არ აძლევენ ავანსად, ხოლო სპეცები 700—800 მანეთობით იღებენ. ერთ მუშას ესაჭიროებოდა ავადმყოფი ცოლის სამკურნალოდ გასაგზავნათ 100 მანეთი, მას უარი უთხრა გამგეობის თავმჯდომარემ ამ ფულის მიცემაზე, ხოლო სამმართველოში მომუშავე სპეცს 700 მანეთი მისცა ავანსად. რაც შეეხება შტატების შემცირების საკითხს, თუ რომელიმე სპეცი მოხდა შემცირებაში, მას ცოტა ხნის შემდეგ კვლავ აღადგენენ და წარჩინებასაც აძლევენ.

ამ. კავკ. რკ. გზებზე მშენებლობა უგეგმოთ სწარმოებს. მაგალითად,—ხაშურში კლუბის ასაგებათ გადადებული იყო 250.000 მანეთი, ნამდვილათ კი მისი აგება ერთი მილიონ მანეთამდე ჯდება. ცუდათაა დაყენებული რკინის გზელებისათვის შეშის მიწოდების საქმეც.

ამხ. ლორთქიფანიძე, (სამტრედია)

საექიმო დახმარების საქმე სამტრედიაში გართულებულია, რადგან რკინის გზელ მუშებს არა აქვთ სასმელი წყალი. გასულ წელს მდინარე რიონმა, საიდანაც რკინის გზელები სარგებლობდნენ წყალით, მიმართულება შეიცვალა და ჩვენ უწყლოთ დავრჩით. შეიქნა ჭაობიანი ორმო, რომელიც სწამლავს იქაურობას და ხელს უწყობს გადამდებ სნეულებათა გავრცელებას. ასეთი მდგომარეობა დროზე უნდა გამოსწორდეს: ვფიქრობ, ყრილობა მიიღებს შესაფერ ზომებს, რომ სამტრედიის რკინის გზელებს გამგეობამ დროზე მიაწოდოს სამტრედიელ მუშებს ხეირიანი ღირსების სასმელი წყალი.

ამხ. ასხამბაძე, (თბილისი)

მე ვმუშაობ სამკრეფო განყოფილებაში. ეს განყოფილება ისტორიულია, შტატების შემცირების საქმეში. ჩვენთან შემცირება დაიწყო 1926—27 წელში და ჯერაც არ დამთავრებულა. ამჟამად ამცირებენ შტატებს, ხოლო სამუშაოს არც ერთი დარგი არ მცირდება.

ივლისში, შტატების შემცირებამდე ჩვენ აღმოვაჩინეთ ტარიფიკაციის არასწორი შეფარდების გამო 11.000 მანეთის დანაკლისი, ხოლო შემდეგ 105.000 მანეთი. ივნისში სამკრეფო განყოფილებაში შეამცირეს 22 კაცი. გზების გამგეობას თურმე განზრახვა ქონდა მათთვის არ მიეცა ორი კვირის შვებულების ფული, მათ სამი დღე უკლდათ ხუთ ნახევარ თვის სამსახურს, რის შემდეგ უდაოდ ეკუთვნოდათ შვებულების ჯილდო. სამი დღით ნაკლები სამსახურის გამო დათხოვნილებს უარი უთხრეს შვებულების ფულის მიცემაზე, შემდეგში კი, დათხოვნილებმა ეს საკითხი მოიგეს და ორი კვირის ნაცვლად მიიღეს თითო თვის ხელფასი.

ამხ. ხაჩინცევი (ხაშური)

სატარიფო რეფორმის გატარებით არ გადიდებულა შრომის ხელფასი, მან წინ წამოსწია მხოლოდ ჩამორჩენილი ჯგუფები, მოკამათენი შეეხენ ბინის საკითხს თბილისში და არ აღუნიშნავთ თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ხაშურზე, მაგ.,—არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც მუშაობენ ხაშურში და ცხოვრობენ თბილისში, მათ უხდებათ ყოველ დღე 128 კილომეტრი მანძილის გავლა. განა ეს დასაშვებია? მომხსენებელმა დისციპლინის დარღვევაში მთელი ასი პროცენტით დამნაშავეთ დასახა მოსამსახურეთა პერსონალი, მაგრამ ეს არ არის მართალი არც ერთი პროცენტით.

რაც შეეხება შტატში ჩარიცხვის საკითხს, ესეც მოუგვარებელია. არიან ისეთი ამხანაგები, რომელნიც სამი ოთხი წელია მუშაობენ, პრაქტიკულად და თეორიულადაც მომზადებულნი არიან, მაგრამ მუდმივ შტატში არ ირიცხებიან. ამ არანორმალურობას საგზაო კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ამხ. მამედოვი (განჯა)

ამხ. პოზდეევი თავის მოხსენებაში შეეხო უმთავრესად მიღწევებს და ნაკლზე ცოტა ილაპარაკა. მე მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს თუ საკითხისადმი ბიუროკრატიულად მიდგომის გამო როგორ ფერხდება რკინის გზების მუშაობა. სამი წელია ვთხოულობთ მატარებლების სიგნალებს, მაგრამ ჯერაც არ მოგვიციათ. ამ ორი წლის წინად დაგვპირდენ ტელეფონის მოწყობას, მოვითხოვეთ დაპირების განხორციელება მიმდინარე საბიუჯეტო წელში. მაგრამ გვიპასუხეს მომავალ საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვაში შევიტანთ ტელეფონის მოწყობის ხარჯებსო და დღემდის ესეც შეუსრულებელია. სადგურ განჯაში რკინის გზელ მუშების ერთი ნაწილი სცხოვრობს რკინის გზის ხაზის გადაღმა, მეორე ნაწილი კი ხაზის გამოღმა. ერთ მხარეს არ არის ბაზარი და ამის გამო ყოველ დღე უხდებათ მათ გადასვლა მეორე ნაწილში. ისინი იძულებულნი არიან ვაგონების ქვეშ გაძვრენ და ამის გამო ზოგჯერ მარცხიც ხდება. სადგურ განჯაში აუცილებელია გადასასვლელი ხიდის აგება.

განჯაში იყო მატარებლების რვა გამცილებელი, გზების განყოფილების უფროსის განკარგულებით მათგან ოთხი კაცი მოხსნეს სამსახურიდან. ეს აფერხებს ორთქლმავლების მოძრაობას და იწვევს თვიურად 1.500 მანეთ ზარალს. უმჯობესია თვეში ოთხი კაცისთვის მიგვეცა სამასი მანეთი, ვინემ ვიზარალოთ 1.500 მანეთი.

ამხ. იარ-მამედოვი (ბაქო)

აქ, განაცხადებს, რომ რკინის გზებზე ორი ათასი კაცი ზედმეტია, რომელთაც მოელის შემცირება. ბაქოს უბანში კი დიდ როლს თამაშობენ კერძო მოიჯარადრენი საჭიროა მათი გზებიდან გაძევება; ბაქოს უბანში საბინაო საკითხიც მწვავედ დგას, მუშები ისევ სარდაფებში სცხოვრობენ. რაც შეეხება ბიუროკრატიზმს, ის ძალზე გამეფებულია მმართველ აპარატში. უბრალო ქაღალდზე პასუხის გაცემა მთელი თვეებით იგვიანებს. საწარმოო თათბირების მუშაობაში ადმინისტრაცია მონაწილეობას არ ღებულობს და ამის გამო ამ მნიშვნელოვან ორგანიზაციის საქმიანობა შეფერხებულია.

ამხ. ჩაჩუა, (სამტრედია)

ამხ. პოზდეევი შეეხო თავის მოხსენებაში 7 მილიონი მანეთის ზედმეტად გადახარჯვის საკითხს. ეს გამოწვეულია გზების გამგეობის აპარატის დაუდევრობით. მაგალითად,—სადგურ სამტრედიაში რამოდენიმე ათასი მანეთი დაიხარჯა სასმელი წყლის ჭების ამოსათხრელად, რამოდენიმეჯერ მოახდინეს წყლის ქიმიური გამოკვლევა და ის სასმელათ უვარგისი გამოდგა. ამ რიგათ 15.000 მანეთამდე ვიზარალეთ.

გზების გამგეობამ პროფორგანიზაციებს წინასწარ უნდა აცნობოს ადგილებზე, თუ რა დავალებები ეძლევა ადგილობრივ ორგანიზაციას შესასრულებლად. რამდენია კრედიტი და სხვ, რომ პროფორგანოებმა დახმარება გაუწიონ მათ ნაყოფიერ მუშაობის წარმოებაში.

უკანასკნელად სისტემატიური ხასიათი მიიღო კოლხელშეკრულების ცალკე მუხლების დარღვევამ, რაც მუშებში იწვევს უკმაყოფილებას. ხშირია აგრეთვე შემთხვევები, როცა დათხოვნილებს კვლავ იღებენ სამსახურში და ამითაც იქმნება ზედმეტი ხარჯები, რაც შეეხება 20 პროცენტიან ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებას, ის არა თუ გატარებულია ცხოვრებაში, არამედ არის იმის ფაქტები, რომ კიდევ გადიდდა 10 პრ. ტით. თავის დანიშნულებას არ ხმარდება აგრეთვე შრომის დაცვის ფონდები. უგეგმოთ სწარმოებს საბინაო მშენებლობა. სამტრედიაში აგეს რამოდენიმე სახლი; მაგრამ მუშებს არ სურთ მასში ცხოვრება; რადგან ისინი მიწიდან ერთი არშინის სიმაღლეზე სდგას და ჭაობიან ადგილების გამო მასში მცხოვრებს მოელის დაავადება.

ამხ. ბუაძე, (ბათომი)

ბიუროკრატიზმის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ. მე მოვიყვან ამის დასადასტურებლად ერთს მაგალითს. ჯერ კიდევ 1924 წელში გაზეთებში იყო ცნობა ერთ-ერთ სადგურის უფროსის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ, მაგრამ ამ გარემოებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. მიმდინარე წელში, როცა გაზეთებმა კვლავ გაილაშქრეს ხსენებულ მოქალაქის წინააღმდეგ, აჭარის მუშ და გლეხ. ინსპექციამ დაადგინა მისი სამსახურიდან მოხსნა, როგორც ბიუროკრატის და საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელი მტერის. ამის შესახებ ეცნობა გზების გამგეობას, მაგრამ რა მოხდა? მიუხედავად იმისა, რომ სამსახურიდან უნდა მოეხსნათ, დადის ხმები, რომ უფრო მაღალ თანამდებობაზე გადაეყვანათ.

არც ტვირთისგადაზიდვის საქმეა მოწესრიგებული. მაგ., ბათომიდან ტვირთი იგზავნება ბაქოში, მაგრამ ჩვენ გვაქვს ცნობები, როცა ბაქოდან 128 დატვირთული ვაგონი უკანვე დააბრუნეს.

ამხ. რაზმაძე (თბილისი)

სატარიფო რეფორმის გატარების დროს, გზების გამგეობა არ აღმოჩნდა შესაფერისად მომზადებული. არ სწარმოებს შეთანხმებული მუშაობა საგზაო კომიტეტსა და გამგეობას შორის, განზრახული იყო, რომ მთავარ სახელოსნოებს 16 პროცენტით გადიდებოდა შრომის ნაყოფიერება, მაგრამ ეს როგორ შეიძლებოდა როცა, ტეხნიკური პირობები დარჩა ძველი. შრომის ნაყოფიერების გადიდება დაკავშირებულია მთავარ სახელოსნოების გადაკეთებასთან, ეს გადაკეთება კი გრძელდება დაუსრულებლივ. გზების გამგეობამ აუცილებლად უნდა დააჩქაროს მთავარ სახელოსნოების გადაკეთება.

როგორი მდგომარეობაა შტატების შემცირების მხრივ? შემცირება წელიწადში ათჯერ სწარმოებს, რაც მუშა-მოსამსახურეთა შორის ნერვიულობას იწვევს. დეკემბერსა და იანვარში რკინის გზის სამმართველოში შეამცირეს 375 კაცი, მაგრამ აქედან 110 კაცი რვა თვის განმავლობაში ისევ განაგრძობდა სამსახურს სხვადასხვა შრომით. განა ეს დასაშვებია? ასეთი ხშირი შემცირებები სარგებლობის ნაცვლად საწინააღმდეგო შედეგებს იძლევა.

ეხლა ორიოდე სიტყვა ბიუროკრატიზმის შესახებ. იყო შემთხვევა, როცა მეექვსე უბნის უფროსი მთელი კვირის განმავლობაში 8-დან ორ საათამდე ელოდებოდა გზების გამგეობის თავმჯდომარის ნახვას და მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ განუცხადეს მას, რომ მას არ მიიღებენ. ასეთი დამოკიდებულება დაუშვებელია. ჩინური კედელი არ უნდა აღვმართოთ გამგეობასა და საუბნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების შორის.

ამხ. სადიხი (ბაქო)

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების შესახებ, ნამდვილად კი ამ დარგში ძალიან ცოტაა გაკეთებული, უნდა შევადგინოთ ისეთი პროგრამა, რომლის მიხედვით შესაძლებელი გახდება საფაბრიკო-საქარხნო სკოლებმა მოგვცეს საჭირო კვალიფიციური ცოდნით აღჭურვილი მუშები. ამ საკითხს როგორც საუბნო ადმინისტრაციამ, ისე გზების გამგეობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

ამხ. მახმუდოვი (განჯა)

განჯის უბანში მეფობს წარმოუდგენელი ბიუროკრატიზმი, რკინის გზების გამგეობას უხდება ათასი მანეთობით გადახდა კონფლიქტების წარმოშობის ნიადაგზე. როგორ შეიძლება შრომის დისციპლინაზე ლაპარაკი, როცა მუშები ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში დადიან ცნობების მისაღებათ დაწესებულებებში. კონფლიქტები უსათუოდ უნდა მოგვარდეს თავის დროზე და ამასთანავე უდავო საკითხი ადმინისტრაციამ სადაოდ არ უნდა გახადოს.

ამხ. ალიევი (ბაქო)

რკინის გზის ადმინისტრაცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს პრესაში მოთავსებულ შენიშვნებს და არ იღებს ზომებს მითითებულ ნაკლის გამოსწორებისათვის. მუშათა პრესისადმი ასეთი უყურადღებობა დაუშვებელია. დღეს პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშკორ-სელკორთა მოძრაობას და დიდ იმედებს ამყარებს მასზე ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში არსებულ დეფექტების აღმოფხვრის საქმეში.

გუშინ საღამოს სხდომაზე დასრულდა კამათი ამხ. პოზდეევის მოხსენების გარშემო.

დღეს დილით ყრილობა მოისმენს ამხ. **პოზდეევის** საბოლოო სიტყვას და შემდეგ დელეგატები დაათვალიერებენ ზაჰესს. საღამოს ყრილობის სხდომა არ შესდგება.

—:—

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა მიიღო ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ელიავასაგან**. მედსანშრომის მუშაკთა კავშირის მეშვიდე ყრილობის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **მჟავანაძე**, ყრილობამ აირჩია წარმომადგენლები მედსანშრომის ყრილობის მისასალმებლად.



ყრილობის პრეზიდიუმი

თბილისელ ურწმუნოთა კავშირის საორგანიზაციო კრება

სამღვდელოებამ თავი წამოყო.—მოლა კომკავშირელების მასწავლებლად.—კონცერტები ეკლესიებში.—„ინტერნაციონალი" ხუცურათ.—მღვდელი „კოოპერატორი".—ურწმუნოთა საქალაქო საბჭოს არჩევნები.

გუშინ, საღამოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგა თბილისელ ურწმუნოთა საერთო საქალაქო კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა პოლიტგანათლების მთავარი სამმართველოს გამგე **ამხ. ა. იმედაძე.** თავის მოხსენებაში ამხ. იმედაძემ შეეხო ყველა იმ საშუალებებს, რომელსაც მიმართავენ სასულიერო წოდების წარმომადგენლები, რომ კვლავ შეინარჩუნონ გავლენა მოსახლეობაში და დაიმსახურონ პატივისცემა.

— ეკლესიის წარმომადგენლებმა, — ამბობს ამხ. იმადაძე, — მტკიცედ შეიგნეს, რომ მშრომელ ხალხში ისინი ვერავითარ დასაყრდენს ვერ იპოვიან. ამიტომ გამოიგონეს მრავალნაირი საშუალებები, რომ ეკლესიებში მიიზიდონ მუშები და გლეხები და ჯიბეები დაისქელონ. არის მაგალითები, რომ თბილისის ზოგიერთ ეკლესიებში იმართება კონცერტები და მღვდლები განცხადებებს აკრავენ, რომ ამა და ამ დღეს „ჩვენს ეკლესიაში იმღერებენ გამოჩენილი მომღერლებიო". ზოგიერთ ეკლესიაში მოწყობილია მართლაც კარგათ მომზადებული გუნდები, რისთვისაც თანხებს არ ზოგავენ, რომ მეტი სიმპატია დაიმსახურონ, სამღვდელოების წარმომადგენლები ებმებიან საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. ბორჩალოს მაზრაში, მაგალითად, მოლამ დაიწყო მუშაობა კომკავშირელთა წრეში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ, იმავე მაზრაში კოოპერატივის დაარსების ინიციატივა ხელთ იგდო ერთმა მღვდელმა.

ახალციხე - ახალქალაქის მაზრაში, მომხსენებლის გადმოცემით, კათოლიკური სამღვდელოება უფრო ენერგიულ „კულტურულ" მუშაობას ეწევა, ვიდრე საამისოდ მოწოდებული ადგილობრივი ორგანიზაციები. ერთ სოფელში პატრებმა მოინდომეს პიონერთა ორგანიზაციის დაშლა. ეკლესიებთან მოაწყვეს მომღერალ-ბავშთა გუნდები და გუნდში ჩაწერილ პიონერებს კამფეტებით და სხვა ტკბილეულობით აჯილდოებდენ. ბორჩალოს მაზრაში მოლამ დაიწყო მუშაობა სარწყავი სისტემის გასაყვანათ და სხვა. განსაკუთრებულ ენერგიას იჩენენ „ურწმუნოებთან" ბრძოლაში ე. წ. „ბაპტისტები". თბილისის მაზრის ბაპტისტა ერთ-ერთ ეკლესიაში საგალობლად გადააკეთეს „ინტერნაციონალი", რომელსაც მღერიან სახარებიდან ამოღებული სიტყვებით

სამღვდელოების ასეთი საქმიანობა, მომხსენებლის აზრით, იმითაა გამოწვეული, რომ მათ არავინ არ უწევს იდეურ და პრაქტიკულ-ორგანიზაციულ წინააღმდეგობას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კრებამ მიიღო გასატარებელ პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმა.

დასასრულ არჩეულ იქნა ურწმუნოთა კავშირის თბილისის საქალაქო საბჭო 49 წევრის შემადგენლობით.

საყურადღებო აღმოჩენა

საბჭოთა ქვეყნების ბუნების სიმდიდრეთა აღნუსხვა და გამოკვლევა დღეს წარმატებით მიმდინარეობს. გამოკვლეული იყო მრავალი ადგილები საქართველოს ფარგლებშიც, სადაც მეტად საგულისხმო წყლები, ტალახები და მადნეულობა აღმოაჩინეს. ამ მხრივ მცენარეულობამაც დაიმსახურა დიდი ყურადღება. რომელთა შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს უკანასკნელი აღმოჩენა ფარმაციის მაგისტრის **ივანე ს. ტყეშელაშვილისა**, რომელსაც სათანადო ორგანოსაგან დავალებული ჰქონდა მოეხდინა კვლევა-ძიება ამ დარგში.

ივ. ტყეშელაშვილმა კოლხეთის დაბლობებში აღმოაჩინა ფრიად საინტერესო ათი მცენარე, რომელთა შორის ეკონომიური თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი მცენარე.

პირველი—ასკლეპიასი, სირიული ბამბის მცენარე, რომელიც იძლევა საუკეთესო აბრეშუმის ბამბას და რომელსაც თამამად შეუძლია შესცვალოს დღემდის მეტად გავრცელებული, საზღვარგარეთიდან შემოსავალი—კენა.

მეორე მცენარეა ე. წ. იუნკუს მარიტიმა ლამარკა, ქართულად—ჭილი. ჭილი იძლევა ძვირფას მასალას ვენურ სკამების გულთა ამოსახლართად. მისი უქონლობის გამო ყველა ქარხნებში დღემდე ხმარობენ დიქტას (ერთი კილო ღირს 8—10 მანეთი), რომელსაც გაცილებით სჯობია ჭილი, რომელიც კოლხეთის დაბლობებში ველურად იზრდება. ამ მცენარეს თვალუწვდენი ადგილები უკავია, ასე რომ შეუძლია დააკმაყოფილოს მასალით საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება.

ივ. ტყეშელაშვილმა შეიმუშავა ჭილის დამუშავების პროექტი და გადასცა საქართველოს ს.მ.ს.ს.—თავმჯდომარეს ამხ. მ. ყურულაშვილს მცენარის გამოსაყენებლად და ქარხნებში მისი დამუშავების საჭირო პირობებს მოსაწყობად. დღემდის ჩვენ ამ მასალას გვაწვდიდენ იტალია და საფრანგეთი და გვახდევინებდენ ოქროს იმაში, რაც თურმე ჩვენც ბლომად გვქონია.

ჩვენში უკვე მოწყობილია სამეცნიერო-გამოკვლევათა განყოფილება, რომელსაც დადებული აქვს განსაკუთრებული თანხა ასეთ კვლევა-ძიების წარმოების გასაფართოებლად. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გამოკვლევები ახალ ახალ აღმოჩენებს მოგვცემენ, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სამრეწველო განვითარებას.

ექიმი-ლაბორ. მ. ჭრელაშვილი.

ჩვენი მრეწველობის პერსპექტივები

მომავალი წლის თვის

(საუბარი ინჟ. ბ. ჭიჭინაძესთან)

10 მილიონი მანეთი ჩვენი მრეწველობის კაპიტალური ხარჯებისათვის. — საკავ. საგეგმო კომისიამ და საკ. ს. მ. უ. საბჭომ დაამტკიცეს საქ. მრეწველობის 5 წლიანი გეგმები და მომავალი წლის საკონტროლო ციფრები. — რიონჰესი უნდა ამუშავდეს 1931 წლის აპრილში. — გადაწყვეტილია ქაღალდის ფაბრიკის აგება მდ. ინგურთან. — კასპში ცემენტის ქარხნის აგების დაჩქარება.

ამ დღეებში მოსკოვიდან დაბრუნდა ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე, რომელიც გამგზავრებული იყო უმაღლეს საკავშირო ორგანოებში საქართველოს მრეწველობის საკონტროლო ციფრებისა და მრეწველობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმების წარსადგენად. დაბრუნებისას ინჟ. ბ. ჭიჭინაძემ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— ჩვენი მრეწველობის საკონტროლო ციფრები მომავალი საბიუჯეტო წლისათვის და მრეწველობის განვითარების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმები მიღებული იქნა საკავშირო ს. მ. უ. ს.-ში და საკავშირო საგეგმო კომისიაში იმავე სახით, როგორც ეს მიიღეს საქართველოს და ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ორგანოებმა.

სამრეწველო აღმშენებლობისათვის საჭირო კაპიტალური ხარჯების რაოდენობა მომავალი წლისათვის ჩვენ მიერ წარდგენილი და უკვე მიღებულ გეგმებით, განსაზღვრულია 10.000.000 მანეთით. რაც შეეხება 5 წლიან პერსპექტიულ გეგმებს, ეს გეგმებიც მიღებული და დამტკიცებულია უმაღლეს ორგანოებში. 5 წლიანი გეგმებით, გარდა მთელ რიგ სხვა საშუალებისა, გათვალისწინებულია აგრეთვე ქაღალდის ფაბრიკის აგება მდ. ინგურზე და დიდი სატყეო კომბინატის მოწყობა მდ. ბზიბზე (აფხაზეთში). ფერო-მარგანეცის დამუშავების საკითხი გამოყოფილია ცალკე, მაგრამ მასზე მსჯელობა არ ყოფილა, ვინაიდან მარგანეცის მრეწველობა მხოლოდ აგვისტოდან გადავიდა საქართ. ს. მ. უ. ს. გამგებლობაში და შესაფერი სამრეწველო გეგმა ამჟამად მუშავდება.

საელექტროფიკაციო სამუშაოთაგან უმთავრესი ყურადღება ექცევა აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურს და რიონჰესს. აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის დასამთავრებლად საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, გადადებული იქნება 3.800.000 მანეთი, ამ თანხიდან — 1.000.000 მანეთს გაიღებს აზნეფტი, ხოლო დანარჩენი 2.800.000 მანეთი გადადებული იქნება ამ.-კავ. ბიუჯეტიდან.

რიონჰესის მომავალი საბიუჯეტო წლის სამუშაოებისათვის საქ. საგეგმო კომისიამ და საკავშირო ს. მ. უ. საბჭომ გადასწყვიტა გაღებულ იქნას 3.800.000 მანეთი, იმ პირობით, რომ 1931 წლის აპრილში ამ სადგურიდან შესაძლებელი გახდეს პირველი ენერგიის მიწოდება სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციოთ. ამავე წლის ოქტომბერში კი სადგურმა საბოლოოდ უნდა დაიწყოს მუშაობა. სადგურის საამშენებლო სამუშაოთა ასეთი დაჩქარება მოხდება თანახმათ გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის წინადადებისა, სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის დაჩქარების მიზნით.

დანარჩენ საამშენებლო სამუშაოთაგან მომავალი წლიდან ჩქარი ტემპით იწარმოებს კასპის ცემენტის ქარხნის აგება და თბილისის მაუდის ფაბრიკის დამთავრება. ცემენტის ქარხნის ასაგებათ სულ გათვალისწინებულია 3.000.000 მანეთის დახარჯვა. საამშენებლო სამუშაოებს შეასრულებს საზოგადოება „სტრომსტროი". უზრუნველყოფილია თანხებით თბილისის მაუდის ფაბრიკის დასამთავრებელი სამუშაოებიც.

სასოფლო-სამ. გადასახადი

საღრიცხვო კომპანიის წინასწარი შედეგები

მიმდინარე წელს სას. სამ. გადასახადით დასაბეგრ ობიექტების საღრიცხვო კამპანიის შესახებ შეკრებილ წინასწარი ცნობების მიხედვით საქართველოში, აფხაზეთის გამოკლებით (აფხაზეთში საღრიცხვო კამპანიის ვადა ადგილობრივი პირობების გამო გაგრძელებული იყო), აღრიცხულ მეურნეობათა რაოდენობა გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 10.278-ით, 1927—28 წელს საქართველოში აღრიცხული იყო 400.217 მეურნეობა (გარდა აფხაზეთისა) წელს აღრიცხულია — 410.495 მეურნეობა. მჭამელთა რაოდენობა გასულ წლის აღრიცხვით უდრიდა 2.037.721-ს წრევანდელი აღრიცხვით კი—2.088.282 კაცს, ამრიგად აღრიცხულ მეურნეობათა რაოდენობა წელს გაზრდილია 2,6 პროცენტით, ხოლო მჭამელთა რაოდენობა—2,4 პროცენტით.

აღრიცხულ სას. სამ. კულტურათა შორის წელს ყველაზე მეტი ზრდა ეტყობა ბამბის კულტურას, რომელიც გასულ წელთან შედარებით გადიდებულია 88,5 პროცენტით, ამ კულტურის ასეთი დიდი ზრდა გამოწვეულია ერთი მხრივ მებამბეობის გავრცელებით და აღრიცხვის უფრო მეტი სისწორით ჩატარებით, ვიდრე წინა წლებში.

კარტოფილის კულტურა წრევანდელი აღრიცხვით გაზრდილია—40,6 პროც., თამბაქო 39,5 პროც. და ხილის ბაღები—10,2 პროცენტით.

შედარებით ნაკლები ზრდა ემჩნევა მესაქონლეობას, ასე მაგალითად მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა გაზრდილია მხოლოდ 4,9 პროც., წვრილფეხა საქონლის—3,9 პროცენტით, საქონლის რაოდენობის სუსტი ზრდა აიხსნება იმით, რომ გასული წლის ზამთარში საქონლის დიდი რაოდენობა გაწყდა.

დამაკმაყოფილებელი ზრდა ემჩნევა მეფუტკრეობას. ჩარჩოიანი სკის რაოდენობა წელს გაზრდილია 18,4 პროცენტით, ხოლო რაფი - 3,8 პროცენტით.

სასოფლო მეურნეობის გარეშე შემოსავალი წელს გაზრდილია 55,9 პროცენტით ანუ 9.256.251 მან. ამ სახის შემოსავლის ასეთი დიდი ზრდა გამოწვეულია ზოგიერთ მაზრებში არა კანონიერი და გადაჭარბებული აღწერით, რაჭაში წელს აღრიცხულია 2.170.116 მან. მეტი შემოსავალი, ვიდრე გასულ წელს, გორის მაზრაში—2.854.806 მან. მეტი, ვიდრე გასულ წელს, ხოლო აჭარისტანში აღრიცხვამ მოგვცა ამ შემოსავლის 240 პროცენტით ზრდა.

საერთო შემოსავალი წრევანდელი აღრიცხვის თანახმად შეადგენს 63.637.962 მანეთს, რაც გასულ წელს აღრიცხულ შემოსავალს აღემატება 1.706.843 მანეთით.

საერთო შემოსავალი რაჭის მაზრაში წელს გაზრდილია 37,9 პროც. (ანუ 575.118 მან.), ლეჩხუმის მაზრაში—38 პროცენტით (318.244 მან.), აჭარისტანში—22,1 პროცენტით (847.784 მანეთით), გორის მაზრაში—25 პროცენტით (1.348.141 მანეთით) და ახალქალაქის მაზრაში—17,6 პროცენტით (547.409 მანეთით).

შემოსავლის რაოდენობის მიხედვით სას. სამ. გადასახადი წელს შეადგენს 8.449.687 მანეთს (აფხაზეთის გამოკლებით).

საგადასახადო შემოსავალი წელს გაზრდილია: აჭარისტანში—156,4 პროცენტით, რაჭის მაზრაში—111,9 პროცენტით, ყოფილ დუშეთის მაზრაში—126,1 პროცენტით, ახალქალაქის მაზრაში—783 პროცენტით და გორის მაზრაში—71,3 პროცენტით.

ზოგიერთ მაზრაში წელს გადასახადი შემცირებულია, ასე მაგალითად ზუგდიდის მაზრაში გადასახადი წელს შემცირებულია — 11,8 პროცენტით, ხოლო სამხრეთ-ოსეთში—0,87 პროცენტით.

ამხ. ვილლი ლეოვი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა გერმანიის „წითელფრონტელთა კავშირის" თავმჯდომარის მოადგილე, გერმანელი კომუნისტი ამხ. ვილლი ლეოვი.

თავისი ჩამოსვლის მიზნის შესახებ, ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ლეოვმა განაცხადა:

— საბჭოთა კავშირში მე ჩამოვედი ჩრდილოეთ-კავკასიის პროფსაბჭოს მოწვევით და ჩემს მიზანს შეადგენს მუდმივი კავშირი დაამყარო გერმანიის წითელფრონტელთა კავშირსა და ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ ორგანიზაციებს შორის. სხვათა შორის, ჩრდილოეთ-კავკასიის პროფსაბჭო პირველი პროფესიონალური ორგანიზაციაა მთელ საბჭოთა კავშირში, რომელმაც მტკიცე კავშირი დაამყარა წითელფრონტელთა ორგანიზაციასთან. ჩვენი მიზანია, რომ ასეთივე კონტაქტი და ურთიერთობის კავშირი გვქონდეს ყველა საბჭოთა რესპუბლიკების პროფესიონალურ ორგანიზაციებთან და კერძოთ ამიერ-კავკ. პროფორგანიზაციებთანაც. თბილისში ჩემი ჩამოსვლის დროს უპირველესად ყოვლისა ამ მიზანს ვისახავდი.

დღეს მე უკვე შევხვდი ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებიც შემპირდნენ, რომ ყოველგვარ ზომებს მიიღებენ წითელ ფრონტელთა კავშირთან მტკიცე კონტაქტის შესაქმნელად.

მე პირადათ, დიდ მნიშვნელობას ვაძლევ ამ საკითხს. საბჭოთა პროფორგანიზაციებსა და კაპიტალისტურ ქვეყნებში დარაზმულ პროლეტარულ რაზმებს შორის კავშირის შექმნა ხელს შეუწყობს მშრომელი მასების ინტერნაციონალურად აღზრდას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა კაპიტალისტური ქვეყნების, ამ შემთხვევაში გერმანიის მშრომელი ხალხის კომუნისტურად გათვითცნობიერებისათვის.

მსგავსად გერმანიისა, წითელ ფრონტელთა დარაზმვა სწრაფი ტემპით სწარმოებს სხვა ქვეყნებშიაც, როგორიცაა საფრანგეთი, უნგრეთი, შვეცია და სხ. მე მორიგ ამოცანად მაქვს დასახული ყველა ამ ქვეყნების წითელ ფრონტელთა ორგანიზაციებთან გავაბა მუდმივი კავშირი.

გერმანიის წითელფრონტელთა კავშირი ამჟამად აერთიანებს 200.000 კაცს. ჩვენი კავშირი წარმოადგენს ერთ უძლიერეს პროლეტარიატის სამხედრო ორგანიზაციას. ეს სიძლიერე მეტად აშინებს ბურჟუაზიას და სწორედ ამით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ გერმანიის რეიხსტაგში არჩევნების დროს წითელფრონტელების შეკრება ბერლინში არ დაუშვეს.

დასასრულ, ჩემი სურვილია თბილისში ჩამოსვლისას ერთხელ კიდევ ვაუწყო საქართველოს და ამიერ-კავკასიის პროლეტარიატს, რომ გერმანიის წითელფრონტელთა კავშირი მზადაა მრისხანე შურისმაძიებლად მოევლინოს ყველა მათ, ვინც შეეცდება გაილაშქროს ერთად-ერთი პროლეტარული სახელმწიფოს— საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

—:—

ამხ. ვილლი ლეოვი არის გერმანიის წითელფრონტელთა კავშირის პირველი ორგანიზატორი და გერმანიის კომპარტიის ერთი დამაარსებელთაგანი. ამჟამად იგი ამორჩეულია წითელფრონტელთა კავშირის თავმჯდომარის (ამხ. ტელმანის) მოადგილედ და გერმანიის კომპარტიის ცეკას კანდიდატად.

საფრანგეთის მუშათა დელეგაცია თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის მუშათა დელეგაცია, რომელიც გამოგზავნილია საფრანგეთში არსებულ საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების ინიციატივით. დელეგაციაში შედიან: **ლეონ ბოსრედონი, მარსელ ბიზე, რენე მარმუზე და რობერტ გლეზერი.**

დელეგაციის ჩამოსვლის მიზნის შესახებ მარსელ ბოსრედონმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

ჩვენი მიზანია გავეცნოთ საბჭ. კავშირში შემავალ რესპუბლიკებს, აღმშენებლობას რომელიც საბჭ.კავშირში სწარმოებს და მუშათა და გლეხთა ყოფა-ცხოვრებას. პარიზში შესდგა საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების კონგრესი, რომელმაც ჩვენს დელეგაციას დაავალა საბჭოთა კავშირში შეაგროვოს ყველა მასალები ამ საკითხების შესახებ, რათა საფრანგეთის მშრომელ ხალხს შესაძლებლობა მიეცეს უფრო ფართოდ გაეცნოს საბჭოთა კავშირში შექმნილ ნდგომარეობას.

მოსკოვში ჩვენ ჩამოვედით 8 სექტემბერს და მას შემდეგ ჩამოვიარეთ უკრაინა, ყირიმი, შავი ზღვის სანაპირო ქალაქები და საქართველო. თბილისში ჩვენ ვინახულეთ მე-2 გამასწორებელ სახლში მოთავსებული პოლიტპატიმრები და დავათვალიერეთ ზაჰესი.

30 სექტემბერს ჩვენ ვსტოვებთ თბილისს და ვემშვიდობებით საქართ. მუშებს და გლეხებს, რომლებიც ბედნიერნი არიან იმით, რომ სცხოვრობენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში.

მშრომელ ქალთა შრომის პირობების გამაუმჯობესებელი კომისია

საქართველოს ცაკთან არსებულ ქალთა შრომის პირობების ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიის პლენუმმა, ამხ. ქ. ხომერიკის თავმჯდომარეობით, განიხილა ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად კომისიის მიერ დღემდე ჩატარებულ მუშაობის ანგარიში.

ქალთა შრომის კოლექტივების მუშაობის შესახებ პლენუმზე მოხსენება გააკეთა ამხ. მარო მაისურაძემ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ შრომის კოლექტივების გარდა სხვა დასხვა წარმოება-დაწესებულებებთან კომისიას მოწყობილი აქვს 62 ბუფეტი. სადაც მუშაობს 140 უმუშევარი ქალი. მათ შორის ეროვნების მიხედვით 34 რუსია, 32 სომეხი, 2 პოლონელი, დანარჩენი ქართველი. უმრავლესობა წ.-კ. უცოდინარია. ბუფეტები პირველ ხანებში არ იყო სათანადოთ მოწყობილი, შემდეგ შეძენილი იქნა საჭირო ინვენტარი და სხვ. ბუფეტში მომუშავე ქალებს ყოველ 6 თვის შემდეგ ეძლევათ 15 დღის შვებულება. მათი თვიური ხელფასი შეადგენს 30—50 მანეთამდე.

ბუფეტების ქსელის გაფართოებას საერთოდ და მათ მუშაობას აფერხებს ის გარემოება, რომ ზოგიერთი დაწესებულების თანამშრომლები თავის დროზე არ უსწორებენ დავალიანებას ბუფეტებს. საანგარიშო 6 თვის განმავლობაში ბუფეტებს ნისიათ გაცემული აქვთ 6691 მან. სანოვაგე. ეს დავალიანება დღესაც დაუფარავია.

მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია კონკრეტიულ ღონისძიებების გამომუშავება, რათა შემდეგში დავალიანებას ადგილი აღარ ექნეს.

შრომის ბირჟიდან უმუშევარ ქალების სამუშაოზე მოწყობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. არეშიძე, მისი ცნობით გასული წლის 1-ლ ოქტომბრიდან მიმდინარე წლის აპრილამდე შრომის ბირჟაში სულ აღრიცხული იყო 4967 ქალი, მათ შორის მაზრებიდან ჩამოსულია 1031 ქალი. უკანასკნელ ხანებში უმუშევარ ქალთა მოძრაობა შენელდა და რიცხვი შემცირდა 3,9 პროც.

ბირჟაში აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევარ ქალთა უმრავლესობა არა კვალიფიციურია. რაც აძნელებს მათ სამუშაოზე მოწყობის საქმეს.

საანგარიშო მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ კომისია ულარიბეს ქალებს აძლევს ფულად დახმარებას, იურიდიულ რჩევა-დარიგებას და უწევს მათ უფლებრივ ფარველობას.

მოხსენებების გარშემო გამართულ კამათის მონაწილეებმა შრომის ბირჟის წარმომადგენელს მიუთითეს, რომ შრომის ბირჟა არ უწევს სათანადო დახმარებას უმუშევარ ქალებს, არც ის სჩანს მოხსენებიდან თუ საანგარიშო ხნის განმავლობაში რამდენი უმუშევარი ქალი გაიგზავნა სამუშაოზე და სხ.

დასასრულ პლენუმმა გამოიმუშავა რეზოლუცია ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების საქმის გასაცხოველებლად და გასაფართოებლად.

შევაგროვოთ სახალხო სიმღერები

სამაზრო პოლიტგანებს და სამკითხველოების გამგეებს!

მთავარპოლიტგანის სამხატვრო მუშაობის განყოფილება შეუდგა სოფლის მხატვრულ შემოქმედების შესწავლას.

დრამატიულ და სხვადასხვა სახის წრეებთან ერთად, სოფლად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მომღერალთა წრეებსაც.

ასეთი წრეები საქართველოს ყველა კუთხეში არსებობს, მაგრამ მათი შესწავლა-გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ისინი სარგებლობენ ისეთი სასიმღერო ტექსტებით, რომელნიც სრულებით არ ამართლებენ დღევანდელი პირობების მოთხოვნილებას.

პოლიტგანების მთავარ მმართველობამ გადასწყვიტა პროლეტარულ მწერალთა დახმარებით გამოსცეს ისეთი სიმღერათა კრებული, რომელიც შინაარსით გამომხატველი იქნება სოფლის პოლიტიკურ-კულტურული ზრდის და მაჩვენებელი მისი დღევანდელი ყოფა-ცხოვრების. ახალ სიმღერების ტექსტი აგებულ უნდა იქნეს ხალხურ სიმღერათა მოტივებზე, რომელიც გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

ამიტომ პოლიტგანათლების მთავარმმართველობა სთხოვს ყველა მაზრპოლიტგანს და სამკითხველოს გამგეებს, რათა მათ ადგილობრივ შეაგროვონ ასეთი ხალხური მოტივები ტექსტებით და გადმოგზავნონ მთავარმმართველობაში, სადაც ამ მასალას გადაამუშავებენ და ხელახლა გაავრცელებენ ხალხში.

მთავპოლიტგანის გამგე **შ. იმედაძე.**

სვანეთის წიაღში

(მგზავრის შთაბეჭდილებიდან)

ს. ჯვარამდის კიდევ გრძნობს ადამიანი ბარს, ჰორიზონტის სიფართეს, სილაღეს. ჯვარიდან კი სურათი ერთბაშად იცვლება.

ფეხს შედგამ თუ არა სვანეთის მიწა - წყალზე, მაშინვე აზიდული მთები დაგეუფლება.

თანდათან უფრო ვგრძნობთ მაჯის ცემის აჩქარებას, გულის ცემის აჩქარებას, მთის სალი ჰაერის სრიალს ფილტვებისაკენ. არის რაღაც დამათრობელი, რაღაც გამაცოცხლებელი ადამიანისა ამ მთის ჰაერში.

ჯერ თუ გზა ასე თუ ისე ფართეა და ბტყელადაა. შესაძლებელი თავისუფლად ჯდომა უნაგირზე, გადახრა - გადმოხრა, თვალის თავისუფლად ტარება ირგვლივ, შემდეგ ესეც შეუძლებელი ხდება. გზა აგერ დავიწროვდა, ერთი ცხენის ფეხის მოსაკიდებლიღაა. დაბლა ღრიალა, თეთრი ქაფით შედედებული, მებრძოლი ენგური, მაღლა კლდის კედელი, რამდენიმე ასეულ საჟენზე აწეული. გგონია, თითქოს დეკორაციაა სცენიდან.

მაინც ადამიანმა თავისი შესძლო და კლდეში გზა გამტვრია. უჩვენა მთას კულტურა, ტექნიკის ძლიერება.

უცბად იწყება ტყიანი მთები. ვიცნობ ბორჯომის ტყეებს, რაჭისას, აფხაზეთისას, მაგრამ ისინი ოდნავ ვერ შეედრებიან ამ ხელუხლებელ ტყეებს. მუხა, წიფელა, წაბლი, თხმელა —ამშვენებს გარშემო ვეება მთებს, ფიჭვნარ-ნაძვნარი კი შიგ გულში ჩაჭერია მათ.

ენგური კი მოჰქუხს უზარმაზარ მთებიდან, ჩაცვივნულ ლოდებზე ქაფდება, რძის ფერს იღებს და ამიერიდან ვეღარ ნახავთ მას მოსვენებულს. გამუდმებულ ბრძოლაშია, ებრძვის გაღმა - გამოღმა კლდეებს, ებრძვის ბორკილებს.

ხოღრიალებს ენგური და ჩხირებივით მოატრიალებს მის ქაფზე ფიჭვის და ნაძვის მორები. რაშია საქმე? ეს ხე-ტყის ტრესტის „ოინებია". გაუბედია და ფეხი შეუდგამს ამაყ მთებში, ღარიანი ტყისათვის ცულის პირი მოუქნევია. მაგრამ იქნებ გგონიათ — მორები ზღვაში მიდის პირდაპირ. თქვენც არ მომიკვდეთ: კაცის დაუხმარებლივ ერთმაც ვერ მიაღწიოს. ენგური აქეთ-იქეთ ისვრის მათ და მთელი გროვები სდგას ორივე ნაპირზე, სადაც კი ფეხის მოსაკიდი ერთი მტკაველი ადგილი მაინც არის.

ხე-ტყის ტრესტს ს. ხაიშში დაუსადგურებია, ბაზა გაუჩენია. მუშებისთვის სურსათი მისაწოდებელი ცხენებით. 600 მუშა მუშაობს ამ გაუვალ ადგილებში. გასხეპას ასწრებენ მხოლოდ. მორი მიცურავს საშინელი სისწრაფით შეუვალ მთის ფერდობით ენგურისაკენ. გამალებული დაეტაკება ენგურს და შეცურდება მის ქაფში.

„აი ეს ხიდი, და კიდევ რომ მრავალს შევხვდებით, შარშან წითელ არმიელებმა გააკეთეს" — გაცოცხლებული თვალებით მეუბნება სვანი ალმასგირი. ჯვარში რომ ცხენი დამახვედრა და ეხლა კიდევ ფეხ-დაფეხ მისდევს ცხენით რომ ვერ ვეწევი.

„ეს კლდეც იმათ გამოანგრიეს დინამიტით", განაგრძობს იგი.

მართლაც წითელ არმიელებს ამ გზის გაყვანით უდიდესი საქმე გაუკეთებიათ.

ენგურის ნაპირას მუშები ფუსფუსებენ, კალატოზები ქვებს ამტვრევენ. შეეხმაურა ჩემი სვანი — მალე, მალე თუ იქნებაო. „თუ შემოდგომის წვიმაზე ამ სახლში ბუხართან არა თბებოდე, ულვაშიც გაგცვდებაო" — გამოსძახეს. ეს მგზავრთა თავშესაფარი სახლი შენდება თურმე. ამისთანა კიდევ ორი სხვა მზად დგება ს. დუზთან (ლახამულის თემი) და ს. ვალში. (ლენხერის თემი). ეს ამბავი შვეიცარიას მაგონებს, სადაც თოვლიან მთებში გზა-ბილიკების ნაპირებზე სასტუმროებია გამართული.

ზამთარში ვისაც უმოგზაურია სვანეთში, ის ადვილად მიხვდება ამ თავშესაფართა განუზომელ მნიშვნელობას. ქების ღირსია სვანეთის აღმასკომი, რომელიც ამ საქმეს აკეთებს.

ვკვეთავ გზას, უკვე უკან 60 კილომეტრი დავტოვე და არ ილევა ტყე. რის ილევა! უფრო ხშირდება, უფრო და უფრო შავდება: ფიჭვ - ნაძვნარი ეუფლება ყველაფერს.

პირველად აქ გავიცანი: 30 საჟენზე აზიდულა ქოჩორა ფიჭვი, ავარდნილა ზევით მეგრელი წერწეტა „ძღაბივით". მას თან მისდევს ტოტებ დაშვებული სურნელოვანი ნაძვი.

უფრო განსაცვიფრებელი: ბარში ხომ ასეთი წარმოდგენა გვაქვს, რომ მუხა განზე მიდის, იმსხვილებს ტოტებს, ასთავიან დევსავით ტორებზე დამდგარა მკერდგანიერი. აბა სვანეთში ადით, თუ გინდათ, ს. შდხერში (ლახამულის თემი) და ნახეთ ზევით გაქცეული მუხნარი 20—25 საჟენზე ათი დიუმის დიამეტრის სისქისა.

შევდივარ ფარის თემში. თავდება სამეგრელოს გავლენა, რომელიც თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ ე. წ. სვანური სახლი არ შემხვედრია; ხის შენობებითაა მოფენილი. ზურგს უკან ლახამულის თემი, წინ კი თეთრი შენობები, ქვიტკირის, ოთხკუთხოვანი პრიზმის სახით ქოჩორა კოშკებ მოდგმული.

მივდივართ. ბეჩოს საზღვრებზე ვართ, ზემოდან დავყურებთ ენგურს. მაგრამ მისი ხმაური აღარ ისმის — ისე დაბლაა. გამოჩნდა ლაჰილას ყინვარები, თმა - ჭაღარები, სევდიანად რომ დაჰყურებენ არე-მარეს. მაგრამ ჯერ ვერ ვხედავ. თუმცა გაფაციცებით გავიყურები მარცხნივ ჩრდილოეთისაკენ, უშბას, ამ მორთულ პატარძალს და უმშვენიერეს კავკასიონის მწვერვალთა შორის.

— მალე, მალე დავინახავთ — მაფრთხილებს ალმასგირი.

დიდი ენერგიის მქონე უნდა იყოს ხალხი აქ დასახლებული ხალხი.

მართლაც, არც ერთი მტკაველი ადგილი არაა უქმად დარჩენილი: კაცის ხელი აჩნევია, ან ყანა უთესია, ან სათიბია; მთის დაქანებული ფერდობიც კია დახნული, ოფლით მორწყული. ამასთან, გამოსაყენებელი ადგილი სახნავია იგი თუ სათიბი, აგრეთვე სახლის ეზოები. ქვის გალავნებითაა შემოზღუდული.

ფარში გამოვემშვიდობე ალმასგირის წინადადებით კაკლის ხეს. მართლაც, სხვაგან ვეღარ ვხედავ. ვეღარ იტანს ეცერ-ბეჩოს და სხვა თემთა ჰავას კაკალი.

გადავედით ბეჩოში, გავყურებ მარჯვნივ ლაჰლას ყინვარებს, მაგრამ... აი, ის რა არისო, —ვეკითხები ჩემს თავს. პირდაპირ ჩრდილოეთით ღრუბლებზე ამართულა კოშკის უზარმაზარი წვერივით რაღაც. შევეხუმარე ალმასგირს. „უშბაა, უშბა, აი ეს არის ჩვენი ლამაზი უშბა"—იყო პასუხი.

თავის სრული სილამაზით თვალწინ დამიდგა უშბა, თვითეული სვანის სატრფო, ამაყი ჯიხვების საბუდარი.

თვალი ვერ მომიშორებია. მინახავს იალბუზი სამი მხრივ. მყინვარი ორი მხრივ, აგრეთვე რუსეთის მხრივ კავკასიონი მთელ თავის სიგრძეზე, მაგრამ ეს სულ სხვაა.

მათ ნახვაზე თუ ჰკვირდები, აქ ღელდები, გული გიჩქროლავს, მზად ხარ მუხლთ დაეცე და ჰიმნი შეუთხზა საქორწილო. სულ მაღლა თეთრი ქოჩორი უდნარი თოვლ - ყინულისა, შემდეგ რუხი კედლები, თითქმის ცილინდრი, შემდეგ ისევ რკალისებური დათოვლილი ტერასა, შემდეგ რუხი კედლები და ასე ჩასული დაყინულებული; სულ დაბლა თათებივით. გაუშლია ყინვარები და თითქმის ძირამდის ჩაუშვია.

არა, ვერ ავსწერ უშბას, არ შემწევს ძალა, და ყოველი სიტყვა უმწეო მგონია განცდის გადმოსაცემად.

ისევ ნახეთ და განიცადეთ. ტყუილად კი არ მიუკერებია მისთვის სვანს ეპითეტი „ხოჩა თვალამში" *).

გამოჩნდა ორი სხვა მწვერვალიც „ხოჩა თვალამში"-ის, — აქამდის მთავარ მწვერვალს ვხედავდით; უფრო დაბლებია, მაგრამ ისევე ლამაზნი თითქმის.

რით ცხოვრობს სვანი. აი, უნებური კითხვა, რომელიც სვანეთის ნახვის უმალ დაიბადება. უყურებ ამ ერთ მუჭა ნახნავებს და არ მჯერა, თუ ამით იკვებავს თავს სვანი. ამ მხრივ გაჭირვებაშია იგი. წლის ბოლომდის არ ჰყოფნის ქირნახული, შემოაქვს სამეგრელო - რაჭა ლეჩხუმიდან, თუ იქაც მოიპოვება, ან სამუშაოდ გადავარდება საითმე. მიწა ცოტას იძლევა, დღიური (200 კვ.) დაახლოვებით 10—15 ფუთს. ამასთან ცოტაა ისეთი მოსახლე, რომელსაც დღიური ნახევარი ჰქონდეს.

ახლა დაუწყია მაზრის აღმასკომს სასუქების შეტანა, გაუჩენია საცდელ - საჩვენებელი მინდვრები, სახნავები; ეს კი ბევრი რამის მომასწავებელია.

აგერ, ყანას შესევია მთელი გროვა ახალგაზრდობისა, ნამგალს ატრიალებენ. სოფლის ახალგაზრდობის. სკოლის მოწაფენი არიან თურმე, აღმასკომის ყანას მკიან, — ასე დაუდგენიათ თვითვე საერთო კრებაზე.

თავს წავადექით ნიჩაბ - თოხ - წერაქვიან ოციოდე სვანს. გზას აგანიერებენ, ერთხმად სალამს იძლევიან „ხოჩალდედ ჯარ"-ო**).

გზის შეკეთებას სრული თავისი სურვილით თვითდაბეგვრის წესით აწარმოებენ.

მივაწიე ჩემს საბოლოო ბინას, ბეჩოს თემის ს. მაზერის, „ხოჩა - თვალამში"-ს უშბის ძირას რომ კოპწიად შეფენილა.

რამოდენიმე დღე მივიხედ-მოვიხედე, ჩავუკვირდი სვანის ცხოვრებას, იმის ქონის ავლა დიდებას, პატრიარქალურ ცხოვრებას და რას ვხედავ.

სინამდვილეს ღალატობს „დინა ძაძუს" დამდგმელი, სიცრუე სიმართლედ გაასაღა. არ გვაჩვენა ნამდვილი სვანი, საშინლად დასცინა სვანეთს. ამ სურათში სვანი მგელსა ჰგავს, ადამიანის ტანსაცმელში გამოწყობილს, რომელიც სვავივით ჰგლეჯს ხორცის უზარმაზარ ნაჭრებს, პუტყიანია, ბინძური. ნამდვილად კი: იშვიათი გონება-მახვილობა, იშვიათი დარბაისლობა, ზრდილობა, სტუმართ - მოყვარეობა, მეტადრე საოცარი მჭერმეტყველობა, კარგი მოსაუბრე, სუფთა, ზედმეტად მუყაითი, შრომის მოყვარე, — აი დღევანდელი სვანის სურათი.

სვანში ძლიერია მისწრაფება სწავლისაკენ. ის არაფერს ზოგავს შვილის აღსაზრდელად, ის ითხოვს სკოლებს; ხშირია მაგალითი, როცა მამა შვილისგან სწავლობს წერა კითხვას. იმ პატივისცემას, რაიც დამსახურებული აქვს სვანეთში სახალხო მასწავლებელს ხალხში, ბარში იშვიათად შეხვდებით.

დავესწარი 15 ივლისს მოსავლის დღის დღესასწაულს, რაც საყოველთაოა სვანეთში. ერთ-ერთი მოსახლე ასუქებს საკლავს, რის საფასურს ხორბლით იხდის მთელი სოფელი შემოდგომაზე. 3 არჩეული მოსახლე კი არაყს ხდიან ამ დღისათვის. ძველი ეკლესიის ნანგრევთან მიაქვს თვითეულ მოსახლეს თითო გამომცხვარი ვეება პური (დიამეტრი 7—10 ვერშოკი) და ეკლესიაში სდებს. შედის უხუცესი და მიიწვევს მსურველთ სალოცავად. შედიან 3, 6, 9 ან 12 კაცი. ყველა აიღებს თითო პურს, ასწევს მაღლა (ზოგი აწეულ პურს ჭიქა არაყს დადგამს) და დაიწყებს ლოცვას: უხუცესი ამბობს „დიდებას", დანარჩენნი ბანს აყოლებენ. შემდეგ სადილად დასხდებიან და არჩეულ სუფრის თამადა იწყებს სადღეგრძელოებს: პირველი - საერთო დღეგრძელება, მეორე — წმ. გიორგის, მესამე — მართალი კაცის, მეოთხე — ღმერთის; ამ მეოთხე სადღეგრძელოს 6—6 კაცი ამბობს. თამადის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო სავალდებულოა მესუფრეთათვის და თვითეული ვალდებულად ხდის თავს, სიტყვა წარმოსთქვას.

გესმით რიხიანი, ხმის უნაკლო აწევ - დაწევით წარმოთქმული სიტყვა, არ იცით ენა, მაგრამ გრძნობთ სიტყვის აზრიანობას. გულის სიღრმიდან ამოვარდნილს.

არც ქალები ჩამორჩებიან მამაკაცებს,— კარგა ხანს ილაპარაკებს სვანის ქალი კილოიანად.

საზოგადოებრივი ცხოვრება მეტად განვითარებულია სვანეთში. საერთო საქმეზე ერთად მსჯელობენ მუდამ და ქალიც, როგორც სრულუფლებიანი წევრი, მუდამ ისწრება ყრილობებს, ლაპარაკობს, მსჯელობს.

სამუშაოს დროზე მოთავებას დიდი მნიშვნელობა აქვს სვანეთში ამინდის ცვალებადობის გამო. ამიტომ ერთად საქმის კეთება ორგანიულ მოვლენადაა გადაქცეული. ყოველ საქმეს, რაიც ერთი კაცის ძალას აღემატება ერთი ან ორი დღის განმავლობაში, ნადით აკეთებენ: ხვნა ნადით, მკა ნადით, მეტადრე თიბვა და სხვა.

აქ ყველაფერი ბუნების პირობებთანაა ზუსტად შეხამებული: გზები არ ვარგა და მარხილი დააქვთ; წვიმები ხშირი იცის, ამიტომ რგვალ ქუდებს ხმარობენ ნაბდისას, ყურებამდის ჩამოწეულს ყოველ მხრივ. (სვანური ქუდი); კლდეებზე და ყინვარებზე სიარული რომ გაადვილებულია, სრულიად უძირო ფეხსაცმელს ხმარობენ, საძირეს მაგიერ თასმებით გახლართულს, — ფეხი აღარ სხლტება (ქაბური); ზამთარში რომ დიდი თოვლი იცის (ხშირად 3—4 მეტრი) და სახლიდან გასვლა თითქმის შეუძლებელია, ამიტომ საქონელი სახლში ჰყავთ.

ორი სიტყვა ამ საკითხზე: სვანების ბინძური ცხოვრების ფაქტად ბარში სწორედ საქონელთან ერთად ყოფნას იმეორებენ ბევრნი. მაგრამ ქვის სახლის ერთ მხარეს ფიცრის კედელია აყვანილი, ასე რომ ამ კედელსა და ქვის კედლის შორის კარიდორია დარჩენილი საქონლის დასადგომად. ეს ფიცრის კედელი საუცხოვოდაა გამოკვდილი ხელით მოჩუქურთმებული. კედელს ნახვრეტები აქვს საქონლის თავის გამოსაყოფად ოთახში, სადაც ფიცრის ღარია გავლებული თივის ჩასაყრელად, თივა კი ჭერში აქვთ შენახული. ბევრი სვანური სახლი მოვიარე, მაგრამ ვერავითარი სუნი შევამჩნიე საქონლის განავალისა, ან სხვა რაიმე. საქონლის ოთახი დღეში 2—3-ჯერ იხვეტება და სუფთავდება. საკითხავია, რითია უკეთესი კახელი გლეხის მოწნული ჩალური სახლი, ან ქართლელის მიწური, რომელიც სულ უკანასკნელ ხანში მოისპო (ზოგან კიდევაა დარჩენილი) სვანურ სახლზე? რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სვანებმა არ იზრუნონ თავის სახლების უფრო კულტურულად მოწყობაზე.

ახლა სახლის შენებას უყუროთ: ჯერ ქვებს ალაგებენ ლარში, გამოსტენენ ცარიელ ადგილებს ჰოჭყით და შემდეგ ორი მხრივ გალესავენ, ბოლოს ზემოდან ჩაასხამენ თხლად გახსნილ სილა - კირს, რომელიც მთლად ამოავსებს კედელს, გაუჯდება მტკიცედ. სპეცებმა თქვან, რამდენად რაციონალურია აგების ასეთი წესი, დროის ეკონომიის და კედლის სიმტკიცის მხრივ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სვანეთი მეტის - მეტადაა სახეცვლილი, აშკარად დასდგომია წინსვლის გზას. მაგრამ ბევრის გაკეთებაა საჭირო კიდევ. ადგილიდან ერთხელ დაძრული ცხოვრება ვერ შეჩერდება, ამოძრავებული სვანეთი შესაფერის გაკანონებას მოითხოვს, მას ველარ აკმაყოფილებს ორი 7 წლედი და ათიოდე ოთხწლედი. კოოპერაცია ცდილობს ხელი მოხვიოს მთელს სვანეთს, მაგრამ საქონლის უქონლობა მეტის-მეტად იჩენს თავს, — ეს კი უგზოობის ბრალია. ადგილობრივი ხელისუფლება ენერგიულად მუშაობს ამ კუთხის ასაღორძინებლად. ცენტრი დიდ ყურადღებას აქცევს სვანეთს. და ეჭვი არ არის, რომ ეს მშვენიერი, ბუნებრივი სიმდიდრეებით (ხე-ტყე, მინერალური წყლები, სხვადასხვა მადანი) განთქმული კუთხე გამოყვანილი იქნება განვითარების ფართო გზაზე.

დ. კარბელაშვილი.

---

*) ხოჩა თვალამ - ლამაზი, სიტყვა - სიტყვით: კარგი სახის, გარეგნობის.

**) გამარჯობა; სიტყვა - სიტყვით; კარგი დღე გქონდეს.

ქვის ხანის დროის ადამიანი საქართველოში

რას გვიმტკიცებენ „დევის ხვრელში" აღმოჩენილი ნაშთები და ქვის იარაღები

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში „დევის ხვრელში" აღმოჩენილ ქვის იარაღების შესწავლის შედეგების შესახებ არქეოლოგმა გ. ნიორაძემ შემდეგი განაცხადა:

უკანასკნელ დრომდე მეცნიერებაში გამეფებული იყო ის აზრი, რომ ძველი, ქვის ხანის (პალეოლიტის) დროის ადამიანი საქართველოში არ ცხოვრობდა. დღეს ეს აზრი, უკანასკნელი აღმოჩენებით, უარყოფილათ უნდა ჩაითვალოს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ შემთხვევითსა და საეჭვო თითო-ოროლა ქვის იარაღების პოვნას ჩვენში, მაშინ ძველი ქვის ხანის დროის იარაღების აღმოჩენა უნდა მივაწეროთ ცნობილ გერმანელ მეცნიერ-არქეოლოგს—პრ. რობერტ შმიდტს, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა საქართველოში არქეოლოგიური გამოკვლევებისათვის 1913 წ. ამავე წელს იგი შეუდგა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებებს ს. გელათის მახლობლად მდ. წყალწითელას გამოქვაბულებში, სადაც მან იპოვნა ძველი ქვის ხანის დროის იარაღთა მდიდარი კოლექცია. მთელი მასალები და კოლექციები პროფ. შმიდტმა გადაგზავნა მაშინდელ სატახტო ქალაქ პეტერბურგში, სადაც ეს მასალები დღემდე შეუსწავლელადაა დაცული.



ქაჟის საფხეკები (A, B) და დანები (C და D)

მეორე აღმოჩენა ეკუთვნის პოლონელ არქეოლოგ პროფ. კრუკოვსკის. მან სოფ. რგანში (შორაპნის მაზ.) გამოქვაბულ „გვარჯილას კლდეებში" 1916 წელს აღმოაჩინა ქვის ხანის დროის იარაღთა მეორე წყება.

მესამე აღმოჩენა ეკუთვნის არქეოლოგ გ. ნიორაძეს, რომელიც აწარმოებდა არქეოლოგიურ გამოკვლევებს ე. წ. გამოქვაბულ „დევის ხვრელში". (სად. ხარაგოულის და ძირულას შუა). აღნიშნულ მუშაობას არქეოლოგი ნიორაძე ეწეოდა 1926 წლიდან დღემდე. წელს აგვისტოში მან აღნიშნულ გამოქვაბულში იპოვა ქვისა და კაჟის მრავალი იარაღები, ობსიდიანის და ძვლის ხელსაწყოები და იარაღები (სადგისები, დანები, საფხეკები და სხვ.) ამავე გამოქვაბულში აღმოჩენილი არის ამჟამად უკვე გადაშენებულ გარეულ ცხოველთა კბილები და ძვლები.

აღმოჩენილ ქვის იარაღის კოლექციაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ კაჟის საფხეკები (სურ. A და B) კაჟისავე უყუნო დანები (სურ. C), ობსიდიანის ყუნწიანი დანები (სურ. D) აღნიშნულ საფხეკებს ქვის ხანის დროის ადამიანი, არქეოლოგების დასკვნით, ხმარობდენ ტყავიდან ხორცის დასაშორებლად და ძვლისა და ხის იარაღების საკეთებლად.

ქვისავე კოლექციებში აღსანიშნავია აგრეთვე მრავალ რიცხოვანი ნუკლეუსები, მიკროლიტები, ობსიდიანის სადგისები და სხვა იარაღები, გამოქვაბულში ნაპოვნი იარაღები და ხელსაწყოები ადასტურებენ, იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ გამოქვაბულში პირველყოფილ ადამიანს გამართული ჰქონია იარაღების საკეთებელი სახელოსნო. ამ გარემოებას ისიც მოწმობს, რომ იარაღებთან ერთად ნაპოვნი არის მრავალი ნამტვრევები, რომლებიც რჩებოდენ კაჟიდან იარაღის გამოთლისას. ნაპოვნი იარაღები ისე კარგადაა დაცული, რომ დღესაც შესაძლებელია მათი ხმარება. იარაღებს აშკარად ეტყობათ ე. წ. რეტუში და ხელოვნური გაკეთებულობა.



ძვლის სადგისები (E და F) და ცხოველთა კბილები (G, H)

ძვლის იარაღებში ყურადღებას იპყრობენ სხვადასხვა ზომის სადგისები (სურ. E და F), რომელთაც ხმარობდენ ტყავის ტანსაცმელის შესაკერად. გამოქვაბულში ნაპოვნი ცხოველთა კბილები ადასტურებენ, რომ ცხოველთა კბილებს პირველყოფილი ადამიანი ხმარობდა სამკაულად და ამულეტად. უძველეს ცხოველთაგან ნაპოვნია დათვის (სურ. C და H), ჯიხვის, ირმების, შველების და გარეულ ღორების ძვლები. დამტვრეული ძვლების შესწავლისას გამოირკვა, რომ პირველ ყოფილი ადამიანი გარდა ცხოველთა ხორცისა ხმარობდა აგრეთვე ტვინსაც. ტვინს ხმარობდენ აგრეთვე ფერადი საღებავების დასამზადებლად.

ევროპაში შემოღებული კლასიფიკაციით, აღნიშნული იარაღები ეკუთვნის პალეოლიტის ზემო ფენებს, ე. წ. აზილ-ტარდენუაზის კულტურას, რომელიც მეცნიერების ვარაუდით არსებობდა 16—18 ათასი წლის წინად ჩვენს ერამდე.

აღნიშნული იარაღებისა და ნაშთების შესწავლა კვლავ გრძელდება და მოსალოდნელია, რომ ამ მასალების შესწავლით გამოირკვეული იქნება მეცნიერებისათვის მეტად საინტერესო ახალი მომენტები.

პურის დამზადება

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის ცნობით, მიმდინარე წლის 1-ლ სექტემბრიდან, ამავე თვის 20-მდე დამზადებულია 96.000 ფუთი პური და 164.000 ფუთი ქერი.

აქედან საქართველოში დამზადებულია 13.000 ფუთი პური და 6.000 ფუთი ქერი, აზერბეიჯანში — 70.000 ფუთი პური და 150.000 ფუთი ქერი, სომხეთში—13.000 ფუთი პური და 8.000 ფ. ქერი.

ხელოვნების სასუქი

მიწის ხელოვნური სასუქით განოყიერების საქმის გაფართოების მიზნით საქართველოს საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ 1928—29 წლიდან 1930—31 წლამდე საქართველოში ჩატარებული იქნეს მთელი რიგი ცდები და სამეცნიერო გამოკვლევითი მუშაობა. ამ ზომის განსახორციელებლად საგეგმო კომისიის დასკვნით საჭირო იქნება 193.851 მან. ეს თანხა გამოთხოვნილი უნდა იქნეს დამატებით, საკავშირო საბიუჯეტო თანხებიდან.

საგეგმო კომისია საჭიროთ სცნობს ხელოვნების სასუქზე არსებულ ფასების და ამ სასუქის რკინის გზით გადაზიდვის ტარიფის შემცირებას.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

ამა წლის ოქტომბრის 2-ს საღამოს 6 საათზე ქალ. თბილისში შრომის სასახლის დიდ დარბაზში მოწვეულია საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მე-6 მოწვევის მე-8 მორიგი პლენუმის სხდომა. დღის წესრიგი: 1) საქართველოს პროფკავშირთა მე-7 ყრილობის მოწვევის შესახებ, (მომხ. ამხ. მაჩაიძე), 2) კერძო წარმოებებში პროფმუშაობის შესახებ (მომხ. ამხ. ანთაძე და არაქელოვი); 3) შრომის სასამართლოების დადგენილებანი, ცხოვრებაში გატარების შესახებ (მომხ. ამხ. გოდაბრელიძე და ამირიძე); 4) სახალხო განათლების სისტემის შესახებ (მომხ. ამხ. კანდელაკი და მხითარიძე); 5) კოლ. ხელ. კამპანიის შესახებ (მომხ. ამხ. გოდაბრელიძე და ს.მ.უ.ს.-ის წარმომადგენელი); 6) პროფკავშირების მასიურ მუშაობის შესახებ (მომხ. ამხ. ანთაძე).

ბაქო-ბათომის ნავთსადენი

ნავთსადენის აგება ბათომსა და ხაშურს შუა ჩქარის ტემპით მიმდინარეობს, და ამ ხაზზე ნავთსადენის აგება 1928—29 წლის დასაწყისისათვის დასრულდება. სწრაფად მიმდინარეობს მილების ავტოგენური შედუღება, რაც უკვე თავდება. მალე დასრულდება აგრეთვე რკინის გზის ხიდებზე მილების გადება. ნავთსადენის ექსპლოატაცია ბათომ-ხაშურის შუა განზრახულია დაწყებულ იქნას ოქტომბრის შუა რიცხვებში, ამ დროისთვის დასრულდება გამოცდაც და ხაშურის გადამქაჩავი სადგური დაიწყებს მუშაობას. გამოცდამ იმ ადგილებში, სადაც ნავთსადენის მოწყობა უკვე დასრულებულია, სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა (ადს).

საქონლის შემოზიდვა

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატში მიღებულ ცნობების თანახმად ამ დღეებში ბათომის ნავთსადგურში გერმანიიდან მოელიან გემ „პლეხანოვს", რომელმაც უნდა ჩამოიტანოს სხვადასხვა საქონელი: საღებავები, სხვადასხვა აპარატები და მოწყობილობანი ლაბორატორიისათვის, ელექტრონის მოწყობილობანი, საქსოვი დაზგები, ელექტრო მოტორები, გენერატორის ნაწილები, კინო-მოწყობილობები, ტრანსფორმატორები, ოპტიკური ხელსაწყოები და სხვა.

აღნიშნული საქონელი გაუნაწილდება შემდეგ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს: თბილისის სახ. უნივერსიტეტს, საქართველოს და აზერბეიჯანის მიწსახკომებს, თბილისის მაუდის ქარხნისათვის, ზაკგოსტორგს, შრომის ბირჟას, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს, სახელმწიფო კინო მრეწველობას, სომხეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სხვებს.

ზარალი სეტყვისაგან

სახელმწიფო დაზღვევის აფხაზეთის კანტორა მალე დაასრულებს იმ ზარალის ლიკვიდაციას, რომელიც თამბაქოს პლანტაციებს სეტყვამ მიაყენა. უკვე შეუდგნენ გასაცემი თანხების გამოანგარიშებას.

წინასწარი ცნობებით, დასეტყვილია 1.200 ჰექტარი ნათესი—დაახლოებით 500.000 მანეთისა.

რადიო-გადაცემა

დღეს, 30 სექტემბერს, თბილისის, 4 კილოვატიან რადიო სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება: **დილით:** მოხსენება „მუშაობა მოჯამაგირეებსა და ღარიბ გლეხობაში" (ქართულ ენაზე), გლეხური რადიო-გაზეთი (ქართულ ენაზე), მოხსენება „მოსავლის შედეგები საბჭოთა კავშირში" (სომხურ ენაზე), კონცერტი სტუდიიდან; **საღამოთი:** რადიო-გაზეთი (ქართულ და რუსულ ენებზე), საუბარი აგრონომიაზე (ქართულ ენაზე), მოხსენება „კომინტერნის მე-6 კონგრესის შედეგები" (ქართულ ენაზე), ჯანსახკომის მოხსენება „ჭუნთრუშა და მასთან ბრძოლა" „რუსულ ენაზე), ტექნიკური კონსულტაცია, მოხსენება: „მასიური და კოოპერატიულ-განმანათლებელ მუშაობის შედეგები და ამოცანები" (სომხურ ენაზე), გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა (ქართულ და რუსულ ენებზე), კონცერტი ან ტრანსლიაცია, საფოსტო ყუთი და მოხსენებებს შუა მუსიკალური ნომრები.

ქრონიკა

„ფოსიშე ცეიტუნგის" კორესპონდენტის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა გერმანულ გაზეთის „ფოსიშე ცეიტუნგის" პარიზელი კორესპონდენტი როზი გრეფენბერგ.

ეროვნულ უმცირესობათა კომისიის სხდომა

სამშაბათს, 2 ოქტომბერს, დილის 11 საათზე მოწვეულია საქართველოს ცაკთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა კომისიის გაფართოებული სხდომა.

კოოპერატორთა თათბირი

ოთხშაბათს, 1 ოქტომბერს, თბილისში გაიხსნება ამიერ-კავკ. სამომხმარებლო კოოპერატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი, თათბირი განიხილავს მთელ რიგ ორგანიზაციულ საკითხებს.

პურის მექანიკური ქარხანა

დღეს დილის 10 საათზე ყოფ. ანდრეევის და ფეიერვერკერის ქუჩის კუთხეში საძირკველს ჩაუყრიან პურის საცხობ პირველ მექანიკურ ქარხანას.

დანიშვნა

ამიერ-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭომ ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად და ამიერ-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის თავმჯდომარედ დანიშნა ამხ. აბეზგაუზი, ხოლო ამხ. ივანაშვილი განთავისუფლდა ამ თანამდებობათა მოვალეობის შესრულებისაგან.

ამიერ-კავკ. ქვეითი სკოლის ერთი წლის თავი

1-ლ ოქტომბერს სრულდება ამიერ-კავკ. ქვეითი სკოლის დაარსებიდან 1 წლის თავი, რომლის აღსანიშნავად სკოლაში გაიმართება

მატარებლების გასვლა ზარის მიუცემლად

დღემდე რკ. გზ. სადგურებიდან მატარებლები გადიოდა ორჯერ ზარის ჩამოკვრის შემდეგ. 1 ოქტომბრიდან ამიერ-კავკ. რკინის გზის მთელ ხაზზე მატარებლების მოძრაობა იწარმოებს ზარის მიუცემლად.

საზეიმო საღამო.

უცხო ენათა სწავლება 10 წლედებში

განათლების კომისარიატის დადგენილებით დამდეგ სასწავლო წლიდან შრომის 10 წლედიან სკოლებში შემოღებული იქნება გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენების სწავლება.

პენსიების დანიშვნა

საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებით იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც მოხუცებულობის გამო 1928—29 წლიდან გადაყვანილი იქნებიან პენსიაზე, პენსიის სახით თვიურად უნდა მიეცეს სრული ხელფასის 40 პროცენტი.

საბჭოთა ნა[illegible]ბრივი არჩევნები

ხევსურეთში, [illegible] და ყაზბეგის [illegible] ნაწილობრივი არჩევნების ჩასატარებლად [illegible] აღმასკომმა მიავლინა ამხ. სულეიმაშვილი, ბარამიშვილი და კარანაძე.

თბილისის აღმასკომში

◆ ტრამვაის ახალი ხაზი. ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა მომავალ წელს ორთაჭალაში ააგოს ტრამვაის ახალი პარკი.

◆ კბილის საექიმო კაბინეტი. ასურეთში კბილის საექიმო კაბინეტის მოსაწყობათ თბ. აღმასკომმა გადასდო 255 მანეთი.

◆ საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს თბ. სამაზრო გლეხკომის ხარჯთა-ღრიცხვა.

◆ ახალი ვაგონები. ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოსკოვიდან მიღებული იქნება ტრამვაის 18 ახალი ვაგონი.

◆ სკოლა. თელეთის შრომის სკოლის დასამთავრებლად აღმასკომმა გადასდო 500 მანეთი.

◆ ტრამვაის სახელოსნოების გასაფართოებლად ტრამვაის დირექციამ გადასდო 20.000 მანეთი.

სხვადასხვა

◆ პარიზის კომუნის სახელობის ტუბდისპანსერის შეკეთება დამთავრდა და შეუდგა ავადმყოფების აქიმობას.

—:—

ხელოვნება

◆ ახალი პიესები. ხელოვნების მთ. საბჭომ და მთავლიტმა პროფთეატრებში და მუშათა კლუბებში დასადგმელად დაამტკიცა გუგულის ორი ახალი პიესა: „ქანგი" 7 მოქმ. და „25.000" კომედია 3 მოქმ.

◆ მელითონეთა კლუბში დღეს გაიმართება დიდი საღამო.

◆ „ურიელ აკოსტა". დღეს ოპერის თეატრში ცნობილ სომეხ ტრაგიკოსის ფაფაზიანისა და დამსახურებულ მსახიობის არმენიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ურიელ აკოსტა".

◆ სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევართა გამოფენა დაიხურება დღეს.

კომკავშირელ მწერალთა წრეში

დღეს 30 სექტემბერს საღამოს ექვს საათზე გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს რედაქციის ბინაზე შესდგება კომკავშირელ მწერალთა კრება. დღის წესრიგში სდგას: 1—მოხსენება ამხ. ალ. სულავასი „წრის მომავალი მუშაობის შესახებ".

ბიუროს წევრები უნდა გამოცხადდნენ 5 საათზე.

სასამართლო

ქურდების ჯგუფის გასამართლება

ვახტანგ რამიშვილი, ვასილ ნასიბოვი, ალექსანდრე კალმახელიძე და სოლომონ ხუცულაური გახლავთ დახელოვნებული ქურდები, რომლებიც რამდენიმე ხანია შეკავშირებულად „მუშაობენ" ღამ-ღამობით თბილისის მოქალაქეების ბინების და სავაჭროების დასაცარიელებლად.

მათ ბევრი რამ „გაუკეთებიათ" თბილისში. მაგალითად, მათ მიერ ყოფილა გაძარცული ერისის ქუჩაზე სავაჭრო, მათ გაძარცვეს მუშკოოპის მაღაზია ლენინის ქუჩაზე, მათ გასტეხეს რუსთაველის პროსპექტზე სახელგამის მაღაზია, საიდანაც წაიღეს ძვირფასი ნივთები და სხვა.

მაგრამ ერთ დღეს ბოლო მოეღო მათ „მოღვაწეობას".

ღამის ათი საათი იქნებოდა, როცა ხსენებული პირები, შეიარაღებულნი ბურღებით, ლომებით, ხერხებით და სხვა ასეთი ხელსაწყოებით, ეკლესიის გალავნიდან მიადგნენ გერმანის შტამპების სახელოსნოს (კომინტერნის ქ. № 2), დაუწყეს კედელს გამონგრევა და ის იყო თხუნელებივით უნდა შემძვრალიყვნენ, რომ მათ თავზე წაადგნენ [illegible].

ქურდები შეპყრობილ იქნენ. ისინი გამოტყდნენ ყველაფერში, ილაპარაკეს სად რა ჩაიდინეს და სად რამდენი ნივთი გაიტაცეს.

გაჩხრეკილ იქნა მათი „თავშესაფარი", სადაც ბლომად აღმოჩნდა ნაქურდალი შარვლები, ხალათები, ფეხსაცმელები, საფულეები, ფანქრები, შტამპები და სხვ.

ქურდები გაასამართლა 1 უბნის სახალხო სასამართლომ.

ვახტანგ რამიშვილს, ვასილ ნასიბოვს და ალექსანდრე კალმახელიძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა თვითეულს ერთი წლით და 6 თვით, ხოლო სოლომონ ხუცულაურს, როგორც მთავარ ორგანიზატორს,—თავისუფლების აღკვეთა 2 წლით.

—:—

კონსტანტინე დუბენკოს საქმე

კონსტანტინე დუბენკო მსახურობდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საიმპორტო მასალის განყოფილების გამგედ და შემდეგ აგენტად. მას, სხვათა შორის, ევალებოდა საიმპორტო პატენტების გამოსყიდვა, თანამშრომელთა ჯამაგირების დასარიგებლად ფულის გამოტანა და სხვა.

დუბენკოს რევიზიის დროს აღმოუჩინეს დანაკლისი 1251 მანეთი, რისთვისაც იგი პასუხისგებაში იქნა მიცემული.

დანაკლისის სისწორით გამოსარკვევად ორჯერ იყო დანიშნული ექსპერტიზა.

საბოლოო ექსპერტიზამ დანაკლისის რაოდენობა განსაზღვრა 536 მანეთის რაოდენობით, რომელიც სასამართლომ გაფლანგულად ჩაუთვალა დუბენკოს და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით.

რადგან ბოროტმოქმედება ჩადენილი იყო ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის შესრულებამდე, მსჯავრდადებულს შეეფარდა ამნისტია და სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქნა.

—:—

თვრამეტი შაურის გამო

ქიათურის ერთ-ერთ სასადილოში ამა წლის 23 თებერვალს ისხდა ჯგუფი მოქეიფე ხალხისა, რომელთა შორის იყო აგრეთვე კავილაძის მომდურავე შარაშიძე.

სასადილოში შევიდა მეთოდი კავილაძე, რომელიც შარაშენიძესთან მსხდომმა ხალხმა სუფრაზე მიიპატიჟა. კავილაძე შეუერთდა მათ.

თამადამ აიღო ჭიქა ხელში და გრძელი სიტყვით შემკო შემოსტუმრებული კავილაძე და სთხოვა დანარჩენებს ედღეგრძელებიათ

— მე მაგის სადღეგრძელოს არ დავლევ.., რა კაცია მაგი, თვრამეტ შაურში არ მენდო,—სთქვა შარაშენიძემ და დღეგრძელების მაგიერ გინება დაუწყო კავილაძეს.

ატყდა ჩოჩქოლი. შარაშენიძე იგინებოდა ქუჩური სიტყვებით. აიშალენ სუფრიდან.

გულმოსული კავილაძე გავარდა გარედ, გაიქცა სახლში და ბებუთით შეიარაღებული მობრუნდა ისევ სასადილოში.

შარაშენიძე გინებით გამოდიოდა სასადილოდან, როცა ბებუთით შეიარაღებული კავილაძე გადაუდგა წინ და დაჰკრა დანა. შარაშენიძე მსუბუქად დაიჭრა ხელმეორეთ მოქნეული დანა შარაშენიძეს შეერჭო ხელში ისე მაგრად, რომ შიგ ჩარჩა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. შარაშენიძე ხელიდან არ იგდებს დანას, ისე ებრძვის კავილაძეს.

ამ დროს მოუსწრეს გამშველებლებმა. გამოცხადდა მილიციის წარმომადგენელი და კავილაძე დაპატიმრებულ იქნა.

შარაშენიძე მალე განიკურნა ჭრილობისაგან.

საქმე გაარჩია შორაპნის მაზრის სასამართლომ ალ. ნაკაიძის თავმჯდომარეობით.

სასამართლომ მიიღო მხედველობაში კავილაძის ძლიერი სულიერი მღელვარება, გამოწვეული უშმაური სიტყვების და ლანძღვა-გინების მოსმენით, და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით.

გერ.

შემთხვევები

იშვიათი ხულიგნობა

28 სექტემბერს ვერის პარკის რესტორანში საქეიფოდ მოვიდნენ აბრამ ნიკოლოზის ძე მამულაშვილი, ბეგლარ სარქისის ძე ზალიკაშვილი და ვინმე გძელიშვილი. ხსენებულ პირებმა ქეიფი განაგრძეს ღამის 12 საათამდე. მოქეიფენი ძლიერ დათვრნენ, როცა ანგარიშის გასწორების ვადამ მოაღწია, „მეგობრებმა", რომელთაც გროში-კაპეიკი არ გააჩნდათ, ერთმანეთს განზრახ აუტეხეს ჩხუბი, რომელიც ჩქარა ნამდვილ ომად და თავპირისმტვრევად გადაიქცა.

დამტვრეული სკამების ფეხებით მათ სცემეს რესტორანის პატრონს და შემდეგ დაერივნენ დარბაზში მყოფ სხვა მოქალაქეებსაც. როცა ყველა დაფრთხა და რესტორანში მარტო ხულიგნები დარჩნენ, ისინი შეუდგნენ ჭურჭლეულობის და რესტორანის მორთულობის მსხვრევას და ყველაფერი ნაცარტუტად აქციეს. როცა მილიცია მოვიდა, მთელი დარბაზი დარბეული და დამტვრეული აღმოჩნდა. მილიციამ მოახერხა მხოლოდ ორი ხულიგანის—მამულაშვილისა და ზალიევის დაპატიმრება. გრძელიშვილმა მოასწრო მიმალვა. ზარალი უდრის 600 მანეთზე მეტს.

ავტომობილის მსხვერპლნი

28 სექტემბერს ლენინის ქუჩაზე „მიასოპროდუქტი"-ს ავტომობილმა, რომელსაც მართავდა შოფერი ავაკიმოვი, გაიტანა ალექსანდრე ვარლამის ძე რევაზიშვილი (მცხ. უნივერსიტეტის ქ. № 32) და მანუკა სარქისის ძე ჰაირაპეტოვი (ბაზრის ქ. № 4), დაშავებულები გადაგზავნეს მეორე საავადმყოფოში. შოფერი შეიპყრეს.—ამავე დღეს რიყის ქუჩაზე ავტომობილმა № 116-მა მძიმედ დააშავა მოქ. აირაპეტ ხაჩატუროვი, რომელიც გადაიგზავნა საავადმყოფოში. შოფერი ანდერსონი დაპატიმრებულია.

შეპყრობა

28 სექტემბერს დააპატიმრეს ვლადიმერ დავითის ძე ფერიაშვილი (მცხ. მარტყოფის ქ. № 10) ენოქ აბრამოვისათვის ტანისამოსის მოპარვისათვის.—შეიპყრეს ვინმე მურადოვი, რომელმაც დავით მახათაძეს მოჰპარა 40 მანეთი;—შეიპყრეს სონღორამ ოღლი, რომელსაც უნდოდა გაექურდა ტიგრან ტერ-ოგანოვის ბინა (ტრამვაის მუშათა სახლი).

რკინის გზებზე

მატარებლების მიმოსვლის ახალი ცხრილი

მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრიდან ამიერ-კავკ. რკინის გზებზე შემოღებულ იქნება მატარებლების მიმოსვლის ახალი ცხრილი.

ახალი ცხრილის მიხედვით მოხსნილია რამოდენიმე სამგზავრო მატარებელი, რის გამო სამგზავრო მატარებლების მოძრაობა შემცირებულია.

ჩქარი მატ. № 1—2 ამა წ. 13 ოქტომბრიდან ივლის კვირაში ორჯერ: თბილისიდან მოსკოვში გავა ოთხშაბათობით, ხოლო ლენინგრადში კვირაობით.

ჩქარი მატ ბაქო-მოსკოვი დარჩება.

მატ. № 9—10—თბილისი-მოსკოვი ამა წ. 5 ოქტომბრიდან თბილისიდან გავა არა ყოველდღიურათ, არამედ ხუთჯერ კვირაში: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკეობით, კვირაობით, თბილისში მატარებელი დაბრუნდება: სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით.

პირდაპირი ვაგონები მოსკოვი—ბორჯომი და მოსკოვი-ერევანი მოხსნილია.

მატ № 24—25 თბილისი-გორი გავა უქმეების წინა დღეებში, (კვირაში ერთხელ), ეს მატარებელი უკან დაბრუნდება უქმე დღეებში.

კვირაში ერთხელ ივლის აგრეთვე მატ. № 17—18 თბილისიდან ბორჯომში.

დაჯახება შახტახტისა და ნახიჩევანს შუა

აგვისტოში შახტახტისა და ნახიჩევანს შუა მიმავალ საბარგო მატარებელს № 795—2 დაეჯახნენ სადგურიდან დაძრული ვაგონები. დაჯახების დროს ერთი ვაგონი დაიმსხვრა, ხოლო ორთქლმავალი დაზიანდა.

ეს საქმე განიხილა შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ. როგორც კომისიამ გამოარკვია დაჯახების მიზეზი ყოფილა შემდეგი: აზერბეიჯანის მარილის ტრესტის მუშებს თავის ნებით გადაჰყავდათ ვაგონები სადგურის ლიანდაგებზე. ასეთი მუშაობის დროს მათ ვერ შეაჩერეს ადგილიდან დაძრული ვაგონი და ვაგონები გზას გაუდგნენ.

საგზაო კომისიამ სცნო, რომ დაჯახებაში დამნაშავეა აზერბეიჯანის მარილის ტრესტის გამგეობა, რომელსაც მუშებისათვის ტექნიკური ზედამხედველობა არ გაუწევია. ამიტომ გადაწყდა დაჯახების დროს მომხდარი ზარალი ხსენებულ ტრესტს გადახდეს.

ამას გარდა, საგზაო კომისიამ წინადადება მისცა აზერბეიჯანის მარილის ტრესტს, მე-492 კილომეტრზე დააწესოს მუდმივი საგუშაგო, რომელიც თვალყურს ადევნებს ტრესტის საჭიროებისათვის მისულ ვაგონებს.

დაჯახება

27 სექტემბერს ბალაჯარი-კიშლის შუა [illegible] მატარებელი დაეჯახა რკინის გზის ხაზზე გადამავალ ტრაქტორს.

დაჯახების დროს ლიანდაგს ასცდა ორთქლმავალი, ტრაქტორი მნიშვნელოვნად დაზიანდა. ადამიანის მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია.

მოძრაობა აღდგენილ იქნა ორი საათის განმავლობაში.

მატარებლების გაშვება უზაროთ

ამა წ. 1-ლ ოქტომბრიდან ადგილობრივ დანიშნულების ყველა მატარებლები სადგურიდან გავა უზაროთ მიმოსვლის ცხრილით დაწესებულ დროზე.

მატარებელი გავა მთავარი კონდუქტორის მიერ ნიშნის მიცემის შემდეგ.

თურქეთის ვაგონების რემონტი

ახლო მომავალში თურქეთის რკინის გზებიდან ამიერ-კავკ. რკინის გზებზე შესაკეთებლად იგზავნება 27 სამგზავრო და საბარგო ვაგონი.

ვაგონები შეკეთებული იქნება თბილისის და ლენინაკანის რკ. გზ. სახელოსნოებში.

მეცნიერება და ტეხნიკა

ნივთიერების შესწავლა

ინჟენერმა სნუკმა, ამერიკის სატელეფონო კომპანიის საცდელი ლაბორატორიის თანამშრომელმა გამოიგონა აპარატი, რომლის საშუალებით შეიძლება ნივთიერების მოლეკულების დაჯახების გაგონება. აპარატი ხმებს აძლიერებს ათმილიარდჯერ. ამ რამდენიმე ხნის წინად მოხდა სნუკის გამოგონების დემონსტრაცია. დემონსტრაციაზე დამსწრე მეცნიერები გააყრუა ყუმბარის გავარდნის მსგავსმა ხმებმა მოლეკულების დაჯახების ხმამ, გაძლიერებულმა რამოდენიმე მილიარდჯერ. სნუკის აპარატის „მგრძნობიარობის" შესახებ წარმოდგენის მოცემა შეუძლია შემდეგ ციფრებს: რომ ერთი მეორეს გვერდით დავალაგოთ რკინის ასი მილიონი მოლეკულა, ეს იქნება რიგი, რომლის სიგრძე ერთ სანტიმეტრს უდრის.

ძველი არხების აღმოჩენა აეროპლანის საშუალებით

იუნკერსის ფირმას სპარსეთში დავალებული აქვს მთელ რიგ რაიონების გეგმების გადაღება ჰაერიდან. ხორმოზა-თეირანის რაიონში გადაღებულ საჰაერო ფოტო-გეგმის შესწავლის დროს ფოტოგრაფიაზე გარკვევით შენიშნეს ნაშთები დღემდი სრულიად უცნობი უდიდესი სარწყავი სისტემის, რომლის სიძველე, მეცნიერების აზრით 5000 წ. უდრის და ათასი წლები გავიდა, რაც უმოქმედოთაა. ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ მრავალი ამ დავიწყებულ არხებიდან დღესაც კარგ მდგომარეობაშია და შესაძლებელია მათი გამოყენება მცირეოდენი რემონტის შემდეგ.

ნ ა რ ე ვ ი

სამგზავრო გემის სისწრაფის ახალი რეკორდი

უზარმაზარმა ამერიკელმა სამგზავრო გემმა „ლევიაფანმა" დაამყარა სისწრაფის ახალი რეკორდი. „ლევიაფანმა" შესძლო 36 კილომეტრის გავლა საათში, რაც მეტად დიდია ასეთი ტონნაჟის (წყალწყვის მქონე) გემებისათვის. წინანდელი რეკორდი ეკუთვნოდა ინგლისის სამგზავრო გემ „ოლიმპიკს", რომელმაც 28 კილომეტრის გავლა მოახერხა საათში.

სიკვდილიანობის ზრდა ინგლისში

ინგლისის სტატისტიკურ სამმართველოს მიერ ამ რამდენიმე ხნის წინად გამოქვეყნებული ანგარიში აღნიშნავს დაბადებათა რაოდენობის შესამჩნევად შემცირებას ინგლისში. 1927 წ. დაბადებათა რაოდენობამ მიაღწია მინიმუმს—16,6-ს ათას კაცზე. ამავე დროს შემჩნეულია სიკვდილიანობის ერთგვარი ზრდა, რაც ნაწილობრივ აიხსნება ინფლუენციის ეპიდემიით, რომელიც წარსული წლის მარტში მძვინვარებდა ინგლისში. 1927 წ. სარეკორდო ციფრს მიაღწია აგრეთვე თვითმკვლელობის შემთხვევებმა: ადგილი ჰქონდა 4.907 თვითმკვლელობას. ავტო-მოძრაობასთან დაკავშირებულ უბედურ შემთხვევების რიცხვმა მიაღწია 4.492.

სამხედრო გემის სისწრაფის ახალი რეკორდი

ამ რამდენიმე ხნის წინად საფრანგეთის კრეისერმა „ტურვილმა", რომლის წყალწყვა 10.000 ტონნას უდრის, განავითარა 60 კილომეტრი სისწრაფე საათში, რაც სისწრაფის ახალ რეკორდს წარმოადგენს ამ სახის სამხედრო გემებისათვის. წინა რეკორდიც ეკუთვნოდა საფრანგეთის სამხედრო გემ „დიუკეზს". „ტურვილის" მანქანების სიმძლავრე უდრის—132.000 ცხ. ძალას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს ლენინურ კომკავშირის ცეკასთან არსებული საკონფლიქტო კომისია იუწყება, რომ ოთხშაბათს, 3 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, კომკავშირის ცეკას შენობაში (რუსთაველის პრ. № 20) შესდგება საკონფლიქტო კომისიის სხდომა. კომისიის ყველა წევრების და ხამეურნეო დარგზე მომუშავეთა დასწრება სავალდებულოა. სხდომას უნდა დაესწრონ აგრეთვე ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები, რომელთა საქმე უნდა განიხილოს საკონფლიქტო კომისიის სხდომამ: დავით ლაჩავა, ბიჭიკო კალაძე, ნიკოლოზ დრემოვი, გიორგი ყარაულაშვილი, ნიკოლოზ ფედოროვი და ვალერიან მემარნიშვილი.

—:—

ორშაბათს პირველ ოქტომბერს, დილის სრულ 9 საათზე შესდგება საქართველოს ლ. კომკავშირის ცეკასთან არსებული შრომის განათლების განყოფილების კოლეგიის სხდომა. ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ: ჯავახიშვილის, მაისურაძე, ეგოროვი, გრიგორიანი, ჭელიძე, შავგულიძე, დონდუა, არჩვაძე, აბულაძე, კობახიძე, ლეკვეიშვილი, კიპრიზოვი, ბარძიმაშვილი, გოცირიძე, ამინევი, კერესელიძე, მდივანი, ცხაკაია, ნერსესოვი, ქორიძე, დავლიანიძე, ბეგიაშვილი, უნგიაძე. სხდომაზე მოწვეულია აგრეთვე ამხ. უბირია ინდუსტრ. ტეხნიკუმიდან, მგელაძე ეკონომ. ტეხნიკუმიდან, სოსელია, ქიმიურ ტეხნიკუმიდან და ბორჯომის რაიონში ეკონომმომუშავე ამხ. ლაზარევი.

—:—

საქართველოს კომპარტიის თბ. ორგანიზაციის „26 კომუნართა" სახელობის რაიკომი წინადადებას აძლევს ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც ჩაწერილნი არიან საღამოს პარტსკოლებში და არ აღრიცხულან კომისიაში, გამოცხადდნენ რაიკომში დღეს, 30 სექტემბერს დილის 10 საათზე და ორშაბათს, 1-ლ ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე.

—:—

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო კოლექტივი წინადადებას აძლევს სოც. ეკ. ფაკულტეტის უჯრედის ყველა პარტკანდიდატებს გამოცხადდნენ 1-ლ ოქტომბერს საღამოს 4 საათზე ბიურო კოლექტივში. პარტ-კანდიდატების გადასინჯვასთან დაკავშირებით თან უნდა იქონიონ ყველა პარტიული საბუთები.

—:—

ხვალ, ორშაბათს, 1-ლ ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონ. ფაკულტეტის მე-3 და მე4 კურსის ა.ლ.კ.კ. უჯრედის წევრთა დახურული კრება. დასწრება უჯრედის წევრკანდიდატთა და კურსდამთავრებულთა აუცილებელია.

—:—

ორშაბათს, 1-ლ ოქტომბერს, დღის 1-ლ საათზე, საქართველოს კომპ. ცეკას აგიტპროპ ბეჭდვითი განყოფილებაში მოწვეულია თათბირი, რომელზედაც სავალდებულოა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: რუხაძე, მთვარელიძე, პიასეცკი, ცხაკაია და ადამიანი.

—:—

საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებული საორგანიზაციო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ნინა ლეტოდიანს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ცეკაში ამხ. კვირკველიასთან (ოთახი № 43).

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება, სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ თბ. კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10) ამხ. თარხანოვთან: ალექსანდრე ივანესძე სხირტლაძე, გაბრიელ გიორგისძე ქობულაშვილი, ივანე მიხეილისძე კოვალენკო, მიხეილ ზაქარიასძე კოჭლაშვილი, ივანე მოსესძე კაპანაძე, მოსე ივანესძე კავთალაშვილი, ლეონ ნიკოლოზისძე ტერ-სარქისოვი, გაბრიელ ივანესძე თათანაშვილი, ზაბედი სიმონისძე ტრაპაიძე, კოტე სოსიკოსძე თედორაშვილი, სილოვან ბესარიონისძე ტერელაძე, ასატურ მიკირტიჩისძე იდიკოვი, დიმიტრი ივანესძე ეფრემოვი კოზმა პროკოფისძე ფედორენკო, მეთოდისე იოსებისძე ხოდარევი, ილია ნასყიდასძე ხანიკლაშვილი, არტაშეს ნიკოლოზისძე ხეჩოევი, არუთინ მარტიროსისძე ხაჩატუროვი, ბარბალე პეტრეს ასული ჩერეპნევა, ილია მალაქიასძე ჭელიძე, ფილიმონ ფარსადანისძე ჭელიძე, ალექსანდრე ივანესძე ჩუბინიშვილი, გაბრიელ ივანესძე ჩეხოევი, მოსე მაქსიმესძე ჭყონია, ანა ალექს. ასული ჩიხლაძე, პავლე ქიტესისძე ციხელაშვილი, ალბერტ ოვანესისძე ცეები, გიორგი ლევანისძე ასანაშვილი, არკადი მიხეილისძე ანიშჩუკი, ნიკოლოზ ემელიანისძე აივაზოვი, გასპარ ედიბარისძე აკოფოვი, ხორენ მატეოსისძე აზნაუროვი, მარგალიტა კარაპეტის ასული ალავეოდოვა გრიგორი ნიკოლოზისძე ანთაძე, რომან დიმიტრესძე აბულაძე, არშაკ ნაზარისძე ავეტისიანი, ბაგრატ ამაისძე აგაჯანოვი, გრიგოლ ასატურისძე არუსტანოვი, ესტატე ივანესძე აბაშიძე, ცუცა ყარამანის ასული ალბაროვი, მიხეილ ივანესძე ავაქოვი, ივანეს მიხეილისძე აგაჯანოვი, ტიმოთე გრიგორისძე რაკახოვი, სერგო პავლესძე კალანდაძე, გრიგორ ივანესძე სიხარულიძე, ნიკოლოზ აბიატარისძე ობოლაძე. ის ამხანაგები, რომლებიც თბილისში არ იმყოფებიან, ნუ ჩამოვლენ. სამსახურისა და საცხოვრებელი ადგილის მისამართი გვაცნობონ წერილობით. თბ. კომიტეტის საარიცხვო- განმანაწილებელ განყოფილებაში.

—:—

ორშაბათს, 1-ლ ოქტომბერს საღამოს 6 საათზე საქ. კომ. თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10) შესდგება თბ. კომიტეტის მიმღებ კომისიის მორიგი სხდომა. ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება, რომელნიც მიღებული უნდა იქნან პარტიაში, სავალდებულოა.

ლენინის რაიონიდან: ანდრო სოლომონისძე ბიბილეიშვილი, სერგო გიორგისძე დავითაშვილი, ილია იოსებისძე თეთრაძე, ელენე ალექსის ასული ჯაფარიძე, მიტროფანე ივანესძე კუჭავა.

არსენალის ყოფილ რაიონიდან: ნიკოლოზ ლაზარესძე ლიჩელი, არშაკ იაგორისძე ნონიკოვი, ანა ილიას ასული ნიკიტენკო, ვალენტი იაკობისძე დომაშევსკი, ოლღა ალექსის ასული ჭელიძე, სერგო ამაზასპისძე სულთანიანცი, ხინა მიხეილის ასული ბოკუჩავა, მარო პავლეს ასული ადამიანი, ივანე მიხეილისძე ჩუტკერაშვილი, აგაბეკ არსენისძე აპრესიანი, თამარა გიორგის ასული ეუჟუნავა, პეტრე სტეფანესძე ტატოშვილი, საკია ივანესძე თოფჩიაშვილი, სოლომონ ანდრიასძე კობელაშვილი, დავით ისაკისძე მარპამალი.

26 კომუნართა სახელობის რაიონიდან: აპოლონ ილიასძე ჯორბენაძე, ვარლამ მაქსიმესძე იოსაძე, კონსტანტინე მელიტონისძე ჩხიკვაძე, გრიგორ კოხაძე.

ქალაქის რაიონიდან: თეოლინა რაჟდენის ასული აბაშიძე, ამალია რუბინის ასული აბრამიანი, გაბრიელ კონსტანტინესძე ახობაძე, მიხეილ სერგოსძე ახშარუმოვი, იოსებ სერაფიონისძე ბაჯაძე, გიორგი დავითისძე ბერეკაშვილი, მარო ევსტაფის ასული გასიევა, გიორგი მაქსიმისძე გვარამაძე, ვლადიმერ სიმონისძე გუჯაბიძე, სოფიო ლევანის ასული ჯაშკლიანი, ნიკოლოზ ზაქროსძე ივანოვი, თეოდისა ქუთარის ასული კალანდია, გიორგი მიხეილისძე კრახუაშვილი, ბარბალე ივანოვი, ასული კვაშნიძე, პოლიკარპე ნესტორისძე კიკვაძე, ალექსი თომასძე კუზიევი, სერგო ივანესძე მარჩენკო, სონია გიორგის ასული მეგრელიშვილი, გიორგი ქრისტეფორესძე მიკი, ბაბილინა ალფესის ასული ფალიაიი, მარია ოგანოვას ასული პირუმოვი, ვერა მიხეილის ასული პატიომკინი, იონი პეტრესძე უშვერიძე, ბიქტორ ტარასისძე ხურცილავა, ვასილ გიორგისძე ცაგარელი, ვლადიმერ ივანესძე წიქორია, ლიუბა თედორეს ასული ჩექრიზოვა, შაქრო ილიასძე ჩერქეზიშვილი, მადლენა ნიკოლოზის ასული იაგორაშვილი, აბრამ ვლადიმერისძე მენზონი, გიორგი გეურქისძე გალუსტიანი, არტაშეს გეურქისძე სკანდარიანი, ნიკოლოზ ეფრემისძე კოსარევი, ვლადიმერ ნიკოლოზისძე მასლენიკოვი, მირზა ისკენდიარისძე მირზოევი, ფილიპე ნიკიფორესძე შელაძე, ივანე სიმონისძე შუბაშვილი, ატემ ხიმანისძე სიდაკოვი, ივანე იაკობისძე შასკუნასი, სარიბეკ მხითარისძე უმურშაბიანი, გრიგოლ მიხეილისძე ვაშაკიძე, აბესალომ კონსტანტინესძე კარანიძე, ლევან გიგისძე ქსიტაური, ბესარიონ ბერკუზანისძე წერედიანი, [illegible] სიმონისძე ბაბუნაშვილი, [illegible] ნესძე ლიუტენკო, ჯაფარ ბაშირისძე მორშუტლი, ვალიკო თომასძე [illegible], [illegible] მერ იოსებისძე [illegible], ივანე [illegible] ტონისძე კოხრეიძე, ანა ზაქარიას ასული არუთინოვა, რაჟდენ ნიკოლოზისძე გურჯიანი, გრიგოლ სიხარულიძე, თამარა იოსების ასული ოვანესოვა, ნაუმ გრიგორისძე პრივტი, ლევ ზინოვისძე კლევჩინსკი პლატონი და დავითის ასული დალაქიშვილი, მიხეილ სიმონისძე პოპოვი, გური ალექსისძე ვორობიოვი, მარო ესტატეს ასული კარსაულიძე, ზაქრო სიმონიშვილი, შალვა კონსტანტინესძე ცოტაძე, გრიგორი ანდრიასძე მანუკოვი, ივანე გიორგისძე ასიტოვი, გრიგორი იოსებისძე ჩიქოვანი, იაკინთე შარვანისძე ჭანტურია, ილია გლახუნისძე ცელაძე, ივანე გიორგისძე ხმალაძე.

—:—

ორშაბათს, 1-ლ ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში შესდგება თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის სხდომა. მიმღები კომისიის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

ღრმად დამწუხარებულნი: დედა ელაგია და ძმა ლევანი ქურთაშვილები, ლადო დალაქიშვილი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, 30 სექტემბერს, ნაშუადღევის 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე, გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ ძვირფას და დაუვიწყარ

თამრიკო ზაქარიას ასული ქურთაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 4360

სახკინმრეწვის კინოები

ბანთიადი პროლეტარი ავლაბარი	უკანასკნელი დღე **ელისო** რეჟისორი ნ. შენგელაია ოპერატ. ვ. კერესელიძე
მინიონი	უკანასკნელი დღე **ელისო**
ეთერი	რიჩარდ ტოლმეჯი სურათში **მე დედექტივი ვარ**
სოლეი	უკანასკნელი დღე **სპარტაკი**
პალასი	სეზონის საუკეთესო კომედია **გაყიდული აპეტიტი**
აპოლო	**ტამილა** დიუმენის რომანის მიხედვით
დარბაზი	ლილი და დიმიტრი ყიფიანი სურათში **ჭორი**

[illegible]

სპარტაკი

მე დედექტივი ვარ

ნამდვილი მამაკაცი

საუკეთესო სურათი

ხატოვული საუკეთესო სურათი „მეჟრაბპომ-ფილმ"-ისა

ადამიანი იშვა

სურათში ი. მ. მოსკვინი

ლურჯი სისხლი

მედი ხრისტიანსის მონაწილეობ

სიცოცხლე სიცოცხლისათვის

0—23

კინო-თეატრ აპოლოში ორშაბათ, კინო-თეატრ დარბაზში

1 ოქტომბრიდან

ახალი სურათი

უცხოეთის ნაწარმოები

„ლურჯი სისხლი"

სურათში

მედი ხრისტიანსი და პაულინა გარონი

მსოფლიო

საუკეთესო სურათი

„სიცოცხლე სიცოცხლისათვის"

სურათში

მარჩელა ალბანი და ვერნერ კრაუსი

ორშაბათს,

1-ლ ოქტომბრიდან

კინოთეატრ

„პალას"-ში, „სოლეი"-ში „არფასტო"-ში

1928—1929 წლის სეზონის

პირველი მხატვრული

საუკეთესო სურათი

„მეჟრაბპომ-ფილმ"-ის

ნაწარმოები

ადამიანი იშვა

რეჟისორი ი. ჟელიაბუჟსკი

მთავარ როლებში:

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. მ. მოსკვინი

რესპუბლიკის დამსახ. არტისტი ვ. ო. მასალიტინოვა

მოსკოვის სამხ.-არტ. თეატ. მსახიობი ნ. ვ. ტიხომიროვა

ყველა თეატრში

სპეციალურად

შერჩეული მუსიკა

ნ. 1646

მედსანშრომის საზაფხულო კლუბი

(ყოფ. სტელა)

დღეს, 30 სექტემბერს,

გამოსათხოვარი საღამო

(სეზონის დახურვის წინ)

პოეტ გრიშაშვილის სახ. ოპერის მსახ. კავსაძის, ისეცკის, ელიოზიშვილის, ჭუმბურიძის, სუზანჯიანცის, სახ. ბალეტის მსახ. გუბსკაიას, ლისიციანის, სულხანიშვილის და სხვ. მონაწილეობით. როიალთან გორდონი. საღამოს ხელმძღ. ზუბკოვი. დასაწყისი სად. 9 საათზე. ცუდი ამინდი საღამოს ხელს ვერ შეუშლის. ნ. 1644 გამგეობა.

ამ.-კავკასიის რკ. გზ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1 ოქტომბრიდან შემოღებულია სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის

საზამთრო ცხრილი

თბილისიდან გადის

მატ. № 1 ლენინგრადისაკენ კვირაობით 9 ს.
მატ. № 1 მოსკოვისაკენ ოთხშაბათობით 9 ს.
მატ. № 9 ტ მოსკოვისაკენ ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკეობით და კვირაობით — 13 ს. 45 წ.
მატ. № 3 ბაქოსაკენ ყოველდღე—23 ს. 30 წ.
მატ. № 4 ბათომისაკენ ყოველდღე —8 ს.
მატ. № 10 ბათომისაკენ ყოველდღე 20 ს. 35 წ.
მატ. № 14 ბათომისაკენ ყოველდღე 17 ს. 45 წ.
მატ. № 12 ფოთისაკენ ყოველდღე 19 ს.
მატ. № 9 ერევნისაკენ ყოველდღე 23 ს.
მატ. № 3 ჯულფისაკენ ყოველდღე 18 ს.
მატ. № 3 თელავისაკენ ყოველდღე 23 ს. 50 წ.
მატ. № 13 თელავისაკენ ყოველდღე 8 ს. 5 წ.
მატ. № 20 ბორჯომ. ყოველდღე 14 ს. 45 წ.
მატ. № 18 ხაშურისაკენ უქმე დღეებში 6 ს. 53 წ.
მატ. № 24 გორისაკენ უქმეების წინადღეებში 13 ს. 40 წ.

თბილისში მოდის

მატ. № 2 ლენინგრადიდან პარასკეობით— 17 ს. 30 წ.
მატ. № 2 მოსკოვიდან ორშაბათობით — 17 ს. 30 წ.
მატ. № 10 ტ მოსკოვიდან სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით, კვირაობით 16 ს.
მატ. № 8 ბათომიდან ყოველდღე 22 ს. 30 წ.
მატ. № 4 ბაქოდან ყოველდღე—7 ს.
მატ. № 9 ბათომიდან ყოველდღე 7 ს. 10 წ.
მატ. № 13 ბათომიდან ყოველდღე 5 ს. 35 წ.
მატ. № 11 ფოთიდან ყოველდღე 8 ს. 40 წ.
მატ. № 10 ერევნიდან ყოველდღე — 6 ს.
მატ. № 4 ჯულფიდან ყოველდღე 11 ს. 45 წ.
მატ. № 4 თელავიდან ყოველდღე — 17 ს.
მატ. № 14 თელავიდან ყოველდღე 4 ს. 45 წ.
მატ. № 19 ბორჯომიდან ყოველდღე 6 ს. 40 წ.
მატ. № 17 ხაშურიდან უქმე დღეებში 21 ს. 20 წ.
მატ. № 25 გორიდან უქმე დღეებში 20 ს. 10 წ.

დრო ნაჩვენებია მოსკოვის საათით, რომელიც ადგილობრივს ჩამორჩება ერთი საათით

ნ. 1643

რუსთაველის სახელმწიფო თეატრის

აბონემენტების გაყიდვა

თეატრის სალაროში: დილის 10 საათ.—3 საათამდე საღ. 6 „ —8 „

აბონემენტის (10 წარმოდგენა) ღირებულება პროფკავშირთა წევრებისთვის ადგილკომების მეშვეობით 50 % ფასდაკლებით.

ადგილების დასახელება	აბონემენტის ღირ. ბულ. მან.	კ.	თვიური გადასახადი მან.	კ.
ლოჟა ბენუარი	12	50	2	09
„ ბელ-ეტაჟ	10	—	1	67
„ 3 იარუსი	3	50	—	59
პარტერი 1-2-3	16	50	2	75
4-5	15	—	2	50
6-8	14	—	2	34
9, 10-11	12	50	2	09
12-14	11	50	1	92
15 16	10	50	1	75
17-18-19	10	—	1	67
20	9	—	1	50
ბალკ. ბელ-ეტაჟ 1	9	50	1	59
2	8	—	1	34
„ 3 იარუსი 1	9	—	1	50
2	7	50	1	25
3	6	—	1	—
ქანდარა 1-2	3	—	—	50
3 5	2	50	—	42
6-8	2	—	—	34

აბონემენტის საფასურის გადახდის, ვადა—6 თვე

აბონემენტის გადაცემა მეორე პირზე ნებადართულია

აბონემენტის შეძენის დროს და ყველა ვ-დაზე გადახდილ უნდა იქნეს მთელი საფასურის 1/6

თითოეულ აბონემენტის რეპერტუარში შედის 8 სრულიად ახალი პიესა და 2 განახლებული.

დაწყებულია მე-2 და მე-3 აბონემენტის გაყიდვა ადგილკომების განცხადებებით.

ნ. 1642 დირექცია.

სააღმშენებლო-სამრეწველო აქც. საზ. „სამშენი"-ს

გამგეობა ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს, დილის 11 საათზე იწვევა

აქციონერთა საგანგებო კრება

დღის წესრიგი: 1. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა, 2. მიმდინარე საკითხები. კრება შესდგება საზ-ბა „სამშენი"-ს ბინაზე, თავისუფლების მოედანი, № 3.

4355 გამგეობა

თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტის კოლექტივთა გაერთიანების სამმართველოს

საზოგადოებრივმა ორთქლის სამრეცხაომ

კომუნალური მუშაკების კავშირთან ერთად კოლექტივი „ჰიგიენის" საშუალებით იკისრა ყველა სასტუმროს, მუშკოოპის, ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების, ჯანმრთელობის განყოფილების, ყველა ფაბრიკისა და ქარხნის სპეცტანისამოსისა და ყოველგვარი თეთრეულის ჰიგიენური რეცხვა. მოწყობილია ორთქლის სამრეცხაო, რომლის რემონტი დამთავრდება 10 ოქტომბრამდე, ხოლო მუშაობა დაიწყება 15 ოქტომბრიდან. გარდა ამისა, ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში და მუშათა რაიონებში განზრახულია პუნქტების გახსნა, რომლებიც მიიღებენ თეთრეულს გასარეცხად. სამრეცხაოსთან არსებობს სამღებრო და სწარმოებს ქიმიური წმენდა. კავშირის წევრებს განსაზღვრული შეღავათი ექნებათ.

ნ. 1641

სახალხო კავშირის სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორა, საქართველოს კომუნალური ბანკის გამგეობა და რუსეთის კოოპერატიული ბანკის თბილისის განყოფილება

ამით აცხადებენ, რომ კლიენტებისათვის საქმის გასაადვილებლად, ბანკების ოპერაციები ქ. თბილისში ამა წლის **1 ოქტომბრიდან იწარმოებს დილის 10 საათიდან შუადღის 14 საათამდე**

ნ. 1640

თელასის საგიტუვო (საღამოო) აბონენტების საყურადღებოდ

ელექტრონის ენერგიის ფასის გადახდის სისტემის შეცვლის გამო, ა/წ 1-ლ ოქტომბრიდან შეწყვეტილია ფულის მიღება ბარათებით, და ყველა აბონენტს, როგორც ლამფებისა, ისე მრიცხველების მიხედვით თელასის კონტროლიორების მიერ ადგილობრივ გამოეწერებათ ანგარიშები, რომლების მიხედვით აბონენტები ფულს შეიტანენ თელასის სალაროში, ანგარიშებში ნაჩვენებ ვადებში.

ნ. 1647 თელასის დირექცია

სასწავლო სეზონისათვის

თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოთა ინსტიტუტი

მზათ არის მოაწყოს ფიზიკისა, ბუნებისმეტყველებისა და სხვ. კაბინეტები და ლაბარატორიები. არის ყოველნაირი ლაბაროტორიული და ქიმ. ჭურჭელი, აპარატურა და რეაქტივები

ფასები დაკლებულია

თბილისი, ავჭალის მოედანი, № 10, გერმანულ საავათმყოფოს პირდაპირ. ტელეფონი 16—49. 10—2 ნ. 1620

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

საჩქაროთ იყიდება სარკიანი შკაფი

(შიფონერკა)

— და —

ნახევარბუფეტი

(სერვანტ)

კაკლის ხისა. 1-ლ ბარნოვის ჩიხი № 8 (მოსკოვის ქუჩი ახლოს) ბინა № 10. ნ. 1645

ჭრა-კერვის ინსტრუქტორი

6 თვ. გან. ასწ. ჭრა-კერვის ქალ. და ბავ. ტანსაცმ. ტროცკის ქ. 25. ნახ. 10-5 ს. 4312

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი

ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და საღ. 6—8 საათ.

კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

„კომუნისტი"-ს

მთავარ კანტორისათვის

საჭიროა გაზეთის გამავრცელებელი აგენტები

მსურველებმა დაწვრილებითი ცნობების მისაღებათ უნდა მიმართონ გაზეთ „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორას, რუსთაველის პროსპ. № 34, დილის 9 ს.—4 საათამდე

4—1

თბილისის მუშათა კოოპერატივის გამგეობა

აცხადებს მუშათა კოოპერატივის ყველა წევრთა და რწმუნებულთა საყურადღებოთ,

რომ დღეს დილის 10 საათზე ანდრეევის ქუჩის და ფეირვერკერის ქუჩის კუთხეში

საზეიმოთ ჩაეყრება საძირკველი პურის მექანიკურ ქარხანას

გამგეობა.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის უწყებაში მყოფი ადმინისტრატიულ ტეხნიკის სახელმწიფო კურსები

საბუღალტრო სექტორი

ქართული და რუსული განყოფილებები

ქართული განყოფილება

2 წლიანი კურსი: 1-ლი წელი ანგარიშწარ. დარგთა ზოგადი კურსი; 2-რე „ უმაღლეს ხასიათის სპეციალური კურსი

ანგარიშწარმოების ცალკე დარგების (სავაჭრო კოოპერატიულ, საწარმოო და სხვ.), ანგარიშწარმოების საბარათო სისტემების, საანგარიშო მუშაობის ორგანიზაციის პრინციპები.

დაწვრილებითი ცნობების მიღება და აგრეთვე მსმენელთა ჩაწერა სწარმოებს ყოველდღიურად საღ. 7—9 საათამდე „ა. კ. ორგმშენის" შენობაში. აღმაშენებლის ქუჩა № 2 (ყ. სოლოლაკის ქ.) ნ. 1611 6—3

გადაწერის განყოფილება

საბჭოთა და სავაჭრო პროფკავშირთან არსებული

მანქანათწერის კურსები

რუსთაველის პრ. № 8, მუშათა სახლის პირდაპირ კისრულობს ანგარიშების, მოხსენებების, თეზისების, სამეცნიერო მასალების და საქმის სხვა ქაღალდების გადაწერას და გამრავლებას. შესრულება დროზე და საუკეთე ოდ.

მისამართი: რუსთაველის პრ. 8, ტელეფონი 22—21.

6—2 ნ 1591

ქ. თბილისის 1 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ვ. პ. გაგუნია

ამით აცხადებს, რომ ის 3 ოქტომბერს, 1928 წ. დღის 1 საათზე, სახლში № 9, ბელინსკის ქ., **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ყარამან ივლიანის-ძე არონიშიძის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, ტანისამოსის შკაფს, კამოდს, ლომბერის მაგიდას, კარტის მაგიდას, პიანინოს, პიანინოს პრუჟინის სკამს, რბილი ავეჯეულობას 5 თავისაგან შემდგარს, საათს დასადგამს-ბუდილნიკს, ორ ლიუსტრებს, ტუმბოჩკებს, ელექტრონის დასადგამ ლამპას, ხელით საკერავ მანქანას, ორი დუჟინი ფარფორის თეფშებს, ვერცხლის საშაქრეს, ვერცხლის რუმკებს, შაქრის ასაღებს, ერთი დუჟინ დანებს თავისი ფუტლიარით, კაფეინიკს, ვაზებს, სალფეთქებს, ხალიჩას და ზანავ სკებს, შეფასებულს სულ 654 მანეთად იაკობ დავითის-ძე მენთეშაშვილის 1,243 მან. 49 კაპ. ვალის და ხარჯების დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 21 სექტემბერს, 1928 წ. თარიღით № 960, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4346

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. **სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.**

იღებს: დილის 7—8 საათამდე

საღამოს 6—8 კაცებს; 5—6 ქალებს.

25—1

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს.—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 13—2

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

თვალის ექიმი

მ ა ლ ა ე ვ ი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელმენი № 5—90. 25—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ.7 ნახ.—8 ნახ. საათ ტელეფ.—1267. 25—1

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი

გიორგი ნიკოლოზის-ძე

ონანოვი

სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—19

ექიმმა

ი. ვ. ხანდამოვმა

განაახლა სიფილისით, კანისა და ვენერიული ავადმყოფობით დაავადებულთა მიღება. დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ძნელაძის ქ., № 35, (ყოფ. საპიორის ქ.), 4, კადეტთა კორპუსის უკან. (25—1)

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება, სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღ.—5—8 ს. ქალები და ბავშვების მიღება: დილის—8—9 ს. 4—საღ.—5 ს. მისამართი: კამოს ქ., № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—

ლოგოპედი

ა. ა. პაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132.

ექიმი

თოდაძე

დაბრუნდა. ღებულობს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს. (თირკმლეები, საშარდე ბუშტი და სხვა). ცისტოსკოპია, დიატერმია. თბილისი, ბელგიის ქ., № 1; მიღება—4—6 საათამდე. 13—1

ექიმმა

ს. ი. ვოლოხმა

განაახლა ავადმყოფთა მიღება

(ქალთა სნეულებანი და მეანობა)

ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 5 ს.-დან 7 ს.-მდე. ბელგიის ქ., № 5, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. ტელ. 10—80 25—1

ექიმი

ს. ანდრეევისა

დაბრუნდა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულოზის მკურნალობა

ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან. ტელეფონი —11—78. 25—1.

ექიმი

გ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.

ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოღაშვილი

დაბრუნდა და განაახლაავადმყოფების მიღება

დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულება, უძილობა ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ჟორესის ქ. კუთხე.

დაკარგვა: მეტრიკული ამონაწერი № 13955 თამარა ძიძიელის ასული მანდენოვის სახელზე, ჩ. გ. 4357

დაკარგვა: მუშკოოპის წიგნაკი № 16535 ხატო შოთაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4353

დაკარგვა: ოჯახური პირადობის წიგნაკი № 664 სიმონ ივანეს-ძე ბალახაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4347

დაკარგვა: მუშკოოპის წიგნაკი № 9047 ნატალია ივანეს ასული ბრატიშევას სახელზე, ჩ. გ. 4348

დაკარგვა: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ილარიონ ივანეს-ძე შეწირულის სახელზე, ჩ. გ. 4349

დაკარგვა: განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 23282 დავით ცინცაძის სახელზე, ჩ. გ 4350

დაკარგვა: პირადობის მოწმობა გაცემული შორმაზრის მ. გ. მილიციის სამმართველოდან 6163 №-ით ლუკა იოხანის-ძე ეშქაშიძეს სახელზე, ჩ. გ. 4345

დაკარგვა: სამხედრო წიგნაკი მოცემული საჩხერის სამხედრო მაგიდისგან გაბრიელ აბრამის-ძე კიკოზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4345

დაკარგვა პარტბილეთი გაცემული გორის ორგანიზაციიდან № 0863914 ამხ. დავით ქერდიყოშვილის სახელზე, ჩ. გ. 4345

დაკარგვა: განათლების კავშირის საწევრო წიგნაკი № 15316, სამსახურის და დამზღვევ სალაროს მოწმობა № 234 ნინა მესხის სახელზე, ჩ. გ. 4344

დაკარგვა: ლომბარდის ქვითარი № 80453, ჩ. გ. 4351

დაკარგვა: პირადი წიგნაკი ფ. № 4, № 632, მოწმობა გაცემული საქართველოს აბრეშუმის მიერ № 1855 და მონდობილობა № 1344 გაც. შორ. სამაზრო აღმასკომის მიერ მიხეილ კოპაძის სახელზე, ჩ. გ. 4352

დაკარგვა: აღმშენებელთა კავშირის წიგნაკი № 1145 და მოწმობა დ მ ირავებლის მიერ (ჩაი ფაფბ-კომის მიერ № 306 ვარლამ დავითისძე გურგენიძეს სახელზე, ჩ. გ 4359

დაკარგვა: მატრიკული № 1340 მოცემული 1925 წ. თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პედ ფაკულტეტის მიერ ეკ იხი მალაქიას-ძე მანარაძის სახელზე, ჩ. გ. 4356

დაკარგვა: საანგარიშო წიგნაკი № 674, მედ. სანშრომის კავშირის წიგნაკი № 5372, მუშკოოპის წიგნაკი № 10577 მარია ერისთავის სახელზ , ჩ. გ. 4358

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.